წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი
მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ.,
დაარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ.,
ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20
მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების
მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

—კანტონის ჯარებმა დაიკავეს ნან-ჩანი.
—მემაღაროეთა ფედერაციის მდივანს კუკს სიკვდილით ემუქრებიან ინგლისელი ფაშისტები.
—არ[illegible] [illegible] შეტაკება მოხდა არაბებსა და [illegible] ხელებს შორის.
—კუნძულ კუბას და დასავლეთ ინდოეთს გადაუარა ძლიერმა გრიგალმა, რომელმაც 650 კაცი იმსხვერპლა.

კვირა, 24 ოქტომბერი 1926 წ.   ყოველდღიური გაზეთი   ფასი 5 კაპ. № 243 (1788)

ოპოზიციის კაპიტულიაცია და მისი „პრინციპიალური შეხედულებები"

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

უმაგალითო დამარცხების შემდეგ ოპოზიციამ განაცხადა, რომ მრავალი შეცდომა ჩაიდინა, ის გაემიჯნა კორშისა და ოსოვსკის მსგავს რენეგატებს, გამოეყო ურბანსებსა და მედვედევებს, აღიარა, რომ უპირობოთ და უსიტყვოთ ემორჩილება პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს, კაპიტულიაცია მოახდინა ორგანიზაციულ საკითხში, სცნო პარტიული მთლიანობის პრინციპის შეურყევლობა და იმ თეორიისა და პრაქტიკის შეცდომა, რომელსაც ის წინათ იცავდა „ფრაქციათა და შეჯგუფებათა" თავისუფლების სახით.

მაგრამ ოპოზიციამ განაცხადა, რომ მისი პრინციპიალური შეხედულებანი ადრინდებულნი რჩებიან. „ჩვენ დღესაც ამ შეხედულებათა ნიადაგზე (ე. ი. პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის მიერ დაგმობილ შეხედულებათა ნიადაგზე) ვდგევართო". ოპოზიციის განზრახული აქვს მომავალშიც დაიცვას თავისი წინანდელი, პარტიის მიერ უარყოფილი პოლიტიკური ხაზი. სანამ ეს ასე იქნება, პარტია მთელი ძალღონით განაგრძობს ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ და გამოააშკარავებს მისი „პრინციპიალური შეხედულებების" უკულმართობას და მავნებლობას და დაიცავს ორტოდოქსალურ ლენინიზმს ყოველგვარი რევიზიონისტული იერიშებისაგან. რამდენადაც ოპოზიცია წინანდელ, პარტიის მიერ დაგმობილ იდეურ პოზიციებზე სდგას, პარტია მის წინაღმდეგ შეუბრალებელ იდეურ ბრძოლას განაგრძობს.

მაგრამ ეს ბრძოლა სიმძაფრეს დაჰკარგავდა, თუ ოპოზიცია უარს იტყოდა თავის ძირითად იდეურ შეცდომებზე. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, მაგალითად ლენინგრადისა და სხვებიც, ოპოზიციისგან მოითხოვენ, რომ მან აღიაროს ჩადენილი პოლიტიკური შეცდომები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლიუციაში ნათქვამია: „ოპოზიციამ უნდა აღიაროს თავისი შეცდომები როგორც სოციალისტური აღმშენებლობის გზების დაფასებაში, ისე პარტიის ზოგადი პოლიტიკური ხაზის საკითხებში და უარი სთქვას ლენინიზმის რევიზიაზე".

თავისი იდეური შეცდომების აღიარებას ოპოზიციას ელემენტარული პოლიტიკური თანმიმდევრობა უნდა ავალებდეს. მართლაც, ოპოზიცია ხომ სცნობს, რომ ის მართალი არ იყო ორგანიზაციულ საკითხში (ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლება), რომ ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლების თეორია და პრაქტიკა ეწინააღმდეგება ლენინიზმის ორგანიზაციულ საფუძვლებს. მაგრამ ლენინიზმის ორგანიზაციული საფუძვლები ჩინური კედლებით როდია გაყოფილი მისივე იდეური საფუძვლებისაგან, მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მეორე მხრივ ოპოზიციის წინანდელი ორგანიზაციული თვალსაზრისი, როგორც თვით მან აღიარა, გადაჭდობილია მის ზოგად—პოლიტიკურ პლატფორმასთან.

უფრო ნაღდი, უფრო პატიოსანი და უფრო ლოღიკური ყოფაქცევა იქნება ოპოზიციის მხრივ თუ ის, იმის შემდეგ, რაც უარი სთქვა ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპების რევიზიაზე, აგრეთვე უარს იტყვის მისი იდეური პრინციპების რევიზიაზეც და თავისი „განსაკუთრებული" ორგანიზაციული პლატფორმის გადაფასების შემდეგ, [illegible] თავის პოლიტიკურ პლატფორმასაც.

ოპოზიცია გაემიჯნა ოსოვსკის შეხედულებებს, მაგრამ ოსოვშჩინის ელემენტები მოიპოვებიან თვით ოპოზიციის იდეურ პოლიტიკურ ბაგაჟში და მის „პრინციპიალურ შეხედულებებში". თუ ოსოვსკი სწერდა, რომ ჩვენი სახელმწიფო არ არის „მუშური სახელმწიფო", განა ოპოზიცია არ ამტკიცებდა, რომ ჩვენი სახელმწიფო „კარგა ხანია აღარ არის პროლეტარული სახელმწიფოო", განა ის არ ამბობდა, რომ ჩვენი ხელისუფლება „გადაგვარდა" და „გადაგვარების გზას ადგიაო", განა ის არ გვაშინებდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო ქვემო ნაწილში „წალეკილია წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონის მიეროს?" პატიოსანი და ლოღიკური ყოფაქცევა იქნება თუ ოპოზიცია ბოლომდე განთავისუფლდება ოსოვსკის ზეგავლენიდან, თუ ის ხელახლა დაუფიქრდება და გადახედავს თავის საკუთარ პროგრამას.

ოპოზიცია უარყოფს სოლიდარობას კორშებთან, რუტ ფიშერებთან, ურბანსებთან და კომინტერნის ყველა უკიდურეს მემარცხენე ჯგუფებთან. მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, თვით ოპოზიციამაც მშვენივრად იცის, რომ უკიდურესი მემარცხენე „ძმა-ბიჭების" ანტიკომუნისტური „მუშაობის" საფუძველს წარმოადგენს მათი კრიტიკა კომინტერნისა ე. წ. რუსულ საკითხში, ხოლო ეს კრიტიკა არსებითად საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის სალაროდან არის ნასესხები. თუ ეს ხალხი უარს ამბობს ყოველგვარ სოლიდარობაზე, უკიდურეს მემარცხენეებთან, ლოგიკა მოითხოვს, რომ მათ უარი სთქვან კომინტერნის უკიდურეს მემარცხენე კრიტიკაზე რუსეთის საკითხში, მაგრამ ეს კრიტიკა, ხომ თვით ოპოზიციის „პრინციპიალური შეხედულებების" ასლია. მაშასადამე ოპოზიციამ თავისი საკუთარი პრინციპიალური შეხედულებანი უნდა გადასინჯოს.

ოპოზიციამ განაცხადა, რომ ის ჰკიცხავს შლიაპნიკოვ-მედვედევის პლატფორმას. მაგრამ მედვედევის პროგრამის კატეგორიული გაკიცხვა უნდა ნიშნავდეს მედვედევის ზეგავლენის უარყოფასაც, რომელიც უეჭველად ატყვია თვით ოპოზიციის იდეურ-პოლიტიკურ არსენალს. მედვედევის გაკიცხვა ნიშნავს იმ სოციალისტურ აღმშენებლობისადმი რწმენის უქონლობის გაკიცხვას, რომლითაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მედვედევის პლატფორმა და რომლითაც თვით ოპოზიციის წარმომადგენლები არიან დაავადებულნი.

მედვედევის პლატფორმაზე უარის თქმა არსებითად ნიშნავს უარის თქმას იმ აზრზე, რომ ინდუსტრიალიზაცია სოფლის „აუცილებელი გაღატაკების" ხარჯზე უნდა განხორციელდეს, აგრეთვე ის ნიშნავს ოპოზიციური „ზეინდუსტრიალიზმის" უარყოფას, ოპოზიციური „პრინციპიალური შეხედულებების" უკუგდებას კულაკისა, საშუალო შეძლების გლეხის და სხ. საკითხებში. თუ ოპოზიცია აღიარებს, რო პარტიისთვის მავნებელია მედვედევის მემარჯვენე პლატფორმა, რომლის საფუძველს საშუალო შეძლების გლეხის ნაკლები დაფასება წარმოადგენს, ოპოზიციონერები ერთს ადგილს კი არ უნდა სტკეპნიდნენ და პარტიას უკან კი არ უნდა ეწეოდნენ უკვე დამთავრებული საკამათო კითხვებისკენ, არამედ თვითონ უნდა დააფასონ შესაფერად საშუალო შეძლების გლეხი და ხელახლა გადახედონ თავიანთ „პრინციპიალურ შეხედულებებს".

ოპოზიციის წინაშე ორი გზაა. ან ის შემდგომ ნაბიჯს გადასდგამს და პარტიას გაჰყვება პარტიასთან ერთად, უარს იტყვის ლენინიზმის რევიზიაზე და გააბათილებს თავის წვრილბურჟუაზიულ „პრინციპიალურ შეხედულებებს"; ან კიდევ ის განაგრძობს თავისი პრინციპიალური შეხედულებების დაცვას და ლენინიზმის რევიზიის გაღრმავებას. ამ შემთხვევაში ის აღრინდულად შეეჯახება მთელი ჩვენი პარტიის წინააღმდეგობას და საბოლოო განმარტოების საფრთხის წინაშე დადგება.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 23 ოქტომბერი.

მათრახის პოლიტიკა

პილსუდსკის გაზეთი „გლოს პრავდი" სწერს: „პოლონეთის მართვა უმათრახოთ სულ უფრო მძიმე ხდება. ამაზე შეიძლება მწუხარება გამოვსთქვათ, მაგრამ ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია". პოლონეთის დიქტატორის ოფიციოზი ამას ამბობს სეიმის სესიის გახსნის წინ, რომელიც უნდა მოხდეს 30 ამა ოქტომბერს. ესაა დამუქრება ოპოზიციისათვის, რომელმაც სექტემბერში პილსუდსკის პირველი სერიოზული ბრძოლა გაუმართა.

მკითხველი უკვე გაცნობილია იმ კონფლიქტს, რომელიც სეიმსა და მთავრობას შორის ჩამოვარდა. სეიმის უმრავლესობამ უნდობლობა გამოუცხადა ჯერ ბარტელის კაბინეტის ორ მინისტრს, შემდეგ უარჰყო მის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, რომელიც ხარჯების, კერძოდ სამხედრო ხარჯების გადიდებას ითვალისწინებდა. პილსუდსკიმ სეიმის ასეთ ნაბიჯს კვლავ ძველი შემადგენლობის მთავრობის დანიშვნით უპასუხა, რომ ამით ხაზი გაესვა იმ ფაქტისათვის, რომ მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის სეიმის ოპოზიცია და რომ ის სეიმის ნებისყოფას არავითარ ანგარიშს არ უწევს. მაგრამ სეიმმა უკან არ დაიხია და მთავრობას ხელმეორედ გამოუცხადა უნდობლობა. ამის შემდეგ პილსუდსკის დარჩენია ან სეიმის დათხოვნა და ახალ არჩევნების დანიშვნა, ან დათმობაზე წასვლა. პილსუდსკი მეორე გზას დაადგა და მან თავის მეთაურობით შეადგინა ახალი მთავრობა, რომელშიაც არ ურევიან სეიმის მიერ დაწუნებული მინისტრები. აქ გამოაშკარავდა დიქტატორის უძლურება, მისი შიში, ვაი თუ ახალ არჩევნებმა დამარცხება მარგუნოსო. ამასთან სეიმის დათხოვნა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული პოლონეთის საგარეო პოლიტიკის მოსაზრებითაც: საზღვარ-გარეთ არ სჯერათ პილსუდსკის დიქტატურის სიმტკიცე და უპარლამენტოდ მას სესხს არ მისცემენ.

ბრძოლა სეიმსა და პილსუდსკის შორის ამით არ დამთავრებულა. სეიმი „დაუსვენებლად" დათხოვნილ იქნა და მის წინაშე ახალი მთავრობა არ წარმდგარა. სეიმის მომავალ სესიაზე ისევ ბიუჯეტის საკითხი იქნება სადაო. მთავრობას განზრახვა აქვს შეიტანოს წინადადება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისათვის ბიუჯეტის 34 მილიონი ზლოტით გადიდების შესახებ, ე. ი. იმ თანხით, რომლითაც სეიმმა ბიუჯეტი შეამცირა სექტემბერში. ამნაირად, პილსუდსკი უარს არ ამბობს თავის წინანდელ მოთხოვნებზე, რომელთა დასაცავად „თვითონ" ის გამოვა სეიმში, მიუხედავათ იმისა, რომ ის იკვეხნიდა, რომ სეიმში ფეხს არ შევსდგამო.

პილსუდსკის განუსაზღვრელი ბატონობა შერყეულია. მის წინააღმდეგ ილაშქრებენ როგორც მემარჯვენენი, ისე მემარცხენენი და ფართო მასსები, აგრეთვე ნაციონალური უმცირესობანი. პირველნი იმიტომ, რომ მთელი ასი პროცენტით კიდევ არ ენდობიან მას, თუმცა პილსუდსკი მათ ინტერესებს მედგრად იცავს. მემარჯვენეებს სწადიათ სრული მისი დამორჩილება, რომ ის მათ აღმასრულებელ ძალას წარმოადგენდეს და მათი კონტროლის და კარნახის ქვეშ მოქმედებდეს. ხოლო ვინაიდან მემარჯვენენი სეიმში უმრავლესობას შეადგენენ, მათ კლასობრივ ინტერესს შეადგენს ეხლანდელი სეიმის უფლებების დაცვა და პილსუდსკის პიროვნული დიქტატურის შეზღუდვა სეიმის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში მემარჯვენენი უფრო უზრუნველყოფენ პილსუდსკის საშუალებით თავის ნებისყოფის განხორციელებას.

ხოლო რაც შეეხება მშრომელ მასსებს და ეროვნულ უმცირესობათ, მათი უკმაყოფილება პილსუდსკის დიქტატურით გასაგებია. როცა პილსუდსკიმ სამხედრო გადატრიალება მოახდინა, მან ერთგვარი დაპირებები მისცა ფართო მოსახლეობას ზოგიერთი რეფორმების გატარების შესახებ. მასსებს მცირეოდენი იმედებიც აღეძრათ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მაგრამ სასტიკად მოსტყუვდენ. გლეხობა ისევ უმიწოდაა დარჩენილი და პილსუდსკის არც უფიქრია აგრარულ რეფორმის გატარებაზე. ნაციონალური უმცირესობანი ძველებურად უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებიან. დაპირება მათთვის ერთგვარ უფლებების მინიჭებაზე ცარიელ დაპირებებად დარჩა. მუშათა კლასი დიდ გაჭირვებას განიცდის. და ყველა ეს ფენები სულ უფრო აქტიურად ილაშქრებენ დიქტატორის წინააღმდეგ.

პილსუდსკის დიქტატურის აღსასრულს უმზადებს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება. ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით, როცა პოლონეთიდან ნახშირის გაზიდვა გაძლიერდა, დროებით შექმნილ ხელსაყრელი კონიუქტურა საქმეს ვერ შველის. ზლოტის კურსი ეცემა. სიძვირე იზრდება. უმუშევრობა მატულობს. პურის შესაძლებელი რაოდენობა გაზიდეს უცხოეთში და მალე ისეთი პირობები შეიქმნება, რომ პოლონეთს მოუხდება პურის შემოზიდვა. ამავე დროს პილსუდსკი ადიდებს სამხედრო ხარჯებს. რაც დრო გადის, მით უფრო აუცილებელი ხდება პოლონეთის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობის გაუარესება.

პილსუდსკი სამხედრო ხროვას, ხიშტს და მათრახს ემყარება. მაგრამ ასეთი მეთოდებით ხანგრძლივად არ შეიძლება ბატონობის შენარჩუნება, მით უმეტეს, როცა ქვეყნის სამეურნეო კონიუქტურა ვერაფერ სახეიროს უქადის მას. პილსუდსკი მაინც ატრიალებს მათრახს. ამასთან აშინებს მემარჯვენეთ რევოლიუციის ლანდით, თუ ის ჩამოგდებული იქნება; რევოლიუციის ასაცდენად პილსუდსკის უნდა შერჩეს დიქტატორული უფლებები, ასეთი დასკვნა გამოჰყავს მას. ბოლოსდაბოლოს აშკარაა, რომ პილსუდსკის მათრახი მიმართული იქნება არა მემარჯვენეთა, არამედ მშრომელ მასსების წინააღმდეგ. დღემდეც ასე იყო. მომავლისათვის მშრომელ მასაზე ზედდაწოლა უფრო გაძლიერდება და პილსუდსკი მემამულეების და კაპიტალისტების ნებისყოფის გამტარებელი ძალა გახდება უფრო მეტად, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. შეიძლება სეიმმა პილსუდსკის გადიდებული ბიუჯეტი დაამტკიცოს, მაგრამ მისი პიროვნული დიქტატურის შეზღუდვის საფასურით. ხოლო თუ ამ საკითხში ვერ მოხდა შეთანხმება სეიმსა და პილსუდსკის შორის, აუცილებელია სეიმის დათხოვნა, რასაც საეჭვოა პილსუდსკისათვის კარგი შედეგები მოჰყვეს: მას იმდენად აქვს მასსებში სახელი გაბახებული, რომ მისი არჩევნებში გამარჯვების შანსები ძალიან მცირეა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, გაგრძელდება პილსუდსკის დიქტატურა თუ მემარჯვენენი სავსებით დაიმორჩილებენ მას, ამით მშრომელ მოსახლეობის მდგომარეობა ოდნავადაც არ უმჯობესდება: ორივე შემთხვევაში მათრახის პოლიტიკა მის მიმართ არსებითად ძალაში დარჩება და მისი ცხოვრების პირობები გაუარესდება. პოლონეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებისათვის, რომლის შესუსტება და აღმოფხვრა პილსუდსკის მათრახს, ცხადია, აღარ შეუძლია.

ტრაქტორი საქართველოში

ულის მეურნეობის მექანიზაციას, კერძოთ ტრაქტორიზაციის უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული, როგორც მთელ კავშირში, ისე საქართველოს რესპუბლიკაში. ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების შემოტანას სასოფლო მეურნეობაში—ზედმეტად მიმაჩნია, ამას ხათლად მოწმობს ის დიდი ყურადღება და ინტერესი, რომელიც, მიუხედავად შეცდომებისა, პირველ ხანებში, მაინც დაიმსახურა ტრაქტორმა გლეხების თვალში. ამჟამად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით, საქართველოში არის 111 ტრაქტორი სხვადასხვა სისტემისა, უმთავრესად კი „ფორდზონის" და „ხოლტის" ტრაქტორები. ეს ტრაქტორები შემოტანილია საქართველოში 1925-26 წლის განმავლობაში. ამათგან 97 გატარებულია რეგისტრაციაში—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოში.

მაზრების მიხედვით ტრაქტორები ნაწილდება შემდეგნაირად: ახალციხის—1; ბორჩალოს—2; გორის—12; დუშეთის—3; თელავის—6; სიღნაღის—32; თბილისის—18; ზუგდიდის—2; ოზურგეთის—1; სენაკის—6; ქუთაისის — 2; დანარჩენებ — 12. ტრაქტორები არის ამ.-კავ. მებამბეობის კომიტეტის ხელში და მუშაობს ბორჩალოს და თბილისის მაზრაში.

ზემოთ აღნიშნული 97 ტრაქტორი არის შემდეგი ორგანიზაციების ხელში: სამაზრო აღმასკომის—14; გლეხკომის—3; საკრედიტო ამხანაგობის—17; სამანქანო ამხანაგობის—18; კომუნა, არტელი ამხ-ბის—11; სახ. მამულების—4; ლის ამბს—11; სახალხო მამულების—4; საქართველოს წყლის სამმართველოს—4; მებამბეობის კომ.—12; განათლების სახალხო კომისარიატის—1 და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის—2.

მომავალ საბიუჯეტო წელში განზრახულია შემოტანილი იქნას საქართველოში კიდევ 100 ტრაქტორი. ამრიგად, მომავალ 1926-27 წელში გვექნება უკვე ორასზე მეტი ტრაქტორი. არსებული 111 ტრაქტორის მატორთა საერთო ძალა უდრის — 2.352 ცხენის ძალას. მუშა-ცხენის და ხარ-კამეჩის (მუშა-ცხენზე გადაყვანით) რიცხვი უდრის 243 ათასს. ამრიგად არსებული ტრაქტორების ძალა საქართველოს სასოფლო მეურნეობაში შეადგენს საერთო წევის 0,92 პროც. მომავალ წელში ეს პროცენტი გაიზრდება ერთი-ორად, რასაკვირველია, თუ შესრულებულ იქნება შემოტანის გეგმა.

ტრაქტორიზაციაზე მომუშავე ორგანიზაციებს თავის მოქმედების დროს მართებთ დიდი სიფრთხილე და ყოველივე პირობების წინასწარი აღნუსხვა-გამოკვლევა, რათა ტრაქტორის გამოყენების საქმე რაციონალურად იქნეს დაყენებული, მით უმეტეს საქართველოში, სადაც თითეულ კუთხეს თავისი განსაკუთრებული პირობები აქვს როგორც მდებარეობის, ისე ნიადაგის შემადგენლობის მხრივ. ეს პირობები კი ნაკლებათ არის შესწავლილი.

თვით ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც სოფლის მეურნეობას წევითი ძალის საერთო ჯამში ტრაქტორების ძალა შეადგენს 16,3 პროც., მუშა საქონლის 41,1 პროც. (დანარჩენი მოდის სხვა მამოძრავებლებზე, ორთქლის, ელექტრონის და სხვ.) ფაქტიურ მუშაობის დროს წლის განმავლობაში აღნიშნული შეფარდება სრულიად იცვლება ისე, რომ მუშა-საქონლის ძალის გამოყენება იძლევა უკვე—61,4 პროც., ხოლო ტრაქტორების—5,7 პროც.

ასეთივე მდგომარეობა არის მუშაობის ღირებულების დროს. ჩვენ ვიცით, რომ ერთი ცხენის ძალის ღირებულება ერთი საათის განმავლობაში ჯდება ერთი-ორად მეტი, ვიდრე იგივე ძალა მიღებული ტრაქტორით: ამავე დროს მიღებული ძალის ასეთი შეფარდება სრულიად იცვლება ხანგრძლივი მუშაობის დროს და დამოკიდებულია სხვადასხვა გარეგან პირობებზე, ისე რომ გამოანგარიშება და დარწმუნებით თქმა იმის, თუ რამდენათ ძვირი, ან იაფი დაჯდება ამა თუ იმ ძალის გამოყენება, დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ჩვენში ტრაქტორები, უმთავრესად აქვთ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კოლექტივებს, კომუნებს და სახელმწიფო დაწესებულებებს. ასე, რომ, თუ კარგად იქნება დაყენებული ტრაქტორების მუშაობის საქმე, ტრაქტორი სავსებით გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს. აქ უმთავრესია ტრაქტორის შეფარდება ადგილობრივ ნიადაგის და სხვა პირობებთან, თავისი სისტემის და ძალოვნობის მიხედვით, უმთავრესია სავსებით გამოყენება ტრაქტორის ძალისა, რომ იმ დროს როდესაც ხვნა არ სწარმოებს, ტრაქტორი არ იდგეს უქმად, არამედ ასრულებდეს სხვა სამუშაოს.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორის უზრუნველყოფას სამარაგო მასალით, სათბობ და საცხებ მასალით, როგორც უზრუნველყოფას, ისე იაფად თავის დროზე მიწოდებას. გამოცდილ და მცოდნე ტრაქტორისტების ყოლა ხომ აუცილებელია. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს მუდმივ დაკვირვებას და ცდებს, იმის გამოსარკვევად, თუ სად როგორი სისტემის და ძალის ტრაქტორებია გამოსაყენებელი და რენტაბელური. აღნიშნულ მუშაობის ხელმძღვანელობა, როგორც მთელი ეს საქმე ჩაბარებული აქვს გამოცდილ პირს, პროფ. ამირაჯიბს.

მიუხედავად იმისა, რომ აქ საჭიროა უფრო დეტალური გამოკვლევების მოხდენა საქართველოს ყველა რაიონებში, ნიადაგების მდებარეობის და სხვა ბუნებრივი პირობების შესასწავლად, მიწათმოქმედების კომისარიატმა გამოიტანა მაინც დასკვნები. თანახმად ამირაჯიბის მოხსენებისა, საქართველოს პირობებში, მძიმე ნიადაგიან მთიან ადგილებში, სარწყავ მიწებში ყველაზე გამოსაყენებელი და სასარგებლოა „ხოლტის" სისტემის ტრაქტორი. მძიმე ნიადაგიან დაკე ადგილებში, ურწყავ მიწებში—„ინტერნაციონალი", ხოლო მსუბუქ ნიადაგებში, სადაც ნიადაგის წინააღმდეგობა არ აღემატება 30 გირვანქას ზელტის 1 კვადრატიულ ვერშოკზე,—„ფორდზონის" სისტემის ტრაქტორი.

თუ მივიღებთ მხედველობაში ტრაქტორების ფასებს ადგილობრივ, (ფორდზონი ღირს 1.800 მან., ხოლტი 6.000 მ.) დავინახავთ, რომ შედარებით მძიმე ნიადაგებში ხოლტი უფრო სარგებლიანია ხოლო მსუბუქ ნიადაგებში ფორდზონი. ეს დებულება სავსებით ვერ ამოსწურავს ამა თუ იმ სისტემის ტრაქტორის დადებითს თუ უარყოფითს მხარეს. აქ საჭიროა ზედმიწევნითი შესწავლა ეკონომიური და ბუნებრივი პირობებისა, შესწავლა ნიადაგის მდებარეობის სხვადასხვა რაიონებში. ნიადაგის გამოკვლევას ხვნაზე და წინააღმდეგობაზე უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ საქმეში. სამწუხაროდ ეს საქმე საჭირო თანხების უქონლობის გამო ფერხდება და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს აქამდის არა აქვს საშუალება გამოკვლევების მოხდენისა. ასევე ითქმის სხვა გამოკვლევებზედაც. ჩემის აზრით ამ საქმეს უნდა მიექცეს ყურადღება სახელმწიფო ორგანოების მიერ.

რაც შეეხება მეორე პირობას, ტრაქტორების უზრუნველყოფას საწვავი და სხვა მასალით, სატრაქტორო მეურნეობანი იძენენ ყოველივე ამას სახ. სათბობ განყოფილებაში ადგილობრივ და აღნიშნულ მასალით შედარებით უზრუნველყოფილნი არიან, თუმცა აქაც საჭიროა მიწოდების უკეთესად დაყენება, რომ ტრაქტორებს საჭირო ნივთიერებანი არ აკლდებოდეს.

ტრაქტორისტების შესაფერ რაოდენობის მოსამზადებლად, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი იყო და კიდევ ეწყობა სატრაქტორო კურსები. კურსდამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა ტრაქტორისტის და ტრაქტორისტ-მექანიკოსის და ისინი სავსებით მომზადებულნი არიან ტრაქტორებზე სამუშაოდ. როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ტრაქტორისტები უმთავრესად სოფლებიდან არიან. სატრაქტორო მეურნეობებს სამარაგო ნაწილებს აწვდის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მანქანა-იარაღების ცენტრალური საწყობი.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტრაქტორების მუშაობის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების ყოველმხრივ და მაქსიმალურად გამოყენებას. ამისთვის ყოველი ტრაქტორი შეთანხმებული უნდა იყოს სამუშაო პირობებთან. სანამ ესა თუ ის ორგანიზაცია შეიძენდეს ტრაქტორს, წინასწარ უნდა შეისწავლოს ყველა პირობები და შესაძლებლობანი; წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა სამუშაო ექნება ორგანიზაციას ტრაქტორზე წლის განმავლობაში, მიწის დამუშავების გარდა რა და რა სამუშაოზე იქნება გამოყენებული ტრაქტორი. წინდაწინ უნდა იყვეს გათვალისწინებული ყველა ხარჯები. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადასწყვიტოს საკითხი ტრაქტორის შემძენ ორგანიზაციამ იმის შესახებ, თუ რომელი სისტემის ტრაქტორი შეიძინოს.

ძალიან საინტერესოა ჩვენთვის გამოკვლევა იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა არსებულ სატრაქტორო მეურნეობებში. ჯერ-ჯერობით სრული გამოკვლევა ამ მხრივ არ ყოფილა. ამ ჟამად მიმდინარეობს ეს გამოკვლევა, რომლის დათავების შემდეგ გვექნება სრული სურათი ტრაქტორების მუშაობის შესახებ.

ლ. მ—ი.

შეტაკებები მემაღაროეებსა და პოლიციას შორის სამხრეთ-უელსში

მაღაროს პატრონების ნაწილი თანახმაა გაადიდოს მემაღაროეთა ხელფასი 9—20 პროცენტით

ინგლისელი ფაშისტები კუკს სიკვდილით ემუქრებიან.—მემაღაროეთა პიკეტების დაპატიმრება

მთავრობა შეიარაღებულ ძალებს ამზადებს მაღაროებში ტეხნიკური მეთვალყურეების მოხსნისათვის ხელის შესაშლელად

პილსუდსკი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს მათრახით ემუქრება

ინგლისში ბრძოლა მწვავდება

ლეისტერშირის პოზიცია

ლონდონი, 22 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს მოხდა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის წარმომადგენელთა შეხვედრა ლეისტერშირის მემაღაროეთა საბჭოსთან, რომელმაც ამას წინად გამოსთქვა აზრი საერთო ინგლისის ფედერაციიდან სავსებით ჩამოშორების შესახებ.

ჯონ სმიტმა, ლეისტერშირის მემაღაროეთა კონფერენციის მდივანმა, რომელიც იყო მემაღაროეთა დელეგაციის მდივნად საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, მიმართა თავის ფედერაციის საბჭოს წერილით, რომელშიაც აცხადებს, **რომ მას განზრახვა აქვს იმუშაოს მხოლოდ ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც დაემორჩილება საერთო ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციას.** ეს წერილი გადასცეს ლეისტერშირის მაღაროების კომიტეტს.

დადგენილებას არ ასრულებენ

ლონდონი, 22 ოქტომბერი. მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი შეუთანხმდა მაღაროების მემანქანეთა, მექვაბეთა და მექანიკოსთა ფედერაციას (ტეხნიკურ მეთვალყურე მუშების მთავარი ორგანიზაცია) იმის შესახებ, რომ უახლოეს კვირაში შეხვდენ ერთი მეორეს. ეს არის მხოლოდ საკითხის გადადება, რადგან მაღაროს მემანქანეთა ფედერაციამ, თავისი წარმომადგენლის შერკის პირით განაცხადა, რომ ფედერაცია არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება ტეხნიკურ მეთვალყურე მუშების მოხსნას.

ფაშისტების მუქარა

ლონდონი, 23 ოქტ. კუკმა მიიღო ბლანკზე დაწერილი მუქარის წერილი, რომლის სათაურია „ინგლისელი ფაშისტები".

წერილში ნათქვამია: **„იქონიეთ სახეში, რომ თქვენი აღსასრულის საათი მოახლოვდა. თუ თქვენ არ შესწყვეტთ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას, თქვენი ხსნა მხოლოდ განგებას თუ შეუძლია. მოიგონეთ მატეოტის ბედი, თქვენ კიდევ უარესი მოგელით. გახსოვდეთ ეს გაფრთხილება".**

კამპანია მუშაობის შესაწყვეტად

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაცია ცენტრალურ ინგლისში ინტენსიურ კამპანიას აწარმოებს მაღაროებში მუშაობის შესაწყვეტად. მიუხედავათ ამისა საგულისხმოა ის გარემოება, რომ მთელი კამპანიის წარმოების დროს არც ერთხელ არ წამოყენებულა საკითხი ტეხნიკურ მეთვალყურე მუშების მოხსნის შესახებ; ეს საკითხი კი ერთი ძირითადი მუხლთაგანი იმ რეზოლიუციისა, რომელიც მიღებულ იქნა მემაღაროეთა ფედერაციის კონფერენციაზე 7 ოქტომბ. ეს აიხსნება იმით, რომ მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის წევრთა უმრავლესობა და მათ შორის სმიტი და კუკი არ იწონებენ ამ ნაბიჯს და იმედი აქვთ, რომ საკითხს უამისოდაც შემოევლება.

ბელადები საბოტაჟს ეწევიან—მთავრობა კი ემზადება

ლონდონი, 22 ოქტომბერი. კომპარტიის ორგანო „უორკერს უიკლი" აფრთხილებს მემაღაროეებს, რომ მემაღაროეთა ფედერაციის ზოგიერთი წევრი გამოიყენებს შერკის უარს იმისათვის, რომ საბოტაჟი გაუკეთონ ტეხნიკურ მეთვალყურე მუშების სამუშაოდან მოხსნის ცდას.

ამავე დროს მიღებულია ცნობა მთავრობის მზადების შესახებ. **რამოდენიმე განმანადგურებელი და კრეისერი გაჩნდა ფაიფშირის (შოტლანდია) სანახშირო რაიონის ნაპირებთან. გემებმა ჩაუშვეს ლუზები, რათა შესაძლებლობა ექნეთ მეზღვაურები მაღაროებში გაგზავნონ საქაჩაოებზე იმ შემთხვევაში, თუ მოხსნილი იქნებიან ტეხნიკური მეთვალყურე მუშები.**

გენერალური საბჭო და მემაღაროეთა გაფიცვა

ლონდონი, 23 ოქტ. თავის დილის სხდომაზე მემაღაროეთა აღმასკომთან ერთად, გენერალურმა საბჭომ გაარჩია მემაღაროეთა წარმომადგენლების თხოვნა ანარიცხებისა და ემბარგოს საკითხზე ტრედიუნიონთა სპეციალური კონფერენციის მოწვევის შესახებ. გენერალური საბჭო დათანხმდა ასეთი კონფერენციის მოწვევაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ ის განიხილავს მარტო ანარიცხების საკითხს.

დახმარების შეწყვეტა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. კასტლფორდის ოლქის ზოგიერთ მაღაროებში მუშაობის განახლების გამო—ადგილობრივი სამზრუნველო საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შემდეგში მემაღაროეთა ოჯახებზე დახმარების მიცემა უკანონობა იქნებოდა, რადგან მათ ყოველ წუთში შეუძლიათ განაახლონ მუშაობა, თუ ამას მოისურვებენ.

მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის თათბირი პროფკავშირთა გენერალურ საბჭოსთან

ლონდონი, 23 ოქტ. 22 ოქტომბერს შესდგა მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის თათბირი პროფკავშირთა გენერალურ საბჭოსთან. ფედერაციის აღმასკომმა მოითხოვა, რომ წარმოებებში მომუშავე მუშებს გადაერიცხოთ თანხები მემაღაროეთა სასარგებლოდ და რომ აკრძალული ყოფილიყო ქვა-ნახშირის გადმოზიდვა, გენერალურმა საბჭომ დაადგინა 3 ნოემბერს მოიწვიოს ლონდონში პროფკავშირთა აღმასკომების საგანგებო კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს „რა გზით" და რა საშუალებით შეიძლება საჭირო ფინანსიური დახმარების აღმოჩენა მემაღაროეთა აღმასკომისათვის.

პიუმ, რომელიც ხიკსის დაუსწრებლობის გამო თავმჯდომარეობდა სხდომას, ქვა-ნახშირის გადმოზიდვის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ პროფკავშირების აღმასკომთა მომავალი კონფერენცია ამ საკითხს არ განიხილავს, მაგრამ გენერალური საბჭო დაუყონებლივ ზომებს მიიღებს, რომ მუდმივი კავშირი იქონიოს იმ პროფკავშირებთან, რომელთაც ეს საკითხი შეეხება.

კუკმა განაცხადა, რომ ის კმაყოფილია გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილებით და დასძინა, რომ მემაღაროეები გაიმარჯვებენ, თუ მთელი პროფმოძრაობა მას დახმარებას აღმოუჩენს.

თანახმა არიან გაადიდონ ხელფასი

ლონდონი, 23 ოქტ. მთავრობამ დერბიშეირის პოლიციას მისცა განკარგულება, რათა აკრძალოს მიტინგები საგანგებო წესების კანონის მიხედვით.

სტაფორდშირისა და უორკშირის მაღაროს მეპატრონეებმა აცნობეს მუშებს, რომ ისინი მზად არიან მოუმატონ მათ სამუშაო ხელფასს 9—20 პროცენტამდე აპრილის განაკვეთებთან შედარებით. მაღაროს მეპატრონეთა ეს წინადადება, ალბად, დაკავშირებულია კავშირის აღმასკომის კამპანიის გაფართოებასთან ამ რაიონში, რომ შეაჩერონ მემაღაროელნი სამუშაოზე.

შეტაკება პოლიციასა და მემაღაროეებს შორის

ლონდონი, 23 ოქტ. პონტეფრექტში (იორკშირი) ორ კომუნისტ მემაღაროეს მიუსაჯეს სამი წლის ციხე იმის გამო, რომ მათ მოწოდებით მიმართეს შტრეიკბრეხერებს შეეწყვიტათ მუშაობა და აგიტაციას ეწეოდენ მუშათა თავდაცვის კორპუსის შედგენის სასარგებლოდ.

სამხრეთ უელსში ყოველ დღე ხდება შეტაკება პოლიციასა და მემაღაროეებს შორის. ტრიორჩში ორ საათს გაგრძელდა შეტაკება პოლიციასა და მემაღაროეებს შორის.

„დუქანი მემაღაროეებთან სავაჭროთ"

ლონდონი, 23 ოქტ. ლიბერალური პრესა გაცხარებით მსჯელობს „ტაიმსში" მოთავსებულ არტურ პიუს წერილზე, რომელშიაც ავტორი წინადადებას იძლევა, სამეფო სანახშირო კომისიის წინადადებების საფუძვლებზე დაიდოს დროებითი შეთანხმება მაღაროს პატრონთა და მემაღაროეთა შორის. ამით შესაძლებელი იქნება მაღაროებში მუშაობის განახლება და სანახშირო კრიზისის შენელება.

ლიბერალური პრესა აღნიშნავს, რომ ეს მოწყობილია გენერალურ საბჭოს მიერ, რომელსაც სურს 3 ნოემბრისათვის მოწვეული ტრედიუნიონთა აღმასკომების კონფერენცია გადააქციოს „მემაღაროეებთან სავაჭრო დუქნათ".

მემაღაროეთა პიკეტების დატუსაღება

ლონდონი. ლანკაშირში დატუსაღებულია 60 მემაღაროე, რომელნიც პიკეტების შემადგენლობაში შედიოდენ.

რეიტერი უარჰყოფს

ლონდონი, 22 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ოფიციალურად აცხადებენ, რომ ის ხმები, თითქოს მთავრობა ღებულობდეს ახალ ზომებს სანახშირო კონფლიქტის ლიკვიდაციის მოსახდენად, სინამდვილეს არ შეესაბამება.

პილსუდსკი მათრახით იმუქრება

„გლოს პრავდი"-ს წერილი

ვარშავა, 22 ოქტომბერი. პილსუდსკის ოფიციალური ორგანო „გლოს პრავდი" სწერს:

„მემარჯვენეების ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულობის ხასიათს იღებს. ნაციონალ-დემოკრატებს არც სახელმწიფოს მმართველობის პროგრამა გააჩნია და არც საკმაო ძალები ამ პროგრამის განსახორციელებლად. რომ დამარცხდეს ის ძალა, რომელიც ამჟამად სახელმწიფოს მართავს, მაშინ პოლონეთი რევოლიუციის წინაშე დადგებოდა და ნაციონალ-დემოკრატები მხოლოდ ქუჩის ფანრების ბოძებზე იპოვიდნენ ადგილს. **სამწუხაროდ, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო შეუძლებელი ხდება პოლონეთის უმათრახოთ მართვა.** ამის გამო შეიძლება მწუხარება გამოვსთქვათ, მაგრამ ამ ფაქტის დამალვა არ შეიძლება."

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში „გლოს პრავდი"-ს ამ წერილს უყურებენ, როგორც სამზადისს სეიმის სესიისთვის, რომელიც 30 ოქტომბერს გაიხსნება.

ვინ გაიმარჯვებს?

ვარშავა, 22 ოქტომბერი. პოლონეთის პოლიტიკური წრეები დიდი ინტერესით მოელიან სეიმის სესიის გახსნას, სადაც უნდა გაიმართოს მთავრობის და სეიმის უკანასკნელი ბრძოლა, რომელიც დაიწყო სექტემბერში, როცა სეიმმა შეკვეცა მთავრობის საბიუჯეტო პროექტი და ორ მინისტრს უნდობლობის პერსონალური ვოტუმი გამოუცხადა. როგორც ფიქრობენ მთავრობა წინადადებას შეიტანს, რომ მიმდინარე წლის მე-4 კვარტალის ბიუჯეტი გადიდებულ იქნას 34 მილ. ზლოტით, ე. ი. იმ თანხით, რამდენითაც ეს ბიუჯეტი სეიმმა შეკვეცა სექტემბერში.

როგორც იუწყებიან, სეიმის სესიის გახსნაზე 30 ოქტომბერს პილსუდსკი გამოვა საპროგრამო სიტყვით.

კანტონის ჯარების შეტევა

პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის

კანტონ. 23 ოქტ. გომინდანის აღმასკომმა პარტიის დასჯილ წევრების საკითხის შესახებ დაადგინა: გომინდანის პარტიის წევრები, რომელნიც არღვევენ პარტიულ დისციპლინას, გამოირიცხებიან პარტიიდან, **პარტიის წევრები**, რომელთაც დაბრალდებათ შეთქმულება პარტიის და კანტონის მთავრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ისინი, რომელნიც სპეკულიაციას ეწევიან ფულით, დასჯილნი იქნებიან სიკვდილით.

აღმასკომმა აღიარა, რომ პარტიის წევრნი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ, ვინემ უპარტიონი. გომინდანის წევრების გასამართლებას მოახდენს საგანგებო პარტიული კომიტეტი.

სახალხო არმიების გენერალთა განცხადება

პეკინი, 23 ოქტ. სახალხო არმიების ყველა გენერლებმა გამოაქვეყნეს საერთო დეკლარაცია, რომელშიაც ინგლისელების მიერ ვან-სიანისათვის ყუმბარების დაშენას უწოდებენ ხოცვა-ჟლეტას. გენერლები მოითხოვენ უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას, ჩინეთის დაუყონებლივ ევაკუაციას და უცხოეთის ყველა სამხედრო ძალების გაყვანას.

გომინდანის კონფერენცია

კანტონი, 23 ოქტ. გომინდანის კონფერენციამ, კანტონის მთავრობის განკარგულებაში არსებულ ტერიტორიის გაფართოების გამო **საჭიროდ სცნო დაარსდეს სამხედრო გზათა და იუსტიციის სამინისტროები. კანტონის არმიის მთავარსარდალმა ჩჟან-კაიშიმ დეპეშით აცნობა გომინდანის აღმასკომს, რომ მას საშუალება არ აქვს დაესწროს კონფერენციას, რადგან აუცილებელია მისი ფრონტებზე ყოფნა.** ჩჟან-კაიში აცხადებს, რომ კონფერენციის ყველა დადგენილებებს ის სავალდებულოდ სთვლის თავის თავისთვის.

პეკინი, 22 ოქტომბერი. იუწყებიან, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროვინციებიდან მიიღო ორმოცზე მეტი პეტიცია, რომელშიაც არის **მოთხოვნილება ჩინეთ-იაპონიის ძველი ხელშეკრულების გაუქმებისა და ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხელშეკრულებას.**

საავიაციო ბაზა სვატოუში

პეკინი, 23 ოქტ. კანტონის მთავრობამ გადასწყვიტა ააგოს სვატოუში საავიაციო ბაზა.

კანტონის მთავრობამ ბრძანება გასცა დააპატიმრონ ხენანის პროვინციის გუბერნატორი ჩჟან-ხენ-ტი, რადგან მან გამოიჩინა უდიერი მოპყრობა მუშებისადმი და აწამა მუშათა მოძრაობის ბელადები.

500 მუშის გაფიცვა

პეკინი, 22 ოქტომბერი. მუკდენიდან მიღებული ცნობით მატყლის სართავ ფაბრიკაში გაიფიცა 500 მუშა რუს თეთრგვარდიელ ზედამხედველის ცუდი მოპყრობის გამო.

ფინ-იუი-სიანის დეკლარაცია

პეკინი, 23 ოქტ. მიღებულია იმ დეკლარაციის სრული ტექსტი, რომელიც ფინ-იუი-სიანმა გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ.

„მე მაქვს გამბედაობა აღვიარო, განაცხადა ფინ-იუი-სიანმა, რომ მოსკოვში გამგზავრებამდე მე არ მქონდა გარკვეული რევოლიუციონური მსოფლმხედველობა და არ ვიყავი ღირსი სუნ-იატ-სენის მომხრის ან რევოლიუციონერის სახელწოდებისა. მე მისაყვედურებდნენ კარგ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი, მაგრამ **საბჭოთა კავშირი ხომ ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელიც ჩინეთს ეპყრობა ისე, როგორც თანასწორს. საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ძირითადი პრინციპია ჩაგრული ერების განთავისუფლება და ჯერ კიდევ სუსტი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის მხარის დაჭერა.**

ამ ჟამად სახალხო არმიები მასების მისწრაფებას გამოხატავენ. ეს არმიები ეკუთვნიან მასებს და მათი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე სდგანან. ყველგან, სადაც კი არ მოვლენ სახალხო არმიის ნაწილები, ისინი დახმარებას გაუწევენ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს რევოლიუციონური მუშაობის გაერთანების საქმეში.

დასასრულ ფინ-იუი-სიანმა განაცხადა: **„მე გომინდანის ერთი წევრთაგანი ვარ და შევასრულებ პარტიის ყველა გარდაწყვეტილებებს. ჩვენი ძალა ერთად მუშაობასა და დისციპლინაშია.**

კანტონელების გამარჯვება

პეკინი, 28 ოქტ. **ნან-ჩანი კვლავ კანტონის ჯარებმა დაიკავეს, ცზო-ზიანი მალე უნდა დაეცეს. სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა ნან-ჩანში დახვრიტეს 400 სტუდენტი, რომელთაც დააბრალეს კანტონის ჯარების თანაგრძნობა. სუნ-ჩუან-ფანს თავისი ჯარები მოჰყავს ცზიან-სის პროვინციიდან, რომელიც სავსებით კანტონის ჯარების ხელში გადადის.**

სახალხო არმიების საექსპედიციო კორპუსი შენსის პროვინციაში წარმატებით წინ მიიწევს სუნ-ჩუანისაკენ—უკანასკნელ სარკინიგზო პუნქტისაკენ, რომელიც აერთიანებს შენსის, შანსის და ხანანის.

პროვინცია შენსის გუბერნატორის ჯარები მარცხდებიან და უკან იხევენ კანტონის საზღვრებისაკენ.

ჩინეთის პრესა იტყობინება, რომ სუნ-ჩუან-ფანმა თავისი ჯარების ნაწილი გაგზავნა უ-პეი-ფუს დასახმარებლად პროვინცია ხენანში.

იაპონია კანტონის გადასახადების წინააღმდეგია

პეკინი, 22 ოქტომბერი. ჩინეთის პრესის შეუმოწმებელი ცნობების მიხედვით იაპონიის კონსულმა კანტონში აცნობა კანტონის მთავრობას, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო კანტონის ახალი გადასახადების წინააღმდეგია და მის შემოღებას იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულების დარღვევად სთვლის.

ჩ ე მ ბ ე რ ლ ე ნ ი

(უკანასკნელი პორტრეტი)



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, ა. წ. ოქტომბრის 25-ს საღამოს 6 საათზე მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი

სექციების მორიგი სხდომა

1. კომუნალური სექცია—აღმასკომის დარბაზში.

დღის წესრიგი: 1. ტრამვაის ტარიფის შემცირების შესახებ.

2. განათლების—ამ. განათლების განყოფილებაში.

დღის წესრიგი: 1. სასწავლო წლის დაწყების შესახებ. 2. მოხსენებები ადგილებიდან. 3. მიმდინარე საკითხები.

3. ჯანმრთელობის—ამ. პრეზიდიუმის კანცელარიაში ოთახი № 210.

დღის წესრიგი: 1. საანგარიშო მოხსენებები ორ აფთიაქის გამგეებისა და ერთიც საავადმყოფოს აფთიაქის გამგის. 2. მიმდინარე საკითხები

4. საფინანსო—ამ. საფინანსო განყოფილებაში.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა მსვლელობის შესახებ. 2. მოხსენება აღმასკომის განყოფილებებთან მიმაგრებულ საბჭოს წევრებისა, ბიუჯეტის შესრულების შესახებ მათ მიერ მოხდენილ გამოკვლევის შედეგებზე, 3. მიმდინარე საკითხები.

5. სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის—ამ. სადგილ მამულო განყოფილებ.

დღის წესრიგი: 1. ინსტრუქტორის მოხსენება კოჯორის აღმასკომის გამოკვლევის შესახებ. 2. სექციის მუშაობის გამოცოცხლების შესახებ. 3. საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ მაზრაში და ქალაქში.

ნ. 126 პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინტერესი საბჭ. კავშირისადმი ამერიკაში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. ამერიკის ბურჟუაზიული პრესა უკანასკნელ დღეებში დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირისადმი. რეაქციონური „ნიუ-იორკ ივნინგ-პოსტი“ აქვეყნებს საუბარს „ამტორგის“ გამგეობის თავმჯდომარე პრიგარინთან, რომელიც შეეხება ამერიკელი ინჟენერების მონაწილეობას მუშაობაში საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის გასაფართოებლად.

ვაჭარ-მრეწველთა წრეების ორგანო „ჟურნელ ოფ კომმერსი“ აქვეყნებს მთელ რიგ მასალებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და ამერიკა-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

ეკონომიურ წრეებში დაწვრილებით იხილავენ საბჭოთა ბაზრის გამოყენების შესაძლებლობას. მეორეს მხრით, ამერიკის შრომის ფედერაციას კვლავ მტრული პოზიცია უჭირავს საბჭოთა კავშირის მიმართ და აუცილებლად იბრძოლებს საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლო მოძრაობის წინააღმდეგ.

ლიტვას საბჭოთა კავშირის დახმარების იმედი აქვს

კოვნო, 23 ოქტომბერი. ლიტვის ოფიციოზი „ლეტუკა“ მოწინავე წერილს უძღვნის მდ. ნემანით ხე-ტყის მასალის გადაზიდვის საკითხს. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა, რომ არ დაეშვა ნემანის გამოყენება ხე-ტყის მასალის გადასატანად და ჰქმნიდა დაბრკოლებებს ლიტვის საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ ეს საკითხი მალე გადაწყდება და იმედოვნებს, რომ საბჭოთა კავშირი დაეხმარება ლიტვას ნემანზე სატრანზიტო ოპერაციების განვითარებლად.

„პოლსკა ზბროინა“-ს წერილი

ვარშავა, 22 ოქტომბერი. პოლონეთის სამხედრო სამინისტროს ოფიციოზი „პოლსკა ზბროინა“ წერილს უძღვნის არალოვის ჩასვლას რიგაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ არალოვმა კვლავ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა ყოველ დაინტერესებულ სახელმწიფოსთან ცალკე აწარმოოს მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამ განცხადებაში გაზეთი ხედავს „საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტურ მისწრაფებებს“.

ბანკირების მანიფესტის შემდეგ

ბანკირების მანიფესტი და შეერთებული შტატები

ვაშინგტონი, 23 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობის თანახმად შეერთებული შტატების მთავრობა ფიქრობს, რომ საერთაშორისო ფინანსისტების დეკლარაციას, რომელიც მოითხოვს საბაჟო ზღუდეების გაუქმებას, მხედველობაში არ აქვს შეერთებული შტატები.

მაგრამ ასეთი განმარტების ცდა უშედეგო გამოდგა. დეკლარაციის განხილვა ფართო მასშტაბით გრძელდება, კვლავ აყენებენ საკითხს შეერთებულ შტატებში შესატანი საქონლის ბაჟების შესახებ.

ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ დეკლარაციის გამოქვეყნება ჰქმნის საფრთხეს იმ ვალების გაუქმებისათვის, რომელიც ევროპიულ სახელმწიფოებს მართებთ შეერთებულ შტატებისა.

მებამბეობის კრიზისი

ლონდონი, 23 ოქტომბერი. „დეილი მეილის“ ქაირელი კორესპონდენტი იუწყება ალექსანდრიის საბამბო ბირჟაზე მომხდარ პანიკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბამბის ფასების დაწევასთან. მთავრობის ღონისძიებათა დაგვიანება ფასების დაწესებაში ჰქმნის სამინისტროს კრიზისის მუქარას. მინისტრების შეხედულებებს შორის სერიოზული უთანხმოებაა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მთავრობამ უნდა მისცეს მებამბეებს 4 მილ. გირ. სტერლინგი ბამბის დასათესად—სხვები კი ასეთ ზომას პალიატიურ საშუალებათ სთვლიან და მოითხოვენ, რომ მთავრობა გაუყვეს მიწათ-მოქმედთა სინდიკატის ნაჩვენებ გზას და თითონაც გამოვიდეს ბაზარზე. პრემიერი ამ ღონისძიების წინააღმდეგია.

სხვადასხვა

ხელფასის გადიდებას მოითხოვენ

ბერლინი, 11 ოქტომბერი. რეინის სანაოსნო ხაზ-ბის მოსამსახურენი მოითხოვენ ხელფასის 10 პროცენტით გადიდებას.

მაღაროს ჩამონგრევა

ბერლინი, 11 ოქტომბერი. ბოტროპეს მაღაროებში (რეინლანდი) მიწის ჩამონგრევის გამო დაიღუპა ოთხი მემაღარო.

ევგენიკური კონგრესი

პარიზი, 11 ოქტომბერი. რეიხსტაგის შენობაში გაიხსნა პირველი საერთაშორისო ევგენიკური კონგრესი.

კომუნალური არჩევნები ბრიუსელში

პარიზი, 11 ოქტომბერი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობის თანახმად, კომუნალური არჩევნების პირველი შედეგები ხელსაყრელია კათოლიკებისა და ლიბერალებისათვის.

იტალიის მინისტრები

პარიზი, 11 ოქტომბერი. გრაფი ბონინი, ლონგარო, შალოია და მანჯიაგალდი იტალიის მთავრობამ დანიშნა მინისტრებად.

ბერლინის პოლიციის უფროსი ცერგიბელი

ბერლინი, 10 ოქტომბერი. ბერლინის პოლიციის უფროსად კრჟეზინსკის ნაცვლად, რომელიც დანიშნული იყო პრუსიის შინაგან-საქმეთა მინისტრის მიერ, დაინიშნა კელნის პოლიციის უფროსი ცერგიბელი.

პუანკარეს გამგზავრება

პარიზი, 11 ოქტომბერი. გუშინ პუანკარე გაემგზავრა ელზას-ლორენში.

იაპონიის მეზღვაურები საფრანგეთში

პარიზი, 11 ოქტომბერი. სამოსწავლო ფლოტის უფროსი,—იაპონიის ადმირალი იამატო და მისი შტაბი ჩავიდა პარიზში.

მარქსი ერთა ლიგის შესახებ

პარიზი, 11 ოქტომბერი. კანცლერ მარქსმა ესსენში განაცხადა, რომ გერმანიას აქვს განზრახვა ლოიალურად ითანამშრომლოს ერთა ლიგაში.

უკანასკნელი ცნობები

რუსეთ - აზიის ბანკის ლიკვიდაცია

პეკინი, 22 ოქტ. გამოქვეყნებულია სია იმ პირთა, რომლებსაც მინდობილი აქვთ რუსეთ-აზიის ბანკის განყოფილებათა ლიკვიდაცია ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებში და აგრეთვე დაწვრილებითი ინსტრუქციები ლიკვიდაციის მოსახდენად.

მიწისძვრა გორში

გორი, 23 ოქტომბერი. 22 ოქტომბერს გორში საგრძნობი იყო ნიადაგის რყევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

მიწის ძვრა სან-ფრანცისკოში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. სან-ფრანცისმა ბერმა 21 ოქტომბერს ანგორის მთავრობას გადასცა რწმუნების სიგელი.

შეტაკება არაბებსა და ინგლისელებს შორის

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ბაღდადიდან მიღებული ცნობით, ბაღდადისა და ხმელთა შუა ზღვის სანაპიროების გზაზე შეიარაღებული შეტაკება ხდება არაბებსა და ინგლისელებს შორის. ინგლისელები ისვრიან აეროპლანებიდან და ჯავშნოსანი ავტომობილებიდან.

პოლონეთის ელჩი ანგორაში

ანგორა, 23 ოქტომბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პოლონეთის ელჩმა ბიერმა 21 ოქტომბერს ანგორის მთავრობას გადასცა რწმუნები სიგელი.

კრედიტები ამიერ-კავკასიას

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. ამიერ-კავკასიის ბიუჯეტით პირველ კვარტალში სასოფლო-მეურნეობისათვის გახსნილია 419.000 მან. კრედიტი. ამაში შედის: რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების ძირითადი კაპიტალების გადიდებისათვის—213.000 მან., ღარიბი გლეხობის ფონდისათვის—156.000 მან. და ახალ ადგილზე დასახლებისათვის—50.000 მან.

პოლონეთ-ლატვიის ხელშეკრულება

ვარშავა, 22 ოქტომბერი. გაზეთებში გამოქვეყნებულია გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობა იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში რიგაში დაიდება პოლონეთ-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულება. ამ ცნობაში ხაზ-გასმულია, რომ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის პოლიტიკის აქტიობის გაძლიერებისათვის ბალტიის სანაპიროებზე.

ფონ-გეში და ბრიანი

პარიზი, 22 ოქტომბერი. გერმანიის ელჩის ფონ-გეშის ბრიანთან შეხვედრის შესახებ „ტანი“ სწერს:

„საკითხის წინასწარი გადაწყვეტილების გაადვილებისათვის გერმანიამ გადაჭრით უნდა უარჰყოს არაკეთილსინდისიერი პოლემიკა ელჩთა კონფერენციის სამართლიან მოთხოვნილებათა წინააღმდეგ. დაახლოება შეუძლებელია, თუ არ იქმნა შესრულებული ვალდებულებანი განიარაღების საქმეში“.

მიწის ძვრა

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. 22 ოქტომბერს სან-ფრანცისკოში მიწის ნიადაგის მძლავრი რყევა მოხდა, რომელსაც ნივთიერი ზარალი არ მოჰყოლია. 2 საათის შემდეგ კვლავ მოხდა ნიადაგის რყევა, რომლის ძალა საგრძნობი იყო 240 მილის მანძილზე სან-ფრანცისკოს სამხრეთით.

კიდევ ერთ საათის შემდეგ რყევა მოხდა მესამეჯერ, რომელმაც მცირეოდენი ნივთიერი ზარალი გამოიწვია.

ინგლისის ბიუჯეტის დეფიციტი

პარიზი, 23 ოქტომბერი. მემაღაროეთა გაფიცვის მიზეზით, ინგლისის ბიუჯეტის დეფიციტი საბიუჯეტო წლის პირველ შვიდ თვეში ავიდა 86 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

ქარიშხალი

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. გავანაზე მომხდარი ქარიშხალით მოკვდა 50 კაცი, დაშავდა 200. ქარიშხალი გადავიდა სამხრეთ ფლორიდაში, სადაც დიდი ზარალი გამოიწვია.

ჰიდროაეროპლანის დაღუპვა

ლონდონი, 23 ოქტომბერი. საცდელი გადაფრენების დროს კუნძულ მალტას მახლობლ. ხმელთა შუა ზღვაში დაიღუპა ინგლისური ჰიდრო-აეროპლანი. დაიღუპა სამი აფიცერი და რადიო-ტელეგრაფისტი.

კომპანიების გაერთიანება

ლონდონი, 23 ოქტომბერი. ერთიანდებიან ინგლისის 4 დიდი ქიმიური კომპანია ბრონნერ მონდი, ნობელ ინდუსტრიო, ბრიტიშ დაისტეფო კორპორეიშენ და იუნაიტედ ალკოლო კომპანი.

მიწის ძვრა სან-ფრანცისკოში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. სან-ფრანცისკოდან მიღებული ცნობით იქ მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. ზარალი არ არის.

პირდაპირი მიმოსვლა

ბერლინი, 22 ოქტომბერი. გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოწვეულია ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის შორის პირდაპირი მიმოსვლის საკითხის მოსაგვარებლად. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ 13 სახელმწიფოს წარმომადგენელნი. კონფერენციის მუშაობა 2 კვირამდე გაგრძელდება.

ქარიშხალი

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. კუნძულ კუბასა და დასავლეთ ინდოეთში ქარიშხალმა იმსხვერპლა 650 კაცი. უბინაოდ დარჩა 6.500 კაცი. კუნძულზე დაინგრა 10 ქალაქი და სოფლები. ნივთიერი ზარალი 100 მილ. დოლარამდე აღწევს.

ჩაიძირა 2 გემი, დაზიანდა 9.

ძალიან დაზიანდა ფაბრიკები, თამბაქოს პლანტაციები, ნავთის საწყობები და შაქრის ქარხნები.

ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების წინააღმდეგ

სოციალ - დემოკრატები და ჰოგენცოლერნებთან შეთანხმება

ბერლინი, 23 ოქტომბერი. გერმანიის სოციალ - დემოკრატ მუშებში თანდათან იზრდება ოპოზიციონური განწყობილება სოც.-დემოკრატების ლიდერებისადმი ჰოგენცოლერნებთან დადებული შეთანხმების გამო. ოპოზიციონერ მუშების გავლენა გავრცელდა მთელ რიგ რაიონებში. ბერლინში გაიმართა სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა პრუსიის ლანდტაგის წევრი ბარტელსი. დამსწრეთა უმრავლესობამ დემონსტრატიულად დასტოვა დარბაზი. ამის გამო ბარტელსმა მიაძახა წასულებს: „თქვენ დაავადმყოფებული ხართ კომინიზმით“-ო. დარბაზში გაისმა ხმაური — „ჩვენ თუ კომუნისტები ვართ — თქვენ მონარქისტები ყოფილხართ“.

დასასრულ კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ლანდტაგის სოც.-დემ. ფრაქციის მიმართ.

მასიური პროტესტი

ბერლინი, 22 ოქტომბერი. ბერლინის სასპორტო სასახლეში შესდგა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი სოც.-დემოკრატების გამცემლური მოქმედების გამო ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების საკითხში.

ამხ. ტელმანისა და ლედებურის შემდეგ მიტინგზე გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მუშა-ქალთა დელეგაციის წევრი—მილლერი, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა კავშირში არსებული პირობები და გერმანიის მდგომარეობა.

მიტინგმა ერთხმად მიიღო ჰოგენცოლერნებთან დადებულ შეთანხმების საკითხში სოც.-დემოკრატების პოზიციის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია.

საბჭოთა კავშირში

ვორონოვის ექსპედიციის დაბრუნება

ლენინგრადი, 23 ოქტომბერი. ბოტანიკოს ვორონოვის ექსპედიციამ დაასრულა მუშაობა სამხრეთ ამერიკაში და ლენინგრადში დაბრუნდა. უკანასკნელ დრომდე ექსპედიცია მუშაობდა სამხრეთი კოლუმბიის მიუვალ მთებსა და სავსებით გამოუკვლეველ ადგილებში, სადაც დღემდე არ შესულა არც ერთი ევროპიელი. ლენინგრადელი ბოტანიკოსები პირველი ევროპიელები იყვნენ, რომლებიც მთიელ ინდიელ ტომებს ესტუმრენ. ინდიელები პირველ მკვლევარებს მაინც და მაინც თავაზიანად არ შეხვდნენ. ექსპედიცია დაეშვა ეკვატორიდან ორი გრადუსით დაბლა. მუშაობა სწარმოებდა ძლიერ მძიმე პირობებში. ტროპიკულ ტყეებში ექსპედიციას არა ერთხელ დასჭირდა თავს ველური ცხოველები. ექსპედიციამ შეაგროვა კაუჩუკის თესლი, რასაც თანამედროვე პირობებში—კაუჩუკის ნაკლებობის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ექსპედიციის მუშაობით დაინტერესდა კოლუმბიის უნივერსიტეტი; მისი დახმარებით ექსპედიციამ წარმატებით შეასრულა თავისი სამუშაო.

კრედიტები

პურის საცხობი ქარხნების მოსაწყობად ა.-კავკასიაში

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. სახელმწიფო კოოპერატიული პურის ცხობის მექანიზაციის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა შემდეგი ხარჯების გაღებას ითვალისწინებს ამიერ-კავკასიაში პურის ქარხნების ასაგებად: 1926-27 წ. ერევანისათვის — 110.000 მან., ბაქოსათვის — 260.000 მან. 1927-28 წ. თბილისისათვის—260.000 მან., 1928-29 წ. ბათომისთვის —110.000 მან., 1929-30 წ. ქუთაისისათვის — 110.000 მან.

საუბარი ამხ. იურენევთან

ბაქო, 23 ოქტომბერი. მოსკოვიდან თეირანში მიმავალი იურენევი, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში შეჩერდა ბაქოში.

აზერბეიჯანის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში იურენევმა განაცხადა:

„უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში სპარსეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მტრები ცდილობენ თავის ინტერესებში გამოეყენებიათ მთელ რიგ იმ საკითხების მოუწესრიგებლობა, რომლებიც შეეხებოდენ საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ინტერესებს. მაგრამ უნაყოფოა მათი ეს ცდა. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მტკიცე ნიადაგზე დგას. საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის პოლიტიკა—არის აღმოსავლეთის ერებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა, რაც შეგნებული აქვთ სპარსეთის ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ელემენტებს.

1926 წლის დასაწყისში სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო დამოკიდებულებაში არსებული სიძნელენი თითქმის სავსებით გადალახულია. ბაქოსი და ნიჟეგოროდის ბაზრობა საწინდარია იმის, რომ სულ მოკლე ხანში სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო დამოკიდებულება ჩადგება ნორმალურ კალაპოტში და დარწმუნებული ვარ, რომ სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობა, რომლითაც ორივე ქვეყანა არის დაინტერესებული, განვითარდება და განმტკიცდება წლიდან წლამდე“.

პარტიული ცხოვრება

საკავ. პარტკონფერენცია გაიხსნება 26 ოქტომბერს

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. საკავშირო მე-XV-ე პარტკონფერენცია გაიხსნება 26 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე.

პარტკონფერენციის დელეგატები

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის მე-XV პარტკონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს დაახლოვებით 800 დელეგატი. აქედან: 343—ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დანარჩენები — ცეკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები და ცენტრალურ დაწესებულებების წარმომადგენლები.

დღემდე უკვე ჩამოვიდენ შორეულ აღმოსავლეთის, ყაზახსტანის, ჩრდილოეთ-კავკასიის და ზოგიერთი გუბერნიების დელეგატები.

ს. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმი

საინფორმაციო ცნობა

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ცენტრალურ სარევიზიო კომისიის წევრების თანდასწრებით.

პლენუმმა დაამტკიცა ცეკას პოლიტბიუროს მიერ მოწონებული თეზისები ამხ. **რიკოვის**—„სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ“ და ამხ. **ტომსკის**—„პროფკავშირების მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები“—(იხ. „პრავდა“ № 244 და 245) და დაადგინა ეს თეზისები განსახილველად წარედგინოს მე-15 პარტკონფერენციას.

პლენუმმა დაამტკიცა მე-15-ე პარტკონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც წინად პრესაში იყო გამოქვეყნებული, მხოლოდ შეავსო ის ოპოზიციის და შინაპარტიული მდგომარეობის საკითხით და ამ საკითხის შესახებ მომხსენებლად დანიშნა ამხ. **სტალინი**.

მოისმინა რა ცნობა ამხ. **მოლოტოვისა**—ცეკას პოლიტბიუროს სახელით და ამხ. **იაროსლავსკის**—ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სახელით,—შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ ცეკას მთელ რიგ წევრების მიერ ფრაქციული მუშაობის წარმოებისა და პარტიული დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით, პლენუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება

1) ვინაიდან ცეკას წევრებმა ამხ. ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა, პიატაკოვმა, ევდოკიმოვმა, სოკოლნიკოვმა, სმილგამ და ცეკას წევრობის კანდიდატმა ამხ. ნიკოლაევამ დაარღვიეს პარტიული დისციპლინა, **ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი აფრთხილებს ამ ამხანაგებს და მიუთითებს მათ იმაზე, რომ ასეთი საქციელი დაუშვებელია პარტიის ხელმძღვანელ დაწესებულებების წევრების მხრივ.**

2) იმის გამო, რომ ამხ. **ზინოვიევი** არ გამოხატავს საკავშირო კომპარტიის (ბ) ხაზს კომუნისტურ ინტერნაციონალში და ვინაიდან მან ფრაქციული მუშაობის ხელმძღვანელობით კომუნისტურ ინტერნაციონალში ნდობა დაჰკარგა მთელ რიგ კომუნისტურ პარტიების თვალში (გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხ.), რის შესახებაც უკანასკნელებმა განაცხადეს თავის გადაწყვეტილებებში, **ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას შეუძლებლად მიაჩნიათ ამხ. ზინოვიევის მუშაობა კომუნისტურ ინტერნაციონალში.**

3) ვინაიდან ამხ. ტროცკი და კამენევი ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შემდეგ ხელმძღვანელ ფრაქციულ მუშაობას ეწეოდენ, **ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი ადგენს: განთავისუფლებულ იქნეს ამხ. ტროცკი ცეკას პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან, ხოლო ამხ. კამენევი—ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან.“**

ამხ. ძერჟინსკის სიკვდილის გამო პლენუმმა დაადგინა ცეკას შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს ცეკას წევრობის პირველი კანდიდატი ამხ. **ორახელაშვილი**.

ს. კ. პ. ც. ს. კომისიის მეოთხე პლენუმი

მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შედეგები

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს საკავშირო კომპარტიის ც. ს. კ. პლენუმის საღამოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენება მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შედეგების შესახებ.

ძირითადი მოხსენება იყო ამხ. კოსაროვისა, შემდეგ თანამოხსენებები წაიკითხეს სახკომების საბჭოთა რუსეთისა ილინმა, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკისა ვლადიმიროვმა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკისა რადუსზანკოვიჩმა.

ამხ. კოსაროვმა აღნიშნა, რომ საადმინისტრაციო ხარჯების გადასინჯვა მოხდა 208 სამეურნეო ორგანიზაციაში. (ბანკებში, სინდიკატებში, ტრესტებსა და გამომცემლობაში):

შემდეგ გამოკვლევა შეეხო ადგილებზე ორმოც საქონლის გამტარებელ დაწესებულებას და ბოლოს მოსკოვში გამოკვლეული იყო 743 სავაჭრო წარმომადგენლობა.

გამოკვლევითი მუშაობა უმთავრესად ეხება 1925-26 წლის პირველ ნახევარს და ამიტომ ყველა მასალები ნაკლები ღირებულებისაა. ისინი ეხებიან უმთავრესად მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის წინა პერიოდს. აქ ხარჯების გადაჭარბება უაღრესად დიდია.

ამჟამად ზოგიერთ ადგილებში დაიწყო ხარჯების შემცირება. სავალალოდ ხარჯები იკვეცება ძლიერ ცოტა რაოდენობით. ამ უმსგავსოების გამოსწორება თვით გამგეობების საქმეა. გამგეობები ყოველდღიურად უნდა ატარებდენ მომჭირნეობის რეჟიმს. 742 სავაჭრო წარმომადგენლობიდან მოსკოვში შეამცირეს 356. ეს მუშაობა—კოსაროვის თქმით, იყო ზერელე. თუ კი მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ საქმეს ხელს სპეციალურად მოკიდებს—მაშინ შესაძლებელია შემცირება უფრო დიდი იქნეს. ამჟამად ეს ამოცანა გადაეცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება

მოსკოვი, 2[illegible] ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე 22 ოქტომბერს მოსმენილ იქნა **ლებედის** მოხსენება სახელმწიფო პარტიის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გააფთრებით ებრძვიან ბიუროკრატიზმსა და ჩვენს სახელმწიფო მუშაობის პროცესში შემჩნეულ დამახინჯებას. ძირითადი მიზეზი ბიუროკრატიზმისა არის ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობა და ნაკლებ კულტუროსნობა. მთავარი ძალა, რომელიც პარტიამ უნდა გამოიყენოს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დროს, არის მუშურ-გლეხური მასა.

აღნიშნა რა, რომ 1926 წლის საარჩევნო კამპანიის შედეგათ რამოდენიმე ათი ათასი მუშა და გლეხი ჩაბმულ იქნა სახელმწიფო მმართვასა და საბჭოთა აღმშენებლობაში, აღნიშნა რა მუშ-გლეხკორთა მოძრაობის დიდი განვითარება დაზგის მუშებისა და სოფლის მეურნე გლეხების დაწინაურება, საწარმოო კომისიების ზრდა, იმ კომისიების, რომლებიც, ყოველ ეჭვს გარეშე, წარმოადგენენ მრეწველობის, მეურნეობის და სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციაში მუშების მონაწილეობის ერთ-ერთ სოციალისტურ ფორმას, მომხსენებელმა განაცხადა, რომ არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, თითქოს ჩვენ სახელმწიფო აპარატს დაეკარგოდეს პროლეტარული შინაარსი, როგორც ამას ოპოზიცია სახავს.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ოპოზიცია არ გამოდგა მართალი, თითქოს პროლეტარიატი ჩვენში ჰკარგავდეს თავის ხვედრითი წონას. „1926 წელში—ამბობს მომხსენებელი—მუშების რიცხვი გაიზარდა 30 პროცენტით, იმ დროს, როცა მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა მხოლოდ და მხოლოდ 12 პროცენტით, თუ კიდევ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ უკანასკნელ ციფრებში შედიან დაწინაურებული მუშათა კადრები, მაშინ ოპოზიციის მტკიცება მით უფრო ყალბი და შემცდარი იქნება“.

ლენინის დროშის ქვეშ

ს. კ. პ. ცენტრ. კომიტეტის ცირკულიარი

ოქტომბრის რევოლიუციის 9 წ. თავის ჩატარების შესახებ

მოსკოვი, 23 ოქტ. საკავშირო კომპარტიის ცეკა ადგილობრივ ორგანიზაციებს ცირკულიარულ წერილში აძლევს წინადადებას, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლის თავი ჩაატარონ შემდეგი ლოზუნგებით: ჩვენი პარტიის მთლიანობა და დარაზმვა ლენინურ დროშის ქვეშ, მუშების შემჭიდროება პარტიის ირგვლივ, მშრომელი გლეხობის დარაზმვა პროლეტარიატის ირგვლივ, მუშურ-გლეხური კავშირისა და პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცება და ამით საბჭოთა კავშრის სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვების უზრუნველყოფა.

მუშათა და გლეხთა მასიურ კრებებსა და მიტინგებზე, კლუბებსა, ქოხ-სამკითხველოებსა და პრესაში ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული სოციალისტური აღმშენებლობის მიღწევანი, მისი სიძნელენი და პერსპექტივები და ჩვენი ამოცანები სოციალიზმისაკენ წინსვლის საქმეში.

ფართოდ უნდა იქმნას გაშუქებული მშრომელი მასების წინაშე ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიული აზრი, როგორც ისეთი მოვლენის, რომელმაც პირველმა გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დაიწყო პროლეტარული რევოლიუცია და ბრძოლა სოციალიზმის აღმშენებლობისათვის.

აუცილებელია მიღწევა იმისა, რომ დემონსტრაციებსა, კრებებსა და სახალხო დღესასწაულებში ჩაბმულ იქნან ფართო ფენები მუშებისა, მათი ცოლებისა, მოჯამაგირეების, და ღარიბი გლეხობის და აგრეთვე საშუალო შეძლების გლეხობისა, შინამრეწველებისა და სხ.

ცეკა კატეგორიულად ავალებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ მაქსიმალური და სასტიკი მომჭირნეობა დაიცვან ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებისათვის ხარჯების გაღების დროს.

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ქუთაისი

ქუთაისის გარნიზონში მდგომ სამხედრო ნაწილების გაერთიანებულმა პარტიულმა კრებამ რიცხვით 200 კაცმა, კანდიდატებთან და კომკავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა და გაარჩია რა ამხანაგ ა. რამიშვილის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, აღიარებს, რომ ახალი ოპოზიციონური ბლოკი მოკლებულია ყოველგვარ პრინციპიალურ საფუძვლებს და წარმოადგენს ლიკვიდატორულ მოვლენას ჩვენს პარტიაში.

აცხადებს, რა პერმანენტულ რევოლიუციის თეორიას სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ მენშევიკურ იდეებთან (ოსოვსკის „ორი პარტიის თეორია“ და მედვედევის თეორია კომინტერნის და პროფინტერნის გაუქმების შესახებ და სხვა) ერთად, თავის ოფიციალურ იდეოლოგიად, ახალი ოპოზიციონური ბლოკი ილაშქრებს ლენინიზმის—ბოლშევიზმის ძირითად საფუძვლების წინააღმდეგ.

პანიკიორობა და სკეპტიციზმი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის საქმეში, პირდაპირი შედეგია ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის ანტილენინურ თეორიისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად ბოლშევიზმი.

ახალ ოპოზიციის ეკონომიურ პლატფორმას წარმოადგენს მრეწველობის პროდუქციაზე ფასების მომატება და გადასახადების გადიდება გლეხობაზე, ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად. კრება აცხადებს, რომ ეს პლატფორმა, ე. ი. ფასების და გადასახადების აწევის პოლიტიკა მიგვიყვანდა კონფლიქტამდე გლეხობასთან, რომელთანაც კავშირი, როგორც ამხ. ლენინი მუდამ გვასწავლიდა, შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენს და რომელთანაც (გლეხობასთან) საქონლის გაცვლა-გამოცვლა უკანასკნელისათვის ხელსაყრელ პირობებში, ლენინისავე აზრით უნდა შეადგენდეს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის პირველ ამოცანას.

კრება აღშფოთებულია იმით, რომ ახალი ოპოზიცია, მიუხედავათ იმისა, რომ მას ქონდა საშუალება დაეცვა თავისი შეხედულებანი პარტიის უმაღლეს ორგანოებში (სადაც ისინი იყვნენ შეყვანილი). პარტიის წესდების ფარგლებში, მაინც მიმართავს ბრძოლის ანტი-პარტიულ და ფრაქციულ მეთოდებს, რაც ეწინააღმდეგება ლენინის პარტიის ორგანიზაციულ პრინციპებს და ბოლშევიზმის ტრადიციებს.

კრება განსაკუთრებით კიცხავს ჩვენებურ ოპოზიციონერების გამთიშველ „მოღვაწეობას“, ერთხმად უჭერს მხარს ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის ორგანიზაციულ ღონისძიებებს ფრაქციონერების წინააღმდეგ და მოუწოდებს ცეკას მომავალშიაც აწარმოოს დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ქუთაისის გარნიზონის კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ, როგორც საერთოდ მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ და კავკ. წითელ-დროშიან არმიამ, ისე ქართულმა ნაწილებმაც წარჩინებულად დაიჭირეს გამოცდა და დარჩენ თავიანთი მოწოდების სრულ სიმაღლეზე პარტიისათვის ასეთ მძიმე მომენტში.

კრება კიცხავს ამხ. ზალუცკის უპასუხისმგებლო და მავნე ფრაქციონულ გამოსვლას, ქართველ გაკოტრებულ ოპოზიციონერებთან ერთად, და ერთსულოვნად უერთდება თბილისის და ბაქოს გარნიზონების კომუნარების დადგენილებებს ზალუცკის დაუყონებლივ გაწვევის შესახებ.

არა პესიმისტური წუწუნი, არა ჩხავილი, არამედ საქმიანი მუშაობა სოციალისტურ მშენებლობისათვის—აი ჩვენი ლოზუნგი.

საერთო კრებამ, მოისმინა აგრეთვე რა ინფორმაცია ოპოზიციის ლიდერების განცხადების შესახებ, რომ ისინი მავნედ და მიუღებლათ სთვლიან ბრძოლას ფრაქციონულ მეთოდს, ფიქრობს რომ ეს არის ოპოზიციის უკან დახევა მას შემდეგ, რაც მუშების ფართე მასებში მათ განიცადეს სრული დამარცხება. კრება ფიქრობს, რომ მათ საბოლოოთ უნდა აიღონ ხელი ბრძოლაზე ცეკას წინააღმდეგ და აღიარონ თავიანთი პრინციპიალური და იდეური შეცდომები პარტიის წინაშე.

ძირს ანტილენინური ოპოზიციონური ბლოკი!

— გაუმარჯოს ერთად-ერთს და მთლიან კომუნისტურ პარტიას!

სურამი

(გორის მაზრა)

17 ოქტომბერს შესდგა სურამის თემორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა კრება, რომელსაც კომკავშირის აქტივიც დაესწრო.

კრებამ მოისმინა ამხ. ა. დარახველიძის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „სურამის თემის პარტორგანიზაციის წევრთა კრება, მოისმინა რა მან ამხ. ა. დარახველიძის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ტროცკის, კამენევის, ზინოვიევის და სხვა ოპოზიციონერთა შეხედულება სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე სავსებით ეწინააღმდეგება ლენინიზმს. მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის მე-14 ყრილობამ და შემდეგ ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულმა პლენუმმა უარყო ოპოზიციონერთა შეხედულებები, ისინი მაინც განაგრძობენ ცდას თავზე მოახვიონ თავის აზრი პარტიას და ამ მიზნით შეეცადენ დაეწყოთ დისკუსია. თავის ფრაქციული და გამთიშველი მუშაობით, დისციპლინის დარღვევითა და ლენინურ ცეკას წინააღმდეგ გალაშქრებით, ოპოზიციამ მშრომელთა აშკარა მტრებს შეუწყო ხელი, რისთვისაც მათგან მოწონება დაიმსახურა. კრება აცხადებს, რომ ოპოზიციის ასეთი მოქმედება ვნებს პროლეტარიატის საქმეს და სავსებით უერთდება იმ ღონისძიებებს, რომელიც პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღო გამთიშველთა წინააღმდეგ. კრება ავალებს სათანადო პარტორგანიზაციებს შემდეგშიაც განაგრძოს ბრძოლა ყოველგვარ გადახრასთან პარტიის ხაზიდან, რათა დაცულ იქნეს ლენინის პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე,

გაუმარჯოს მტკიცე, ფოლადისებურ დისციპლინით შეკავშირებულ ერთად-ერთ და მთლიან კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელ შტაბს—ლენინურ ცეკას“!

ხაშური.

მოვისმინეთ რა ამხ. თოდრიას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) და ც. საკ. კომისიის ივლისის პლენუმის და ახალი ოპოზიციის შესახებ, ხაშურის რაიონის პარტორგანიზაციის და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება, ეყრდნობა რა ხაშურის პარტ-უჯრედის ცალკე დადგენილებებს, ერთხელ კიდევ ადასტურებს და აცხადებს, რომ ახალი ოპოზიციის მოქმედება განზრახ თუ უნებლიეთ მიმართულია კომპარტიის დაუძლურებისა და ორ პარტიათ გარდაქცევის ცდისაკენ.

მიუხედავად ოპოზიციის გარეგნული ფიცისა და „მემარცხენე“ ელფერისა—მისი შინაგანი ბუნება გაჟღენთილია ნაწილობრივ მენშევიზმის საწამლავით.

გარდა ამისა, ოპოზიციის ერთ ნაწილს აშკარად ემჩნევა უიმედობა, შიში, და სავსებით რწმენის დაკარგვა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობისადმი, რაც ნიშნავს ლენინიზმის [illegible].

მართალია უკანასკნელ ხანებში ოპოზიციამ „შეიგნო“ და აღიარა თავისი შეცდომა, რაც სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ისინი კვლავ არ გაიმეორებენ ასეთ უთავბოლო და უნიადაგო გამოსვლას და არ შეეცდებიან პარტიის მთლიანობის შერყევას.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, ხაშურის ორგანიზაცია, გადაჭრით მოითხოვს ოპოზიციის ყოველივე ნაშთების და უსარგებლო დისკუსიის ძირ-ფესვიანად აღმოფხვრას და მის მეთაურ-მიმდევრების ისე დასჯას, რომ მათ კვლავ აღარ გაბედონ კომპარტიის რიგების შერყევის ცდა.

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას ხაზს და მის ფოლადისებურ სიმტკიცეს!

ბიუროების არჩევნები

(ბიუროების გადარჩევის გამო)

ამ დღეებში ყველა უჯრედებში თითქმის დამთავრდა ბიუროების გადარჩევა. უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნების კამპანია განსაკუთრებული სიცხოველით ჩატარდა ყველგან. უჯრედების სხდომებზე დასმული იყო მოხსენებები, როგორც ბიუროს მუშაობის, ისე კომკავშირის უჯრედის, ფაბქარხკომის ფრაქციის და სამეურნეო დაწესებულებაში მომუშავე კომუნისტებისა. ყველა ეს მოხსენებები სხდომაზე გულდასმით და ყურადღებით იქნა მოსმენილი და გარჩეული. იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ძლიერი იყო ინტერესი პარტიის წევრთა და კანდიდატების მხრივ მოხსენებისადმი, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მომხსენებელს ხშირად რამოდენიმე ათეულ საქმიან შეკითხვებს აძლევდენ, ხოლო მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათშიც ამხანაგების საკმაოდ მნიშვნელოვანი რიცხვი იღებდა მონაწილეობას. მოხსენებათა მოსმენას და არჩევნებს რამოდენიმე, ზოგან 3-4 სხდომა უნდებოდა, რაც აგრეთვე ამტკიცებს უჯრედების საქმიან მიდგომას საკითხების გარჩევისადმი.

აღსანიშნავია აქ ისიც, რომ უჯრედების ბიუროების ხელახალ არჩევნებს პარტიული მასა განსაკუთრებით ფხიზლად მოეპყრა და სავსებით გამოიყენა აქ შინაპარტიული დემოკრატია. არჩევნები ყველგან პერსონალური კენჭის ყრით მოხდა, ხოლო ბიუროში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვი ზოგან ორ-სამჯერ აღემატება ასარჩევთა რიცხვს.

ყველაფერი ეს ნათლად ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ პარტიული მასა გაიზარდა, რომ ის შეგნებულად და ფხიზლად ეკიდება საქმეს, და გარდა ამისა, შინაპარტიული დემოკრატიის გატარების საქმეშიც უკვე არის მნიშვნელოვანი მიღწევები.

როგორც მოხსენებიდან და აგრეთვე მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, უჯრედების შინა-მუშაობაშიც არის საგრძნობი მიღწევები, ასე მაგალითად, გაღრმავდა და მოწესრიგდა უჯრედების სხვადასხვა კომისიების მუშაობა, გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა პროფესიონალურ ორგანოებზე ფრაქციების საშუალებით და სხვა. მაგრამ კამათიდან გამოირკვა ნაკლიც. აღინიშნა, მაგალითად, რომ სუსტია ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე („ავიაქიმი“, „წერკუმსი“, „საშეფო საზოგადოება“) სუსტია მასიური მუშაობა, სუსტია პარტიულების მონაწილეობა საწარმოო თათბირების მუშაობაში, არ არის მოწესრიგებული უმაღლეს უჯრედებში ხელმძღვანელობა კომკავშირზე, ზოგან ძლიერ მოიკოჭლებს ქალთა შორის მუშაობა და სხ...

ყველა ამ ნაკლის გამოსასწორებლად ახალ ბიუროებს სათანადო დირექტივები მიეცა.

ბანიძე.

სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედში

ა.-წ. 21 ოქტომბერს შესდგა სახელმწ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა კომუჯრედის ბიუროს უკანასკნელი 6 თვის მუშაობის ანგარიში და ბიუროს ახალი არჩევნები. ანგარიშით, ბიუროს მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. დ. ცხაკაია. მოხსენებიდან გამოირკვა რომ, მიუხედავად იმისა რომ უჯრედის ბიურო გადარჩეული ყოფილა სამეცადინო წლის დამთავრებისას, ე. ი. იმ დროს როდესაც მოსწავლე სტუდენტობა სწყვეტდა მეცადინეობას და სოფლად მიეშურებოდა, რის გამო პარტიის უჯრედის მუშაობა ძალზე შემცირებული იყო, მას მაინც ქონია საგრძნობი მიღწევები. მას მიუღია აქტიური მონაწილეობა სტუდენტთა აღმასბიუროს, რომელიც 7000-ზე სტუდენტობას აერთიანებს, საერთო ხელმძღვანელობაში აღმასბიუროს ფრაქციის საშუალებით, სტუდკომებში აქტიურ უპარტიო სტუდენტების წამოყენებაში, საგნობრივ კომისიის მუშაობის რაციონალურად წარმართვაში, უნივერსიტეტის გამგეობაში წარსაგზავნ ამხ. შერჩევაში და სხ. სხვა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. დოლიძემ, ვ. ანდღულაძემ, მთ. კომ. მდივან. ნ. სვანიძემ და ქალაქის რაიკომის პასუხისმგებელ ამხ. ვ. დარახველიძემ, რომლის თავმჯდომარეობის ქვეშ მიმდინარეობდა სხდომა. კამათის დასასრულს საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით გაწეული მუშაობა ბიუროს მიერ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ უკანასკნელ ხანებში ბიუროსა და მთელი უჯრედის მუშაობას დაეტყო საგრძნობი გამოცოცხლება, შეიქმნა ამხანაგური ატმოსფერა და ბოლო მოეღო იმ კონკლაობას რომელსაც ადგილი ქონდა უწინდელ ბიუროთა მუშაობის დროს. რაც შეეხება შინაპარტიულ მდგომარეობას, რომელზედაც შეჩერებული იქნა კრების ყურადღება ამხ. ვ. დარახველიძის მიერ, საერთო კრებამ თავის რეზოლიუციაში ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უჯრედის 3—4 წევრი თავისი უპრინციპო გამოსვლებით სხვადასხვა რაიონებში ქმნიდენ ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს სახ. უნივერსიტეტის პარტიული უჯრედი იზიარებდეს მათ ასეთ გამოსვლებს, მაშინ როდესაც უჯრედი მთლიანად მათის გამოკლებით სდგას ცეკას და მე-14 პარტყრილობის დადგენილებების პოზიციებზე სავსებით, და შეეცდება ლაგამი ამოსდოს ყველას, ვინც კი ცდილობს პარტიის შიგნით წყლის ამღვრევას და უთანხმოების შეტანას.

ვ. ა.

ახალი საარჩევნო ინსტრუქცია

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ც. ს. კ. ივლისის გაერთიანებულმა პლენუმმა აღიარა, რომ სამოქალაქო ომის გათავებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ 1926 წ. საბჭოების ხელახალი არჩევა წარმოადგენს ფართო და ღრმა სარჩევნო კამპანიას (პლენუმის რეზოლ. 1 მუხ.). ამ კამპანიამ გამოამჟღავნა მასების გაზრდილი აქტიობა, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ჩააბა მუშებისა და გლეხების ფართო მასები და დიდათ ხელი შეუწყო საბჭოების გამოცოცხლებისა და საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას.

მიუხედავათ ამისა პლენუმი აღნიშნავს პარტიის პოლიტიკური ხაზის დამახინჯების ფაქტებს. „ასეთს ფაქტებს, ამბობს რეზოლიუცია, უნდა მიეკუთვნოს პარტიის ხაზის საწინააღმდეგო გადახრა, რომელსაც ადგილი ქონდა საარჩევნო ინსტრუქციების შემუშავებისა და განმარტებების დროს (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოების მხრით) და აგრეთვე საარჩევნო პრაქტიკაში ამ ინსტრუქციებისა და განმარტებების არასწორად გაფართოებით გამოყენებას ადგილებზე“.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარჩევნო უფლებებს მოკლებულ პირთა რიცხვის შემცირებით და ეს იმ დროს, როცა, როგორც ქალაქში, ისე სოფლადაც ადგილი აქვს ბურჟუაზიული ელემენტების ერთგვარ ზრდას.

ამიტომ ერთ-ერთ პრაქტიკულ ამოცანად პლენუმს მიაჩნია, რომ „სისწორით იქნეს გატარებული საბჭოთა კონსტიტუციისა და სათანადო ინსტრუქციებით დაწესებული საარჩევნო ნორმები, ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც საბჭოთა კონსტიტუციით არა აქვთ საარჩევნო უფლება, არ მიიღონ მონაწილეობა საბჭოების არჩევაში“.

ამ დირექტივის შესასრულებლად საკავშირო ცაკის მიერ დამტკიცებულია ახალი ინსტრუქცია საბჭოების არჩევის შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს წინადადება ეძლევა შეიტანონ ცვლილებები მათ მიერ საბჭოების არჩევის შესახებ გამოცემულ ინსტრუქციებში.

ახალ საარჩევნო ინსტრუქციაში დაწვრილებითაა აღნიშნული თუ როგორ სდგება საარჩევნო კომისიები, როგორ განისაზღვრება ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებებს მოკლებულ პირთა წრე, აღნიშნულია საარჩევნო უფლებებში აღდგენისა და საარჩევნო უფლებებს მოკლებულ მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესები, აგრეთვე საარჩევნო კრებების მოწყობისა და ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების ცაკების და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ საარჩევნო ინსტრუქციებში რაიმე ცვლილებების შეტანის წესი ყოფაცხოვრების თავისებურებათა. და სხვა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად დაწვრილებით აღვნუსხოთ მთელი საარჩევნო ინსტრუქცია, არამედ შევეცდებით აღვნიშნოთ მხოლოდ ის მთავარი ცვლილებები, რომლებიც შეაქვს საკავშირო ცაკის ინსტრუქციას ამ ჟამად არსებულ საარჩევნო ინსტრუქციაში ის ახალი მომენტები, რომელთა ირგვლივაც მოგვიხდება მთელი ყურადღების შეჩერება ახალი საარჩევნო ინსტრუქციის შედგენის დროს.

საკავშირო ცაკის საარჩევნო ინსტრუქცია აღნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მიერ შექმნილ ცენტრალურ საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იქნენ იმ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასა და სასოფლო მეურნეობასთან და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც (ინსტრუქციის 1 მუხ.).

თუმცა ამ ჟამად მომქმედი საარჩევნო ინსტრუქცია (რომელიც არის დამტკიცებული სრულიად საქართველოს ს. ს. რ. ცაკის მიერ 1925 წ. 25 ნოემბერს) არ იძლევა პირდაპირ მითითებას ამის შესახებ, მაგრამ საქართვ. ს. ს. რ. ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა 1926 წ. საბჭოების ხელახალ არჩევნებს, საერთოდ შედგენილი იყო ახალი ინსტრუქციის მიერ აღნიშნულ პრინციპის მიხედვით. მასში შედიოდენ სრულიად საქართველოს ს. ს. რ. ცაკის მუშა-წევრები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული წარმოებასთან, საპასუხისმგებლო ადგილებზე არჩეული გლეხები და ავტონომიურ რესპუბლიკ. და ოლქების წარმომადგენლები. მომავალ საარჩევნო კამპანიაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა კიდევ უნდა შეივსოს იმ მუშებითა და გლეხებით, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასა და სასოფლო მეურნეობასთან და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც.

ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების და აგრეთვე საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიებში, ახალი ინსტრუქციის თანახმად შეყვანილი უნდა იქნენ წარმომადგენლები: პროფკავშირებიდან, კომკავშირიდან, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებიდან, ქალაქის საბჭოდან, წითელი არმიიდან, გლეხური ორგანიზაციებიდან (საურთიერთო დახმარების საზოგადოებები, გლეხკომები და სხ.) და ეროვნულ უმცირესობებიდან. ჩვენი საარჩევნო ინსტრუქცია განსაზღვრავს მხოლოდ სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობას.

მითითება იმის შესახებ, თუ რომელი ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან უნდა შესდგებოდეს საარჩევნო კომისიები, მოცემულია სრულიად საქართველოს ს. ს. რ. ცაკის 1925 წ. 15 ნოემბრის ცალკე ცირკულიარით. ეს ცირკულიარი წინადადებას იძლევა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიები შესდგეს სამაზრო და საქალაქო აღმასკომის, სამაზრო და საქალაქო პროფბიუროს, სამაზრო ან საქალაქო პარტკომის, კომკავშირის, ქალთა სადელეგატო კრების, სამხედრო უწყების და სამაზ. გლეხკომის წარმომადგენლებისაგან, ხოლო სათემო საარჩევნო კომისიები კი—თემსაბჭოს და თემაღმასკომის, პარტიულ უჯრედის, კომკავშირის, ქალთა სადელეგატო კრების, „მიწა-ტყის“ კავშირის და სხ. წარმომადგენლებისაგან.

საარჩევნო უფლებებს მოკლებულ მოქალაქეთა კატეგორიების გამორკვევის საქმეში ჩვენმა ინსტრუქციამ დაუშვა შეცდომა, რომელიც ცეკას და ც. ს. კ. ივლისის გაერთიანებულმა პლენუმმა აღნიშნა როგორც პარტიული ხაზის დამახინჯება. ჩვენმა ინსტრუქციამ საარჩევნო უფლებებით აღჭურვა იმ ზოგიერთი კატეგორიების მოქალაქენი, რომელნიც ჩვენი ინსტრუქციის აზრით ასეთ უფლებებს მოკლებულნი უნდა იყვნენ.

ჩვენი ინსტრუქცია არ ართმევს საარჩევნო უფლებებს იმ პირთ, რომლებიც მისდევენ სასოფლო მეურნეობას და სარგებლობენ დაქირავებული შრომით ამ საგანზე არსებულ დამხმარე-დაქირავებითი შრომით სარგებლობის წესების თანახმად. ინსტრუქცია მხედველობიდან უშვებს თვით მეურნეობის ხასიათის განსაზღვრას.

ახალი საარჩევნო ინსტრუქცია კი განსაზღვრავს სწორედ მეურნეობის ხასიათს. ინსტრუქციის მე-11 მუხ. ამბობს, რომ საარჩევნო უფლებებით სარგებლობა **არ შეუძლია** იმ სოფლის მეურნეთ, რომლებიც სეზონურ ან მუდმივი დაქირავებულ შრომით სარგებლობენ იმ ზომით, რომელიც იმდენად აფართოებს მათ მეურნეობას, რომ სცილდება შრომითი მეურნეობის ფარგლებს.

ახალი საარჩევნო ინსტრუქცია საარჩევნო უფლებებს ართმევს: იმ სოფლის მეურნეთ, რომელთაც სამიწათმოქმედო მეურნეობას გარდა აქვთ კიდევ სარეწავი და სამრეწველო საწარმონი (წისქვილი და სხ.) და სარგებლობენ სეზონური ან მუდმივი დაქირავებული შრომით; შინამრეწველებს და ხელოსნებს, რომლებიც სარგებლობენ მუდმივი დაქირავებული სამუშაო ძალით.

გარდა ამისა, ახალი საარჩევნო ინსტრუქცია შეიცავს იმ მოქალაქეთა უფრო დაწვრილებით აღნუსხვას, რომლებიც უნდა მიეკუთვნონ კულაკების კატეგორიას და წაერთვას საარჩევნო უფლებები; აგრეთვე ის პირნი, რომლებიც მეზობელ მოსახლეობას სისტემატიურად აწვდიან საჭიროების დროს საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მუშა საქონელს და სხ. დროებით სარგებლობაში ან [illegible] აძლევენ მას კრედიტს (საქონლით ან ფულად კრედიტს) სავახშო პირობებში და ამ გზით ბატონობენ მოსახლეობაზე; სამრეწველო ტიპის საწარმოთა მეპატრონენი, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მოსახლეობას სახლში ამა თუ იმ სამუშაოს მიცემით (ინსტრუქციის მე-11 მუხ.).

მაგრამ ახალი საარჩევნო ინსტრუქცია არ ართმევს საარჩევნო უფლებებს:

ა) მიწის მუშა გლეხებს, რომლებიც საკუთარ მეურნეობაში სარგებლობენ ერთი მუდმივი მუშის დაქირავებული შრომით განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც არის: ავადმყოფობა, ჯარში გაწვევა, საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, რაც მოითხოვს მეურნეობისგან ჩამოცილებას, მეურნეობის არსებულ მდგომარეობის მთელი დროის განმავლობაში;

ბ) სოფლის მეურნეთ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მუშაობის უმთავრეს სეზონში ქირაობენ მოკლე ვადით არა უმეტეს 2 კაცისა პირნახულის მოსაწევად (ინსტრუქციის მე-12 მუხ.).

ცხადია, რომ გლეხური მეურნეობის დასახელებული კატეგორიები არ შეიძლება ჩაითვალონ არა შრომითი მეურნეობებად. იმ პირობით მხოლოდ, თუ ისინი ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ნიშნის მიხედვით არ ჩაირიცხებიან არა შრომითი კატეგორიაში, ე. ი. კულაკურ მეურნეობაში.

გარდა ამისა, ახალი ინსტრუქციის თანახმად არ ერთმევა საარჩევნო უფლებები იმ შინამრეწველებს და ხელოსნებს, რომლებიც აწარმოებენ შრომითი მეურნეობას დაქირავებულ სამუშაო ძალის გამოუყენებლად და აგრეთვე იმათ, რომლებიც წარმოების პირობების ძალით სარგებლობენ ერთი სრული ასაკის მუშის ან ორი შეგირდის დაქირავებული შრომით.

ჩვენი ინსტრუქციის თანახმად საარჩევნო უფლებებს არ იყვენ მოკლებული ის პირნი, რომლებიც ღებულობდენ პროცენტებს შემნახველ კასებში შეტანილ ანაბარებიდან და სახელმწიფო ობლიგაციებიდან, კომუნალურ და კოოპერატიულ სესხებიდან. მაგრამ ახალი ინსტრუქცია დასძენს, რომ ეს პირები იმ შემთხვევაში სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით, თუ რომ ასეთი შემოსავალი არ წარმოადგენს ძირითად წყაროს მათი არსებობისას.

არ კარგავენ საარჩევნო უფლებებს ის პირებიც, რომელთაც აქვთ პირველი კატეგორიის პატენტი (სავაჭრო).

ახალი ინსტრუქცია ამ პირთა წრეს ავიწროებს და საარჩევნო უფლებებს აძლევს მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც აწარმოებენ წვრილ ვაჭრობას დროებით განსაკუთრებული მიზეზების გამო, როგორც არიან: შრომისა და ომის ინვალიდები, რომლებიც ვაჭრობენ სოციალური დაზღვევის სახ. კომისარიატის უფასო პატენტებით, უმუშევარი მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ღებულობენ 1 კატეგორიის პატენტს.

ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ საარჩევნო უფლებების ერთგვარი გაფართოვება, რომელიც დაუშვა ჩვენმა ინსტრუქციამ, ნამდვილად არის პარტიული ხაზის დამახინჯება, მაგრამ საჭიროა მაინც აღინიშნოს, რომ იმ პირთა წრე, რომელთაც 1926 წ. არჩევნებში არ ქონდათ საარჩევნო უფლებები, მეტად უმნიშვნელო რაოდენობით შემცირდა. საქართველოში, თბილისისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის გამოკლებით, 1925 წ. საარჩევნო უფლებებს მოკლებული იყო 28.281 მოქალაქე, რაც შეადგენს ყველა სრულწლოვან მოქალაქის 2,7 პროცენტს, 1926 წ. საქართველოში (თბილისის, ავტ. რესპ. და ოლქის გამოკლებით) საარჩევნო უფლებებს მოკლებული იყო 25.537 მოქალაქე, რაც სრულწლოვან მოქალაქეთა 2,5 პროც. შეადგენს. ამრიგად 1926 წ. საარჩევნო უფლებებს მოკლებულ პირთა რაოდენობა 1925 წ. შედარებით შემცირდა მხოლოდ 0,2 პროცენტით.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ისიც, რომ 1926 წ. მთელ რიგ მაზრებში 1925 წელთან შედარებით, საარჩევნო უფლებებს მოკლებულ პირთა რაოდენობა არამც თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა, რაც იმით აიხსნება, რომ 1925 წ. ინსტრუქცია საარჩევნო უფლებების შესახებ ზოგიერთ ადგილებში არ იყო გამოყენებული სისწორით და ხშირათ ქონდა ადგილი ისეთ შემთხვევებს, რომ საარჩევნო უფლებებს ართმევდენ მოქალაქეთა ისეთ კატეგორიებს, რომელთაც საარჩევნო უფლებები კანონის ძალით ეკუთვნოდათ.

ჩვენი ინსტრუქციის თანახმად იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც პროფკავშირების წევრები არ არიან, როგორც მაგალ.: შინამრეწველები, ხელოსნები, დიასახლისები, მეეტლეები და სხვ., საარჩევნო კრებები ტარდებოდა ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.). ახალი ინსტრუქცია მოქალაქეთა აღნიშნულ კატეგორიებს ნებას რთავს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად საწარმოო ან პროფესიონალურ კრებებზე.

ახალი საარჩევნო ინსტრუქცია განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია კანდიდატთა სიების წარდგენა ან ცალკე კანდიდატების დასახელება—ასეთი უფლება აქვთ საზოგადოებრივ, პარტიულ, პროფესიონალურ და ცალკე მოქალაქეებს.

დასასრულ საკავშირო ცაკის ინსტრუქცია წინადადებას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს წარუდგინონ მათ მიერ გამოცემული საარჩევნო ინსტრუქციები საკავშირო ცაკს და აგრეთვე აცნობონ საარჩევნო ინსტრუქციაში შეტანილი ყველა ის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეული იყო ადგილობრივი პირობების თავისებურობით.

შ. მათიკაშვილი.

დიდი მიწისძვრა სომხეთში

მთავრობის ცნობა

ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

22 ოქტომბერს ქალაქ ლენინაკანსა და მის რაიონებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ნიადაგის პირველი სუსტი რყევა ქალაქში შემჩნეულ იქნა საღამოს 19 საათზე. ქალაქის სამხრეთით მდებარე სოფლებში ნიადაგის რყევა გაცილებით საგრძნობი იყო.

19 საათსა და 40 წუთზე განმეორდა უფრო ძლიერი რყევა, რომელსაც თან ხლევდა დედამიწის გუგუნი. 23 საათზე ბიძგი უფრო მეტი სიძლიერით განმეორდა. ნიადაგის რყევა გაგრძელდა დაახლოვებით 3 წუთს.

პირველი ბიძგებისთანავე ქალაქის ყველა მცხოვრებმა დატოვეს სახლები და ღამე გაათიეს მოედნებსა, ბაღებსა და მინდვრებში.

დღის დასასრულ აღრიცხულ იქნა მსხვერპლთა რაოდენობა: მოკლულია 15 კაცი, დაჭრილია 80; ლენინაკანის მოსაზღვრე სოფლებში აღრიცხულია 300 კაცი მოკლული და ამდენივე დაჭრილი.

ქალაქში დაინგრა მრავალი წვრილი შენობა, ზოგ სახლებში მხოლოდ ნაწილობრივ ნგრევას ჰქონდა ადგილი (ჩამოინგრა ღუმელი, სახლის თავი, ჩამოცვივდა გაჯი და სხ.)

უფრო მეტად სოფლები დაზარალდენ, განსაკუთრებით ის სოფლები, რომლებიც ქალაქის სამხრეთით მდებარეობენ. სოფლები—კარაკლისი, კალალთ და კუტული 90 პროცენტზე მეტად არის დანგრეული; ცოტა ნაკლებ დაინგრა სოფელი ალექსანდროვკა, დაგარლი, ბაიანდური. დანარჩენი სოფლები მხოლოდ ნაწილობრივ არიან დანგრეული.

პირველი ბიძგების დასრულებისთანავე ლენინაკანის გარნიზონი შეუდგა მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენას. ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ იქნა დაუყონებლივი აუცილებელი ზომები: თავი მოუყარეს მუშაობის უნარის მქონე მოსახლეობას, საექიმო პერსონალს, ტრანსპორტს და კავშირი გააბეს ჯერ თბილისთან, ხოლო შემდეგ ერევანთან.

დილისთვის მოსახლეობა უკვე დამშვიდდა და ამჟამად ქალაქში სიწყნარეა.

ლენინაკანსა და მის მიდამოებში მომხდარ უბედურობის შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე, ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ შედგენილ იქნა სპეციალური კომისია ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ხანოიანის მეთაურობით და კუჭაიძის, ოსეპიანის, ტერ-გაზარიანის, ნეჯაფოვის და ჩხეიძის შემადგენლობით. 17 საათზე კომისია უკვე ლენინაკანში იყო.

ერევნიდანაც გამოვიდა მთავრობის კომისია სომხეთის ცაკის თავმჯდომარე კარინიანის მეთაურობით.

დილით, 23 ოქტომბერს, თბილისიდან გავიდა სპეციალური მატარებელი, რომლითაც გაგზავნილ იქნა საექიმო დამხმარე რაზმი, შესახვევი მასალა, სადოსტაქრო იარაღები, თეთრეული და სხ.

იმავე დღის, საღამოს, დამატებით გაიგზავნა შესახვევი მასალა, თეთრეული და სხ. მიღებულია ზომები მოსახლეობის იმ ნაწილის ბინით უზრუნველსაყოფად, რომელიც ცის ქვეშ დარჩა. ამ მიზნით ლენინაკანში იგზავნება საწოლებით გამართული საბარგო რონოდები (გარდა იმისა, რაც ლენინაკანის პარკში არის) და კარვები.

ცნობების მიღებისთანავე და მოთხოვნილ დახმარების ხასიათის და მიხედვით, ამიერ-კავკასიის მთავრობა გასცემს დამატებით განკარგულებებს, რაც გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის ორგანოები გამოსთქვამენ ღრმა რწმენას, რომ ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ღონისძიებით მოშუშებულ იქნება ის მძიმე ჭრილობა, რომელიც მიწისძვრამ დააჩინა იმ ადგილს, საიდაც ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიცხოველით სწარმოებდა აღმშენებლობითი პროცესი.

თბილისი, სასახლე, 23 ოქტომბერი 19 საათი.

ლენინაკანი აღსდგება

ქალაქი ლენინაკანი—ჩვენი ძმური საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკის მეორე ქალაქია, ყოფილი ალექსანდროპოლი, რომელსაც გასაბჭოების შემდეგ ეწოდა ჩვენი დიდი გენიოსის და პროლეტარული რევოლიუციის დაუვიწყარ ბელადის ძვირფასი ილიჩის—ლენინის სახელი; ეს ქალაქი სავსებით ამართლებდა მისდამი უკანასკნელად მინიჭებულ საპატიო სახელს. აღმშენებლობითი მუშაობამ, რომელიც დაიწყო სამოქალაქო ომის ფრონტზე მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ, მხურვალე ენტუზიაზმით აღანთო, როგორც მთელი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ერები, ისე ამიერ-კავკასიის ყველა ხალხები. მათ შორის ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს პატარა საბჭოთა სომხეთს. ლენინაკანი უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში სხვა, არა საბჭოთა ქვეყანაში, წარმოუდგენელი აღმშენებლობის მხურვალე ენერგიით იყო ანთებული. ის ნგრევა-განადგურებანი, რომელნიც დაუტოვა მას ცარიზმისა და ბანდიტი ნაციონალისტების-დაშნაკების ბატონობის წყეულმა ხანამ, ლენინაკანმა აიკრიფა თავიდან და აღორძინდა, როგორც იტყვიან „აღსდგა ფერფლიდან". ეს კიდევ ცოტაა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა სომხეთის მუშურ-გლეხური მთავრობისა და ლენინაკანის ადგილობრივ მუშურ-გლეხურ საბჭოს დაუღალავი შრომით და ძალღონით გაყვანილ იქმნა შირაქის არხი, რომელიც ანაყოფიერებს მრავალ ასეულ დესეტინა მიწას. ლენინაკანმა დაამთავრა თავისი ცნობილი დიდი ფაბრიკის აგება, იგი აშენებდა ახალ ფაბრიკებს, ახალ ჰიდრო ელსადგურებს და სხ. ლენინაკანი ხდებოდა მუშათა და გლეხთა სანიმუშო საბჭოთა ქალაქად ახლო-აღმოსავლეთის ავანპოსტზე. მან მრავალი უბედურება და გაჭირვება გამოიცადა ცარიზმისა, დაშნაკელებისა და იმპერიალიზმის მიერ დაქირავებულ აგენტების სისაძაგლეთაგან... მაგრამ იგი, საბჭოთა კოლექტივიზმის დიადი ენერგიის მეოხებით აღსდგა, აღორძინდა... და აი, ეხლა, „უგუნური" სტიქია წინ გადაეღობა.

მაგრამ არა! თუ წარსულში, მიუხედავად მონურ და წოდებრივ-კლასიურ საზოგადოებათა, აზნაურების, თავადების, ფეოდალების და ბურჟუა-იმპერიალისტების სისაძაგლეთა და საზიზღროებათა, შრომის გენიამ შესძლო დანგრეულის აღდგენა, მით უმეტეს ეხლა, დიდი მუშურ-გლეხური ქვეყანა, რომელსაც მთელი დედა-მიწის ერთი მეექვსედი ნაწილი უჭირავს და რომელშიაც პროლეტარული დიქტატურა არის გამეფებული შესძლებს ლენინაკანის აღდგენას.

ლენინაკანი დაზარალდა, დაზარალდენ მის ირგვლივ მდებარე სოფლებიც (12), მაგრამ ლენინაკანი კვლავ აღსდგება ხვალ, ზეგ, იგი აღსდგება თავისი მთელი წითელი ჰაიასტანის, მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ნებასურვილით!..

გაუმარჯოს ლენინაკანს და მუშურ-გლეხურ სოციალისტურ საბჭოთა სომხეთს!

ჩვენი გმირული ძმური ხელები და მხურვალედ ანთებული გული დღეს გეკუთვნით თქვენ,—ლენინაკანის და მის ირგვლივ მდებარე დაზარალებული სოფლების ძვირფასო მშრომელნო!

ჩვენ ყველანი, მთელი დიდი საბჭოთა კავშირი თქვენთან ვართ, როგორც ყოველთვის, ჭირშიაც და ლხინშიაც!

ამ.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი მიხა ცხაკაია.

თბილისი, 23 ოქტომბერი.

დაწვრილებითი ცნობები

ლენინაკანი, 23 ოქტ. ლენინაკანის ისტორიას ასეთ ძლიერი მიწისძვრა არ ახსოვს.

პირველი სუსტი რყევა შემჩნეულ იქნა გუშინ 19 საათზე, ქალაქის სამხრეთით მდებარე სოფლებში ეს რყევა უფრო ძლიერი იყო.

19 საათზე და 50 წუთზე რამოდენიმეჯერ განმეორდა ძლიერი რყევა, რომლის დროს საშიშარი გუგუნი ისმოდა მიწიდან. 22 საათზე და 50 წ. კიდევ უფრო ძლიერი რყევა და გუგუნი განმეორდა; ნიადაგის რყევა 3 წუთამდე გაგრძელდა. ნიადაგის რყევა დროგამოშვებით ეხლაც გრძელდება.

პირველი რყევის შემდეგ ქალაქის მცხოვრებლები ქუჩებში გამოცვივდენ. ამის გამო შემდგომ რყევებს კაცის მსხვერპლი არ მოჰყოლია. პირველ რყევისაგან ქალაქში დღემდე აღმოჩნდა 10 მოკლული, 70-მდე მძიმედ დაჭრილი და ბევრი მსუბუქად დაშავებული.

მაზრიდან მიღებული პირველი ცნობების მიხედვით, მოკლულთა რიცხვი 300-დე აღწევს. სავსებით დანგრეულია სოფლები: ბაიანდური, ისმალეთის კარაკლისი და დაარლი.

ქალაქში ყველა სახლები დაზიანებულია; სახლების დაახლოვებით 50 პროცენტი დანგრეულია. განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქის სამხრეთი ნაწილი.

ქალაქის მცხოვრებლებმა მთელი ღამე მოედნებზე, ბაღებში და მინდვრებში გაატარეს. ზოგიერთ ქუჩებზე ნანგრევების გამო გავლა არ შეიძლება.

საჭიროა დახმარება

მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად დაარსდა სამაზრო კომისია. გამოწვეულია მთელი საექიმო პერსონალი. მობილიზაციაქმნილია მთელი ტრანსპორტი ყველა დაწესებულებებში.

საჭიროა სასწრაფო დახმარება ფარდულებით და საშენ ხე-ტყის მასალებით.

სატელეფონო კავშირი ერევანთან შეწყვეტილია.

ნიადაგის რყევა ერევანში

ერევანი, 23 ოქტომბერი. გუშინ ღამის 11 და 1-ლ საათზე ნიადაგი ირყეოდა. შენობების დანგრევას და ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

ერევანი, გუშინ, საღამოს 7 საათზე და ღამის 11 საათზე ერევანში იყო სუსტი მიწისძვრა. რესპუბლიკის სხვა მაზრებიდან ჯერ ცნობები არაა მოსული.

კავშირი აღდგენილია

ერევანი, 23 ოქტომბერი. სატელეგრაფო კავშირი ლენინაკანთან, რომელიც შეწყვეტილი იყო, აღდგენილია.

დეპეშა ერევნიდან

ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს თავმჯდომარემ ერევნიდან ა.-კ. რკინის გზათა რწმუნებულისაგან სომხეთში მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„22 და 23 ოქტომბერს ღამით მომხდარი ძლიერი მიწისძვრით ალაგეზიდან კალტახაჩამდე, როგორც ლენინაკანში, ისე მიდამო სოფლებში მრავალი სახლი დაინგრა. რკინის გზის ლიანდაგის ხაზზე სახლების ნგრევას არ ჰქონია ადგილი. არიან მოკლული და დაჭრილნიც. მოსახლეობა და მათთან ერთად რკინისგზელებიც მთელი ღამე ფეხზე იყვნენ საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით. მრავალი მუშა-მოსამსახურე დარჩა ცის ქვეშ. შედგენილია კომისია საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის გამოსარკვევად".

ნიადაგის განმეორებითი რყევა ლენინაკანში

ლენინაკანი, 23 ოქტომბერი. დღეს განმეორებით ნიადაგს ემჩნეოდა სუსტი რყევა.

ერევანი გლოვობს

ერევანი, 23 ოქტომბერი. დღეს ერევანი გლოვობს. მეცადინეობა სკოლებსა, უნივერსიტეტსა და მუშფაკში შესწყდა. თეატრებში წარმოდგენები გადაიდო. საღამოთი მოწვეულია ქალაქის საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელიც განიხილავს ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს.

მნახველთა ნაამბობი

ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის მოადგილე ამხ. გვერდწითელი, რომელიც ლენინაკანში გაემგზავრა, იტყობინება:—მდგომარეობა რკინის გზის ხაზზე თბილისიდან ლენინაკანამდე შედარებით დამაკმაყოფილებელია. არის უმნიშვნელო ზიანი ორ სადგურზე ლენინაკანს იქით.

მიღებულ ცნობების თანახმად, დანგრეულია ბაქანი ბაიანდური და სადგური აგინი.

სადგურ ლენინაკანში ფოსტის შენობა უვნებელია.

უფროსი სანიტარული ექიმი ამხ. ზედგინიძე, რომელიც ლენინაკანში გაემგზავრა ა.-კ. რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილების რაზმით, იტყობინება:

— რკინის გზის საავადმყოფო ოდნავ გაიბზარა, ავადმყოფთ ეზოში ეძინათ. რკინის გზის შენობები გზის ხაზის განაპირად ლენინაკანის მახლობლად არ დაზარალებულან.

დახმარება დაზარალებულთ

სომხეთის მთავრობის ღონისძიებანი

საგანგებო სამეული

შედგენილია საგანგებო სამეული ლენინაკანში მომხდარ მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. კომისიაში შედიან: ერზინკიანი (თავმჯდომარე), დურგარიანი და ტერ-არუთუნიანი..

ბინები დაზარალებულთათვის.

მიწისძვრის გამო თვით ლენინაკანში და მახლობელ სოფლებში უბინაოთ დარჩა მოსახლეობის დიდი ნაწილი. გადარჩენილი შენობები იმდენათაა დაზიანებული, რომ იქ ღამის გათევა სახიფათოა.

რკინისგზათა სამმართველომ უკვე გაგზავნა ლენინაკანში საბარგო რონოდები, რომელიც გამოყენებულ იქნება დაზარალებულთა ბინებათ. ამასთანავე გაიგზავნენ მესანგრეები, რომელთაც დავალება აქვთ სოფლებში დასდგან ტილოს კარვები დაზარალებულთა დროებითი თავშესაფარებლათ.

ერევანი ეხმარება ლენინაკანს

ერევანი, 23 ოქტომბერი. 22 ოქტომბერს, საღამოთი, როგორც-კი მიღებულ იქნა ცნობა ლენინაკანში მიწისძვრის შესახებ, მოწვეულ იქმნა სახ. კომ. საბჭოს კრება, რომელმაც მიიღო დადგენილებანი დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ლენინაკანში გაემგზავრა ცაკის თავმჯდომარე კრინიანი.

დღეს, დილით, გაემგზავრა საექიმო კომისია ჯანმრთელობის სახალხო კომისრის **ლაზარიანის** მეთაურობით.

მთავრობის კომისია ლენინაკანში

ლენინაკანი, 23 ოქტომბერი. ერევნიდან ჩამოვიდა სომხეთის სახკომსაბჭოს დადგენილებით შედგენილი რესპუბლიკანური საგანგებო სამეული დახმარების საქმის სახელმძღვანელოდ. სამეულის თავმჯდომარეა ერზინკიანი, ხოლო წევრები—დურგარიანი და ტერ-არუტუნიანი. კომისიასთან ერთად ჩამოვიდა სომხეთის ცაკის თავმჯდომარე კარინიანი.

სამეულმა კარინიანთან ერთად დაათვალიერა ქალაქი და რამდენიმე სოფელი.

საღამოთი ლენინაკანში ჩამოვიდა ა.-კ. ცაკის განსაკუთრებული კომისია ხანოიანის მეთაურობით. თბილისიდან, აგრეთვე, ჩამოვიდა სანიტარული მატარებელი საექიმო პერსონალით და მეხანძრეთა რაზმით.

სამეულმა შეადგინა სასურსათო კომისია, გაცემულია განკარგულება 12 სოფლის უღარიბესი მოსახლეობისათვის გამომცხვარი პურის მიწოდების შესახებ.

დახმარება თბილისიდან

ა.-კ. ცაკის კომისია

მიწის ძვრის შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის ამხანაგ ხანოიანის, კუჭაიძის, ოსეპიანის, ტერ-ყაზარიანის, ნაჯაფოვის და ჩხეიძის შემადგენლობით.

კომისიის განკარგულებაში გადაიდო თანხა. კომისიას დაევალა გამოარკვიოს დაზარალებულ მოსახლეობისათვის პირველი დახმარების რაოდენობა.

კომისია გუშინ ღამეს გაემგზავრა ლენინაკანში ავტომობილით.

ამხ. ხანოიანის გამგზავრება

23 ოქტომბერს დილის 8 საათზე ლენინაკანში ავტომობილით გაემგზავრა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ხანოიანი და საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. კუჭაიძე.

წითელი ჯვრის რაზმის გაგზავნა

23 ოქტომბერს დილის მატარებლით ლენინაკანში გაიგზავნა საქართველოს წითელი ჯვრის რაზმი.

რაზმში შედიან: ექიმები, სანიტარები, ფერშლები და „სათნოების დები". რაზმმა თან წაიღო შესახვევი მასალა, წამლეულობა და თეთრეული.

წითელი ჯვრის რაზმთან ერთად გაემგზავრა რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების რაზმიც.

მეხანძრეთა რაზმი

თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ გუშინ დილით ლენინაკანის რაიონში გაიგზავნა მეხანძრეთა რაზმი დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლათ.

რაზმმა თან წაიღო საჭირო ხელსაწყო იარაღები ნანგრევებიდან გაუვალ ქუჩების გასანთავისუფლებლათ.

აეროპლანი თბილისიდან

გუშინ დილით, მთავრობის განკარგულებით თბილისიდან ლენინაკანში გაფრინდა სამხედრო აეროპლანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ლენინაკანის და მის რაიონში სტიქიური უბედურებით დანგრეული სოფლების მდგომარეობა.

აეროპლანი უკვე დაბრუნდა თბილისში და მოიტანა ცნობა, რომ ლენინაკანზე უფრო დაზარალებულია ახლო-მახლო სოფლები, სადაც დანგრეულია შენობების 90 პროცენტი.

ცარიელი ვაგონების გაგზავნა

გუშინ ღამით თბილისიდან ლენინაკანში გაიგზავნა 50 ცარიელი ვაგონი. დღეს დილით ამდენივე ვაგონი კვლავ გაიგზავნება.

ჩრდილო-კავკასიის ორგანიზაციების დეპეშა

ჩრდილო-კავკასიის რკინის გზის გამგეობისაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„გადაეცით სახკომსაბჭოს და ა.-კ. საოლქო კომიტეტს, რომ გზათა კომისარიატის რწმუნებული, საოლქო აღმასკომი და ჩრდილო-კავკასიის საოლქო კომიტეტი გთხოვთ გვაცნობოთ, მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით ხომ არ დაგჭირდებათ რაიმე დახმარება და, აგრეთვე, დაწვრილებითი ცნობები მომხდარ უბედურების შესახებ".

ამის საპასუხოდ გაგზავნილია დეპეშა თხოვნით, გამოგზავნილ იქნას ცარიელი ვაგონები.

უსაფუძვლო შიში

უკანასკნელი მიწის ძვრის გამო ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ მიწის ძვრა მოსალოდნელია განმეორდეს და თბილისს საფრთხე მოელის. ამ ხმების გამო მოსახლეობა პანიკამ მოიცვა.

გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ მიიღო მთელი რიგი შეკითხვები იმის შესახებ, მოსალოდნელია თუ არა მიწის ძვრის განმეორება და მოელის თუ არა ქალაქს ამით რაიმე საფრთხე.

სეისმოლოგმა ბიუსმა ამის შესახებ განაცხადა, რომ მიწის ძვრის წინასწარმეტყველება არ შეიძლება, ხოლო თუ მიწის ძვრა განმეორდა, ეს იქნება პირველი მიწის ძვრების გაგრძელება და მისი ცენტრი იქნება პირველი მიწის ძვრის რაიონში. ამიტომ თბილისს არ მოელის საფრთხე და მოქალაქეთა შიშიც უსაფუძვლოა.

საუბარი ამხ. ჰუსეინოვთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ამხ. ჰუსეინოვმა განაცხადა შემდეგი:

„პირველი ცნობები ლენინაკანში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ ჩვენ გათენებისას მივიღეთ და უკვე დილის 6 საათისათვის მოწვეულ იქნა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის სასწრაფო სხდომა. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია მიწისძვრით გამოწვეულ ნგრევის ნამდვილი სურათის ასახვა, რადგან დაწვრილებითი ცნობები არ გვაქვს მიღებული, მაგრამ უდავოა, რომ მიწისძვრა საკმაოდ ძლიერი იყო და დიდი ზარალიც გამოიწვია.

პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ ამ მხრივ, ეს იყო მთავრობის კომისიის გაგზავნა ლენინაკანში ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ხანოიანის მეთაურობით, რომ ის ადგილობრივ გასცნობოდა საქმის მდგომარეობას და მიეღო სასწრაფო ზომები აუცილებელ პირველ დახმარების აღმოსაჩენად. ამ კომისიის განკარგულებაში გადაცემული იქნა განსაზღვრული თანხა; საჭიროების და მიხედვით, შემდეგშიც გადაიდება საჭირო თანხები.

დილის 9 საათზე კომისია გაემგზავრა ავტომობილებით. 10 ს. სპეციალური მატარებლით გაიგზავნა საქართველოს წითელი ჯვრის და ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილების დიდი რაზმი. რაზმი შესდგება მრავალი ექიმისა, ფერშლისა, მოწყალების დისა და სანიტარებისაგან და თან მიაქვს საკმაო რაოდენობის მედიკამენტები, შესახვევი მასალა და თეთრეული. ამავე მატარებლით გაიგზავნა მეხანძრეთა დიდი რაზმი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კომისია სომხეთის მთავრობის კომისიასთან ერთად, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობაზე დაყრდნობით, აღმოუჩენს საჭირო პირველ დახმარებას.

აქედან გაგზავნილ სამხედრო თვითმფრინავის დაზვერვამ გამოარკვია, რომ მიწისძვრას როგორც თვით ქალაქში, ისე მის ახლო მდებარე სოფლებში, დიდი ნგრევა მოუხდენია. მოსახლეობა გახიზნულა ქუჩებსა და მინდვრად.

სხვა ცნობების მიხედვით, ზოგიერთ ქუჩებზე გავლა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ გვაქვს მიღებული, მრავალია მოკლული და დაჭრილი.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით კომისიისაგან არა გვაქვს მიღებული ცნობები, მაგრამ, მე იმედი მაქვს, რომ საღამოს უკვე გვექნება უფრო დაწვრილებითი ცნობები.

მოსახლეობას ამჟამად ძალიან ესაჭიროება—კარვები, საამშენებლო მასალა, თეთრეული და სურსათ-სანოვაგე, ამ მხრივ გაცემულია განკარგულება დროებით საცხოვრებლად გამოსაყენებლად გაგზავნილ იქნას ცარიელი ვაგონები.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც ყველა ცნობები მოწმობენ, მიუხედავათ ასეთ შემთხვევებში შემაძრწუნებელ შიშისა და დაბნევისა, ადგილობრივმა აღმასკომებმა და სამხედრო ხელისუფლებმა თავი მოუყარეს ყველას, ვისაც კი მუშაობის უნარი ჰქონდა, პირველ საჭირო ზომების მისაღებად და დახმარების აღმოსაჩენად. დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, თუ რა გავლენას იქონიებს ეს მიწისძვრა იმ აღმშენებლობითი ტემპზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ ხანს ლენინაკანში. ჩვენ დღემდე არ გვაქვს ცნობები შირაქის არხისა და მაუდისა და საფეიქრო ფაბრიკების შესახებ.

ყოველ შემთხვევაში, როგორც სომხეთის, ისე ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მშრომელთა გაერთიანებული ძალღონით ჩვენ მოვახერხებთ ამ სტიქიური უბედურების შედეგების შენელებას და მოძმე სომხეთის რესპუბლიკის მშრომელთა მასებში სულიერი სიმტკიცის და აღმშენებლობითი ენერგიის შენარჩუნებას და განმტკიცებას.

გულწრფელი ძმური გრძნობით ჩვენ აღვნიშნავთ ჩრდილო-კავკასიის პარტიული და საბჭოთა საოლქო ორგანიზაციების სწრაფ გამოხმაურებას, დახმარების აღმოჩენის საქმეში."

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეულ დაწესებულებას და ორგანიზაციას აუცილებლად აქვს და უნდა ჰქონდეს საკუთარი წესდება და ინსტრუქციები, რომლითაც ის ხელმძღვანელობს მუშაობის დროს და, რომელიც განსაზღვრავს მოსამსახურე-თანამშრომელთა სამოქმედო ფარგლებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ და რომელი თანამშრომელი რა უფლება-მოვალეობის მატარებელია.

თუ დაწესებულებაში არ არის შექმნილი ისეთი პირობები, რომელიც საჭიროა საქმის კანონიერ ფარგლებში მსვლელობისათვის, მაშინ, როცა რაიმე შემთხვევაში შეცდომები ან ბოროტმოქმედება იქნება აღმოჩენილი, მეტად ძნელდება და ხშირად შეუძლებელიც ხდება ნამდვილ დამნაშავე პირთა მივნება, მათზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ ცალკე დამნაშავე აღმოჩენილია, სხვა ამავე ბოროტების ჩამდენ დამნაშავეთა აღმოჩენა ბოროტმოქმედების კავშირის და მთლიანი ძაფის აღმოჩენა, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მეტად ძნელია. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა რკინისგზელთა საქმე, რომელიც ამ ბოლო დროს ირჩეოდა თბილისის უზენაეს სასამართლოში და რომლითაც ბრალი ედებოდა 12 კაცს სხვადასხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენის გამო.

რკინის გზის ამკრეფ სამსახურში ადგილი ჰქონია ბევრ სხვადასხვაგვარ ბოროტმოქმედებას, რასაც თან ახლდა თანხების მითვისება, ყალბი საბუთების შედგენა და სხვა. დამნაშავეთა სახით წარმოდგენილი იყო სამსჯავროს წინაშე რამოდენიმე მოლარე და მენიხრე, ერთი მოანგარიშე, ამკრეფ სამსახურის საქმეთა მმართველი და ნაწილის უფროსი. ორი ბრალდებული კი გაქცეულია. როგორც მოხსენებულია, საქმეს ართულებდა და დავას იწვევდა არა თვით ბოროტმოქმედების ფაქტები, არამედ საკითხი იმის შესახებ, თუ რა თანამდებობრივი და უფლება-მოვალეობრივი კავშირია პასუხისგებაში მიცემულ პირთა შორის.

საქმის მსვლელობიდან აშკარად სჩანდა, თუ როგორ ერთი მეორეს საწინააღმდეგო მასალებს ემყარება ის ბრალდებულები, რომელიც წარდგენილია პასუხისგებაში მიცემულ პირთა წინააღმდეგ.

ამიტომ, საჭიროა ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში სათანადო წესრიგის შემოღება, რომ თვითეული თანამშრომელი დაცული იყოს სხვის მუშაობისათვის პასუხისმგებლობისაგან, რომ ის არ შეიქნეს მისდა უნებურად დაწესებულებაში არსებულ საერთო ხასიათის არა ნორმალურ მდგომარეობის მსხვერპლი. ასეთი შემთხვევები კი ჩვენ არა ერთი ვიცით. ამ გარემოებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ჩვენმა სააღრიცხვო-საანგარიშო და აპარატის რაციონალიზაციის საქმის ორგანოებმა.

გრ. გიგინეიშვილი.

ზაფხული გავიდა

ზაფხულის სეზონი გავიდა. მგზავრთა მიმოსვლა შემცირდა და პოეზდების მატარებლების შემადგენლობას კი გარდა მგზავრებისა არაფერი დაჰკლებია. მატარებლის შემადგენლობაში 15 სამგზავრო რონოდა, რომლებიც არასდროს მგზავრებით ნახევრადაც შევსებული არ არის. ასეთი შემადგენლობის გაშვება დასაშვებია შაბათ-კვირაობით, როდესაც მუშა-მოსამსახურენი მიემგზავრებიან სოფლებში და უკან ბრუნდებიან თბილისში, მაგრამ ყოველ კვირა 5 დღის განმავლობაში 2-2 მატარებლის გაგზავნა ასეთი დიდი შემადგენლობით დაუშვებელია. ამ მატარებლებისთვის სრულიად საკმარისია თითოსთვის 9-10 რონოდის მობმა, მაშასადამე დღეში მოაკლდება სულ 10 რონოდა, 10 მემუხრუჭე და ორთქლმავალიც გადარჩება ზედმეტს სათბობ მასალის წვას. გარდა ამისა ეს 10 რონოდა შეგვენახება და გადარჩება თრევას მტვრევას.

აი ამ ყოველდღიურ უარყოფით მხარეს, გულგრილად უყურებენ უბნის რევიზორები, მატარებლის რევიზორები ფაქტიური კონტროლიორები და სხვანი... თითქოს მათ ვალდებულებას არ შეადგენდეს სამმართველოსათვის ამ ნაკლზე მითითება.

დაფიქრებული.

არქივი უმწეო მდგომარეობაში

(თბილისის საყუდი)

არა ერთხელ აღძრულა საკითხი საყუდის ადმინისტრაციის მიერ სამმართველოს წინაშე, რომ საყუდის არქივი ჰაოტიურ მდგომარეობაშია და ამის გამო შეუძლებელია რაიმე ცნობების მიღება და საბუთების გადათვალიერება; თითქმის 1921 წლიდან სხვადასხვა საბუთები და საჭირო ქაღალდები მტვერში ჰყრია. მისი მოწესრიგებისათვის საყუდის ადმინისტრაცია თხოულობდა კრედიტს—სულ 100—150 მანეთამდე. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ არის ნებართვა.

ასე არ ვარგა. საქმისათვის არ უნდა დავიშუროთ მცირე თანხა, როცა ამ მცირე თანხის გაუცემლობით დიდი ზიანი გვადგება.

ძია ლევან.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

პარტუჯრედი და დაზოგვის კამპანია

პარტიულ უჯრედების როლი მომჭირნეობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდია. ნამდვილად კი ჩვენი პარტუჯრედები ამ მხრივ არ იჩენენ ფხას და ენერგიას. ბევრ შემთხვევაში ასე ჰგონიათ, რომ მომჭირნეობისათვის ბრძოლის ინიციატივის აღება, დაზოგვის კამპანიის წახალისება ადმინისტრატიულ საქმეებში ჩარევაა.

ამიტომ პარტუჯრედები ერთგვარ გულგრილობას იჩენენ მომჭირნეობის კამპანიისადმი. ისინი ზოგჯერ უბრალო მოწმის როლს კისრულობენ და აქტიურად არ ერევიან დაზოგვის გატარების საქმეში.

ამ საკითხს ეხება გაზ. „პრავდა"-ში ამხ. ფ. გაისინი, რომელიც სწერს:

„საწარმოო კომისიების და თათბირების ხელმძღვანელობა პარტუჯრედების ყურადღების მთავარი საგანს უნდა წარმოადგენდეს...

უნდა ვაღიაროთ, რომ უჯრედები ამ დარგში ნაკლებ თვითმოქმედებას იჩენენ, არ შეაქვთ თავიანთ სამოქმედო გეგმაში საწარმოო თათბირებზე და კომისიებში მუშაობა, ავიწყდებათ, რომ უჯრედები მოვალენი არიან სისტემატიურად უხელმძღვანელონ ამ ორგანოების მუშაობას. ამას უნდა დაუმატოთ, რომ თვით ეს საწარმოო კომისიები, მცირედი გამოკლებით, უგეგმოთ მუშაობენ. უჯრედები არ იწვევენ კომისიებში მომუშავე პარტიის წევრებს მოხსენებების გასაკეთებლად ან არ უწევენ რევიზიას ამ კომისიებში მომუშავე პარტიის წევრებს".

ეს თითქმის საყოველთაო მოვლენაა. პარტიულ ორგანოების სისუსტე მომჭირნეობისათვის ბრძოლაში დაუშვებელია. პარტია ხმის მიმცემი, პარტია ხელმძღვანელი და წინამძღოლია ყველგან და ყოველთვის. ამიტომ პარტუჯრედებმა უნდა სძლიონ გულგრილობის სულისკვეთება, რომელსაც აქა-იქ ადგილი აქვს მომჭირნეობის გატარების საქმეში. უჯრედი უნდა გახდეს თავის წარმოებაში თუ დაწესებულებაში დაზოგვის კამპანიის ინიციატორი და მეთაური.

სხვა საქმეა ვინ და როგორ გაატარებს ტექნიკურად მომჭირნეობას. საამისოდ ყოველ დარგში არსებობს ადმინისტრატიული აპარატი. ჩვენ ვლაპარაკობთ მომჭირნეობის კამპანიის პროპაგანდაზე, მის გასატარებლად ნიადაგის მომზადებაზე და დაზოგვის ყოველდღიურ საქმიანობის მიუცილებელ თვისებათ გადაქცევაზე. აქ პარტუჯრედს უთუოდ ბევრი რაიმეს გაკეთება შეუძლია. ის მოვალეა ამოსწუროს ეს შესაძლებლობა.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა

ლენინაკანში მომხდარ მიწის-ძვრის გარშემო საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფიული ქვეგანყოფილების გამგემ, ამხ. ბიუსმა შემდეგი განაცხადა:

„22 ოქტომბრის 19 საათსა და 44 წუთს საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს ძლიერი მიწის-ძვრა, რომლის კერაც მდებარეობს 150 კილომეტრის მანძილით თბილისიდან.

სამი საათის შემდეგ, ე. ი. 23 საათზე, სეისმოგრაფებმა ჩასწერეს იმავე წარმოშობის ახალი მიწის-ძვრა. ულლის ქანაობის სიმაღლე 8-10 ჯერ სჭარბობდა პირველ მიწის ძვრის დროს შემჩნეულ ულლის ქანაობის სიმაღლეს და ჩანაწერიც უფრო ხანგრძლივი დროის მაჩვენებელი იყო. ამასთან ერთად გოლიცინის ულლების რთულ აპარატში მექანიკური აღმრიცხველით ჩაწერის დაწყების უმალვე ჩამწერი ფრთა ამოვარდა შკალიდან და მორგვს დაუბრუნდა მხოლოდ 7 წუთის შემდეგ. ეს მოწმობს განმეორებული მიწის-ძვრის დიდ ძალას და იმას, რომ ეპიცენტრალურ (კერა, საიდანაც მოდის ძვრის ტალღა) მიდამოში ამ ძვრას ექნებოდა გამანადგურებელი, დამნგრევი ხასიათი.

თბილისში საგრძნობი იყო როგორც პირველი, ისე მეორე მიწის-ძვრა, ხოლო მეორე თავისი სიძლიერით სჭარბობდა პირველს და ის შესამჩნევი იყო უფრო მტკვრის მარჯვენა მხარეს.

22 ოქტომბრის 21 საათიდან 23 ოქტომბრის 9 საათამდე სეისმოგრაფმა კიდევ აღნიშნა 15 ძალიან სუსტი რყევა.

მთიან სომხეთში, სადაც მოხდა მიწის-ძვრა, არის რამდენიმე რაიონი, სადაც ხშირად ხდებოდა საკმაო ძლიერების მიწის-ძვრა. აქ მოხდა აღმოსავლეთის (ირანი) და დასავლეთის (თავრიდა) მთაგრეხილების შეხვედრა.

ამ ფენადი მთაგრეხილების კვანძი განიცდიდა ნიადაგის მრავალნაირ დეფორმაციას. ამის შედეგად მივიღეთ დღევანდელი ტექტონიური სურათი აწეულ-დაწეულ ნიადაგისა. ეს მორღვეული ნიადაგი მოექცა იმ ღვარეფს ქვეშ, რომელსაც ერთ დროს ისროდა ოდესღაც მომქმედი ცეცხლის მფრქვევი მთა (არარატი, ალაგეზი და სხ.)

ჩვენ უნდა ვაგროვოთ დაწვრილებითი გამოკვლევები და მასალები კავკასიისა და ამიერ-კავკასიის სეისმიური მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ ამ დაკვირვებათა ნიადაგზე შესაძლებელი გახდება მომავალში საკმაო მნიშვნელობის მქონე დასკვნების გამოტანა როგორც მეცნიერებისათვის, ისე ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

დღეს მეცნიერება უძლურია იწინასწარმეტყველოს მიწისძვრა. მაგრამ მომავალში შესაძლებელია მდიდარ და სწორ დაკვირვებათა ნიადაგზე იმ ფარდის ახდა, რომელიც ფარავს ჩვენგან ტექტონიური პროცესების მიზეზებს და ამით მიუახლოვებლობით რაიონებისდამიხედვით სეისმიური ცვლილებების წინდაწინვე განსაზღვრას".

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1926 წ. სექტემბერში

(საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ეკონ.-სტატ. სექციის კონიუნქტურული მიმოხილვა)

სოფლის მეურნეობა

საანგარიშო თვის მეორე ნახევრის სიცივეებმა, ხშირმა წვიმებმა და ზოგიერთ რაიონში მოსულმა სეტყვამ (სიღნაღის მაზრა) სოფლის მეურნეობაზე უარყოფითი გავლენა იქონიეს, რის გამო, ისეც გაუარესებული ნათესების და სხვა კულტურების მდგომარეობა კვლავ გაუარესდა.

სექტემბრის დამლევისათვის სიმინდი ხასიათდება 2,9 ნიშნით წინააღმდეგ 3,2-სა თვის დამდეგისათვის (—9,4%), ბამბა—2,6 ნიშნით წინააღმდეგ 2,8-სა (—7,1%), თამბაქო—3 ნიშ. წინააღმდეგ 3,4-სა (—11,8%), ვენახები 3,2 ნიშნით—უცვლელია, ხოლო ხილის ბაღები—2,9 ნიშ. წინააღმდეგ 2,8-სა (3,6%).

ამნაირათ, თვის დამდეგთან შედარებით, სექტემბრის დამლევისათვის მხოლოდ ხილის ბაღების და ვენახების მდგომარეობა იყო უცვლელი წინააღმდეგ სიმინდის, ბამბის და თამბაქოს მდგომარეობის გაუარესებისა.

შარშანდელი წლის სექტემბრის დამლევთან შედარებით სიმინდის და ვენახების მდგომარეობა თანაბარია, ბამბის და თამბაქოს მდგომარეობა გაუარესებული, ხოლო ხილის ბაღების მდგომარეობა 38,1%-ით უკეთესია.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სიმინდის მდგომარეობის გაუარესება საგრძნობ მნიშვნელოვანია (აგვისტოში—13,5%, ხოლო სექტემბერში—9,4%), უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო გეგმით გასატანათ გათვალისწინებული რაოდენობა (500 ათ. ფუთი) ვერ გამართლდება და მხოლოდ ხარაიონთაშორისო გადაჯგუფებას უნდა მიექცეს ყურადღება ჩვენი კოოპერაციის მხრით (მაგალითად, აჭარისტანში მისი მდგომარეობა 4 ნიშნიდან 2-მდე დაეცა).

სოფლის ნაწარმოების დამზადება

წინა თვეში აღნიშნულ სეზონურ და ნაწილობრივ კონიუნქტურულ პირობების გამო, რომელნიც სექტემბერში კვლავ ძალაში რჩებიან, სასოფლო-სამეურნეო საგნების დამზადება ისევ დაბალ დონეზე რჩება.

ღვინის დამზადება თითქმის მთლად შეჩერდა; სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოების მიერ სულ დამზადებულია ათასი ვედრო ღვინო. როგორც უწინაც გამოვარკვიეთ, ღვინის დამზადების წლიური გეგმის შესრულება ნახევრადაც ვერ მოხერხდა (დამზადდა წლიური გეგმის 40,7 პროც.). მიუხედავათ მოთხოვნილების სიმცირისა, ღვინის ბაზრის მდგომარეობა მტკიცეა.

შემცირებულია აგრეთვე თამბაქოს დამზადება (21,9 პროც.), რომლისათვისაც წლიური გეგმა საერთოდ წარმატებით შესრულდა (6,3 პროცენტით გადაჭარბებით). საანგარიშო თვეში მისი დამზადების შემცირება გამოწვეულია ძველი მოსავლის გახალების დამთავრებით.

იწყება შემოდგომის მატყლის დამზადება, რომელიც აგვისტოსთან შედარებით ორჯერ მეტი რაოდენობით არის შეძენილი (სულ 2,7 ათ. ფუთი). მიუხედავათ გაძლიერებული მოთხოვნილებისა, მატყლის მიწოდება ნაკლებია. მატყლის დამზადების წლიური გეგმა 68,6 პროც. შესრულდა.

წინააღმდეგ წვრილი ტყავის დამზადების გაძლიერების (+31,8 პროც.), რომლის ფასებიც მატებაშია, მნიშვნელოვნათ შემცირდა მსხვილი ტყავის შეძენა (—28,6 პროც.). დამზადების წლიური გეგმა მსხვილი ტყავისათვის 63,5 პროც. შესრულდა, ხოლო წვრილი ტყავისათვის—82,9 პროცენტით.

სეზონურ პირობებთან დაკავშირებით ჩაის ფოთლის დამზადება 86,2 პროც. კლებულობს, თუმცა საგრძნობ სჭარბობს წარსული წლის სექტემბრის შეძენას (+135,6 პროც.). ჩაის დამზადების წლიური გეგმა უკვე 98,6 პროცენტით შესრულდა.

გაძლიერებული მოთხოვნილებაა თხილზე, რომლის ფასიც საგრძნობ მატულობს შემსყიდველთა გაცხოველებული მეტოქეობისა და ნაკლები მოსავლიანობის გამო.

მრეწველობა

მრეწველობის პროდუქცია საანგარიშო თვეში ახალ მატებას იძლევა. ოთხი მთავარი დარგის[1] (ქვა-ნახშირის, თამბაქოს, ტყავის და საპნის ქარხნის) პროდუქციის ღირებულება სექტემბერში 773,9 ათ. ჩერვ. მანეთს უდრის, წინა თვესთან შედარებით გაზრდილია 28 პროცენტით. პროდუქციის ზრდას იძლევა ყველა აღებული დარგები. პროდუქციის მატება აიხსნება ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდებით 10,1 პროც. და ერთ კაც-დღის გამომუშავების 1,0 პროცენტით ზრდით. ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდება დაკავშირებულია საკალენდრო დღეების რიცხვის ზრდასთან (საშუალოდ მუშების რიცხვმა იკლო 1,4 პროცენტით), ერთ კაც-დღის გამომუშავების ზრდა აიხსნება შრომის ინტენსიობის, რაციონალიზაციის და ქარხნებში ზოგიერთ ტექნიკურ გაუმჯობესებების გატარებით.

ამოღებული მრეწველობის (აღებულია მხოლოდ ქვა-ნახშირი) პროდუქციის ღირებულება შეადგენს 34,6 ათ. ჩერვ. მანეთს, გაზრდილია აგვისტოსთან შედარებით 7,2 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის—31,1 პროცენტით. შარშანდელ სექტემბერს ქვა-ნახშირის პროდუქცია (ომის წინა დროის ფასებში) 29,6 პროცენტით სჭარბობს, მსუბუქი მრეწველობის—1,3 პროცენტით.

მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია (718,4 ათ. ჩერვ. მანეთი[2]) აგვისტოსთან შედარებით—17.2 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის ცალკე დარგების მდგომარეობა ასეთია:

ქვა-ნახშირი ამოღებულია 8,6 ათ. ტონი (მოიჯარადრეებისაგან მიღებულ რაოდენობის ჩათვლით). აგვისტოსთან შედარებით ამოღება გაზრდილია 3,2 პროცენტით, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი 1,4 პროცენტით და შრომის ნაყოფიერება—0,8 პროცენტით. ქვა-ნახშირის საერთო რეალიზაციის სტაბილიზაცია ახასიათებს (+0,2 პროც.), კერძოთ საქართველოს ფარგლებში კი 5 პროც. ზრდა.

თამბაქოს მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 492,6 ათას ჩერვ. მანეთს უდრის, აგვისტოსთან შედარებით 36,7% გაიზარდა. გამომუშავებული იყო 144,7 მილ. პაპიროსი და 6,1 მილ. კილოგრამი თამბაქო, რაც შეადგენს მოსაწევ ერთეულებში 159,7 მილ. ცალს (+29,4%-ით), ხოლო შრომის ერთეულში 148,4 მილ. ცალს (+33,2%). პროდუქციის მატება დაკავშირებულია ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის ზრდასთან (+19,0%) და ერთ კაც-დღის გამომუშავების 11,7%-ით გადიდებასთან. ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდება, მიუხედავათ მუშათა რიცხვის 2,5%-ით შემცირებისა, დამოკიდებულია საკალენდარო დღეების რიცხვის ზრდაზე. შრომის ნაყოფიერების ზრდის უმთავრესი მიზეზებია მუშაობის რაციონალიზაცია და მესამე ფაბრიკაში კომბინატიური საკეც-სატენი მანქანების შემოღება (წარმოების ნაწილობრივი მექანიზაცია), თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაცია თბილისში გადიდებულია 22,5%-ით, ხოლო ადგილობრივ კანტორებს გადაეგზავნა 55,2%-ით მეტი. რეალიზაციის მნიშვნელოვანი გადიდება აიხსნება წინა თვეში აღნიშნულ საქონლის სიმცირით, მოთხოვნილების დიდი ნაწილის დაუკმაყოფილებლობის პირობებში.

მუნდშტუკის და ბობინის მარაგი ტრესტს მეტად განსაზღვრული რაოდენობით მოეპოვება, უფრო მცირე აქვს მას კარდონი.

ტყავის წარმოების პროდუქციის ღირებულება საანგარიშო თვეში 181,9 ათ. ჩერვ. მან. უდრის (+19,8%). გამომუშავებულია მსხვილი ტყავი 4,5 ათ. ცალი (+5,6%, ხოლო წვრილი—2,4 ათ. ცალი (+12,6%), რაც მსხვილ ტყავზე გადაყვანით 4,6 ათ. ცალს უდრის (+11,8%). პროდუქციის ზრდა აიხსნება ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის 4,2%-ით და ერთ კაც-დღის გამომუშავების 7%-ით ზრდით. შარშანდელ სექტემბერთან შედარებით პროდუქცია (ომის წინადროის ფასებში) 11,8%-ით გაიზარდა.

ტყავეულობის რეალიზაცია თითქმის უცვლელია (—0,7%).

საპნის ქარხნის პროდუქცია 66,[illegible] ათ. ჩერვ. მან. უდრის (+17,9%). გამომუშავებულია: სარეცხი საპონი 146.4 ათ. კილოგრამი, ხელის საპონი 0,7 თ. თორმეტეული და ტექნიკური გლიცერინი 4,1 ათ. კილოგრამი. პროდუქციის ზრდა უნდა ახსნილ იქნას ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის 4,7 და ერთ კაც-დღის გამომუშავების 20,5% გადიდებით. შრომის ნაყოფიერების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა უნდა ახსნილ იქნას საპნის გამომუშავების ტექნიკური პირობებით.

შარშანდელ სექტემბერთან შედარებით ქარხნის პროდუქცია 40,6% შემცირდა (ომის წინა დროის ფასებში).

საპნის ქარხნის ნაწარმოების რეალიზაცია 37,2%-ით გაიზარდა.

ნედლეულის მხრივ წარმოება დიდ გაჭირვებას განიცდის. მიღებულია ზომები მასალის შესაძენათ.

ს. მ. უ. ს.-ის მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა 1 ოქტომბრისათვის რამოდენიმეთ შემსუბუქებულია. გადიდებულია მრეწველობის ნაწარმოების ნისიათ გაყიდვა, რაც მრეწველობის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელია. სალაროს და მიმდინარე ანგარიშების თანხა გაზრდილია 70,5%-ით, ვინაიდან შემოსავალი წინ უსწრებს გასავალს. სათამასუქო პორტფელი შემცირების ტენდენციას იჩენს (—0,2%), თუმცა ბანკებისადმი დავალიანება უმნიშვნელოთ იზრდება (+1,1%). გადიდებულია 22,6% ფინსახკომის გრძელვადიანი სესხის თანხა, რომლის წონა მრეწველობის საერთო დავალიანებაში სრულიად უმნიშვნელოა (53 ათ. მან.).

ტვირთ-ბრუნვა

წინააღმდეგ ჩვენი რკ.-გზების დატვირთვის 2,5 პროც. შემცირების, მიღება საგრძნობ მატებას იძლევა (15,2 პროც.), რაც იწვევს რკ.-გზების საერთო ტვირთ-ბრუნვის 6,8 პროც. მატებას. შარშანდელი წლის სექტემბერთან შედარებით დატვირთვა 14,6 პროც. შემცირდა. ხოლო მიღება 45,5 პროც. გაიზარდა.

საანგარიშო თვეში, ისევე, როგორც აგვისტოში, დატვირთვის შემცირება საერთო ხასიათს ატარებს; გარდა შეშის და ლითონის საამშენებლო მასალის მატებისა (+19,8 და 77,5%. სათანადოთ), ყველა საგნების დატვირთვა შემცირდა და უფრო საგრძნობ კი: ხილის 68,6 პროც., შავიქვის—22,6 პროც., ღვინის—17,6 პროც. და პურეულის—17,2 პროც.

შარშანდელ სექტემბერთან შედარებით ხილის დატვირთვა თითქმის მთლად შეჩერდა (91,5 პროც.), განახევრდა შავიქვის გადაზიდვა (51,პროც.), უცვლელია ქვანახშირის გაგზავნა (3,5%.), ხოლო მატებას იძლევა ყველა დანარჩენი საგნები.

რაც შეეხება **მთავარი ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვას,** — იგი შემცირებას იძლევა, როგორც კაბოტაჟურ, ისე, მით უმეტეს, საზღვარგარეთულ ნაოსნობაში.

აღსანიშნავია, რომ მიღების შემცირება შედარებით ნაკლებია (9 პროც.) ვიდრე გაგზავნის (—15,4%.), გაგზავნაში თუმცა ყველა მთავარი საგნების გატანა კლებულობს, მაგრამ უფრო მეტ შემცირებას იძლევა ხილი (—74,9%.) და შავიქვა (—64,3%.). მიღებაში — მთავარი საგნების მხოლოდ შაქრის შემოტანამ დაიკლო (—40,7 პროც.).

წინააღმდეგ წინა თვეში აღნიშნული **საურმე გზების ტვირთ - ბრუნვის** ზრდისა (15,3 პროც.), საანგარიშო თვეში კვლავ გაგრძელდება (9,3 პროც.). სეზონურ პირობებთან დაკავშირებით, შემოტანის ზრდა გვაქვს ისეთ მასიური მოხმარების საგნებზე,—როგორიც არის ხილეული (109,2 პროც.), ცხოველები (46 პროც.), რძეული (33, 5 პროც.).

შარშანდელი წლის სექტემბერთან შედარებით საურმე გზების ტვირთ-ბრუნვა მნიშვნელოვანი შემცირებით ხასიათდება, ისეთი მასიური საგნების შემოტანის დაკლების გამო, როგორც არის: პურეული, ბოსტნეული და ხილეული.

ალებ-მიცემობა

ჩვენი საგარეო **ალებ-მიცემობის ბრუნვა** აგვისტოს დონეზე რჩება, შემცირების ტენდენციის (—1,7%.) წინააღმდეგ, გატანილი საქონლის ღირებულება 37 პროც.-ით გაიზარდა, იმპორტი 12,4 პროც. კლებულობს. ამასთან დაკავშირებით საგრძნობ შემცირებას იძლევა ჩვენი, ალებ-მიცემობის უარყოფითი სალდო (—34 პროც.).

შარშანდელ სექტემბერთან შედარებით ყველა აქ მოყვანილი მაჩვენებელნი იზრდებიან: ექსპორტი 11,1 პროც., იმპორტი — 8,1 პროც., საერთო ბრუნვა—9,1 პროც., ხოლო უარყოფითი სალდო 5,2 პროც-ით.

იმპორტის ღირებულების დაკლება გამოწვეულია ისეთი მასიური და მაღალ ღირებულებიანი საგნების შემოტანის შემცირებით, როგორც არის: ფართალი (—24,1 პროც.), შაქარი (—17,8 პროც.) და ნავთეული (—30 პროც.). ისეთა ხორბლის ფქვილის მიღებამ (+84,5 პროც.) რკინეულის შემოტანამ (+40,4 პროც.) და მსხვილფეხა საქონლის (+97 პროც.).

შარშანდელ სექტემბერთან შედარებით საგრძნობათ არის შემცირებული ფართლის და ფქვილის შემოტანა, წინააღმდეგ დანარჩენი დასახელებული საგნების შემოტანის მნიშვნელოვანი გადიდების.

ექსპორტში თითქმის მთლად შესწყდა სპირტეულის გატანა (—91,9 პროც.), შემცირდა გატანა შავიქვის (—45,3 პროც.) და ნედლი ხილის (—26,8 პროც.), იმ დროს, როდესაც ყველა დანარჩენი უმთავრესი საგნების გატანა ძლიერდება, რითაც აიხსნება ექსპორტის ზრდა, მაგ., გაიზარდა გატანა ღვინის (+67,3 პროც.), აბრეშუმის პარკის (+105,9 პროც.), უხმარი ლითონის (+104 პროც.) და ფოთლოვანი თამბაქოსი (რვაასი ფუთიდან 32 ათას ფუთამდე).

შარშანდელ სექტემბერთან შედარებით მხოლოდ ნედლი ხილის და ფოთლოვანი თამბაქოს გატანა არის გაძლიერებული, წინააღმდეგ ყველა დასახელებულ მთავარ საგნების ექსპორტის შემცირებისა.

გეგმიანი შემოტანის შესრულება კვლავ მეტის - მეტად დაუკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს; სექტემბრის განმავლობაში გეგმით უნდა შემოტანილიყო 8,1 მილ. მან. საქონელი, შემოიტანეს-კი მხოლოდ 2,3 მილ. მანეთის. ათი საგნიდან გეგმა ვერ იქნა შესრულებული ცხრა საგნის მიმართ, და გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე მხოლოდ კალოშების მიმართ, რომელიც იძლევა მატებას წინა თვესთან შედარებით 154,5 პროც. გეგმა არის შესრულებული — სილიკატებისათვის 56,3 პროც., შაქრისათვის — 21,2 პროც., ლითონის ნაწარმოებისათვის — 32,9 ასანთისათვის — 37,5 პროც., ბამბის ფართლეულისათვის — 64,8 პროც., ქაღალდისათვის — 66,7 პროც., მარილისათვის — 94,1 პროც. და ნავთისათვის — 94,8 პროც.

თუ მხედველობაში მივიღებთ ერთის მხრივ სამრეწველო საგნების შემოტანის საერთო შემცირებას და მეორეს მხრივ-კი უმთავრეს მასიურ მოხმარების სამრეწველო საგნებისათვის გეგმის მნიშვნელოვან შეუსრულებლობას (ფართალი, სილიკატი, ლითონი), რომელშიაც ჩვენი ბაზარი საერთოდ დიდ ნაკლებობას განიცდის, საშემოდგომო სეზონურ მოთხოვნილების გაძლიერების პირობებში, უნდა დავასკვნათ, რომ ბაზარი საკმაოდ დაჭიმულ მდგომარეობაში იმყოფება და საჭირო განსაკუთრებული ზომების მიღება.

რაც **შეეხება შინაურ ვაჭრობას,** — აქ საერთო სეზონურ გამოცოცხლებასთან გვაქვს საქმე, როგორც სავაჭრო, ისე სამომხმარებლო მოთხოვნილების მატებასთან.

თბილისის ბირჟის სავაჭრო ოპერაციები 10,6 მილ. მან. უდრის, აგვისტოსთან შედარებით 25,3 პროც. მატულობს, ხოლო 20,2 პროც. სჭარბობს შარშანდელ სექტემბრისას. სავაჭრო ოპერაციების ზრდა უმთავრესათ ვადიან გარიგებათა მატებით არის გამოწვეული (+71,3 პროც.), წინააღმდეგ რეალური ბრუნვის უმნიშვნელო მატებისა (+2,8 პროც.). ვადიანი გარიგებანი დაიდო ფქვილზე —2,1 მილ. მან.; რკინეულზე — 700 ათ. მან. და სხვა საგნებზე, საერთოდ სულ 4,7 მილ. მან. რაოდენობით საერთოდ. საბირჟო ვაჭრობის ზრდა, თუმცა საერთოა სამრეწველო და სას.-სამ. საგნებისთვის, მაგრამ უკანასკნელი უფრო მატულობს (+40 პროც.), ვიდრე პირველი (+18,8 პროც.).

გაყიდვაში მატებას იძლევა კერძო კლიენტურა და სახელმწიფო ორგანიზაციები, წინააღმდეგ დანარჩენ ჯგუფების ბრუნვის შემცირებისა. რაც შეეხება ყიდვას, — აქ მატულობს ყველა ორგანიზაციათა ბრუნვა, გარდა სახელმწიფო ორგანიზაციების და შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა.

სახელმწიფო ორგანიზაციების ვაჭრობა საერთო ზრდით ხასიათდება, როგორც საბითუმო (+6,6 პროც.), ისე მით უმეტეს საცალო ვაჭრობის ხაზზე (+17,5 პროც.); საბითუმო ვაჭრობაში ყველა კლიენტთა ჯგუფების ბრუნვა იზრდება, გარდა კერძო კლიენტების ბრუნვის (—14,1 პროც.), რაც უნდა ახსნილ იქნას მათთვის საქონლის გაცემის შეზღუდვით.

საგრძნობი ზრდა ახასიათებს აგრეთვე **ცეკავშირის** სავაჭრო ოპერაციებს (გაყიდვა+51,6 პროც. და ყიდვა + 38 პროც.; %% მოყვანილია ს.-კომისიო ოპერაციებთან ერთად) და **დაბალი კოოპერაციის ბრუნვა,** მეტადრე ყიდვაში, რომელიც 60.1 პროც. იზრდება, წინააღმდეგ გაყიდვის 24,6 პროც. მატებისა.

საქონლის მიწოდების და ფულის ნაკლებობის გამო, საჭირო ანგარიშის გასწორება თითქმის იმავე დაჭიმულ მდგომარეობაში იმყოფება, გაუმჯობესების ტენდენციით, რაც ახასიათებდა მას წინა თვეში.

ცალკე საქონლის ბაზრებს შემდეგი ახასიათებს: პურეულის ბაზარი, თუმცა საერთოდ მომარაგებულია, მაგრამ პირველი ხარისხის ფქვილზე კვლავ ნაკლებობაა. დიდი ნაკლებობაა ზეთზე და ბრინჯზე, რაც იწვევს მათი ფასების აწევას. საკმარისად არის ბაზარი მომარაგებული შაქრით, ძველი შემოტანის ხარჯზე ასანთით და თამბაქოს ნაწარმოებით. კვლავ დიდი შიმშილობაა ფართალზე; მიუხედავათ ფართლის ნაკლებობისა, კერძო ბაზარს მყიდველი არ აწყდება, მაღალი ფასების გამო. კვლავ ნაკლებობაა ხარისხოვან რკინაზე. არ მოიპოვება ფერადი ლითონი. საკმაოთ არის ბაზარი მომარაგებული საამშენებლო მასალით. წინააღმდეგ უცხოეთის ტყავის ნაკლებობისა, საკმაოთ მოიპოვება ადგილობრივი ტყავეული.

საქონლის ფასები და ინდექსები

წინააღმდეგ წინა თვეში აღნიშნული საქონლის ფასების საერთო დონის საყოველთაო დაკლებისა, როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაში, საანგარიშო თვეში ფასების საყოველთაო ზრდა გვაქვს: თბილისის საცალო ინდექსი 0,4%-ით იზრდება, თბილისის საბითუმო ინდექსი—1,8%-ით, სრულიად საქართველოს საცალო ფასების ინდექსი—1,7%-ით, ხოლო ერთი პროცენტით მატულობს სოფლის ფასების ინდექსი. ასეთივე ზრდის ტენდენცია ახასიათებს თბილისის საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულებას, როგორც კერძო ბაზრისთვის, ისე კოოპერატიული ვაჭრობისთვის.

საქონლის ფასების ზრდა ქალაქად საცალო ვაჭრობაში საერთო ხასიათს ატარებს, მატულობს, როგორც სამრეწველო, ისე სას.-სამ. საგნების ფასები, იმ დროს, როდესაც საბითუმო ვაჭრობაში მხოლოდ სას.-სამ. საგნების ფასები იზრდება, წინააღმდეგ სამრეწველო საგნების ფასების სტაბილიზაციისა.

შარშანდელთან შედარებით ქალაქის ფასების დონე საკმაო მატებას გვიჩვენებს, რაც უმთავრესად სას.-სამ. საგნების ფასების ზრდით აიხსნება, წინააღმდეგ სამრეწველო საგნების ფასების უმნიშვნელო მატებისა.

საქართველოს ქალაქთა საცალო ფასების ინდექსში პირველი ოქტომბრისათვის პირველ სექტემბერთან შედარებით შემცირებული არის შემდეგი საქონლის ჯგუფების სუბინდექსი: ხორცეულის—4,8 პროც., ბოსტნეულ-ხილეულის და საბაყლო სასურსათო საგნების—2,3 პროც., ცხიმეულ-რძეულის და დანარჩენი საგნების—0,1 პროც.; მატებას იძლევა: საბაყლო არა სასურსათო საგნები (+ 0,9 პროც.) ტანსაცმელ-ფეხსაცმელი (2,8 პროც.) და განათება-გათბობის საგნები (+ 10,5 პროც.).

რაც შეეხება სოფლის საცალო ფასების ინდექსის ზრდას, იგი გამოწვეულია მხოლოდ სას.-სამ. საგნების ფასების მატებით (2 პროც.), წინააღმდეგ სამრეწველო საგნების ფასების 2 პროცენტით შემცირების.

სოფლის ფასებში მატულობს სუბინდექსი: ღვინის 1 პროცენტი, ლითონის ნაწარმოების—2 პროც., რძეულის—3 პროც. და მარილის—3 პროც., იმ დროს, როდესაც კლებას იძლევა. ბოსტნეული—3 პროც., ფეხსაცმელი და ნავთი 2 პროც., ხორცეული, შაქარი და მანუფაქტურა 1 პროც., ხოლო პურეულის სუბინდექსი უცვლელია.

კრედიტი

სესხი და განაღდების ნაშთი აღებულ 13 ბანკებში გადიდებულია 14,9 პროცენტით. კერძოთ საქართველოს ბანკებში აღნიშნულ ნაშთის ზრდა შეადგენს 9,6 პროც.

დავალიანების ზრდა ახასიათებს სახალხო-სამეურნეო თითქმის ყველა დარგებს (+ 14,9 პრ.), გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სოფლის მეურნეობა, სადაც მდგომარეობა თითქმის სტაბილურია (—0,2 პროც.). მსგავსი მდგომარეობაა დავალიანების მხრივ აგრეთვე საქართველოს მეურნეობის დარგებშიაც, სადაც საერთო დავალიანება გაზრდილია 17,3 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდებულია კომუნალურ მეურნეობის დავალიანება (46,2 პროც.), ვაჭრობის (10.7 პროც.), საკრედიტო დაწესებულებების (9,5 პროც.) და მრეწველობის (5,9 პროც.). სტაბილურია ტრანსპორტის დავალიანება, ხოლო შემცირებულია სოფლის მეურნეობის დავალიანება (—0,8 პროც.) საქართველოს კლიენტთა შორის გაუდიდდა დავალიანება კომუნალურ მეურნეობას (46,2 პროც.), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, და სახელმწიფო ორგანიზაციებს (9,3 პროც.), დანარჩენთა კლიენტურის ჯგუფებს-კი შეუმცირდათ: კოოპერაციას (1,5 პროც.), საკრედიტო დაწესებულებებს (1,6 პროც.) და კერძო კლიენტურას (3,4 პროც.)—კრედიტის მდგომარეობას საქართველოში საერთოდ გაუმჯობესობა ემჩნევა. სესხის და ანაბართა ნაშთის მატება, საბირჟო ბრუნვის გადიდება, ვაჭრობის გარიგების პირობების გაუმჯობესების ტენდენცია, მრეწველობის და ვაჭრობისათვის კრედიტის გადიდება, განსაკუთრებულ თამასუქების და თანხის შემცირება, ყველა ეს იმას მოწმობს, რომ კრედიტის მდგომარეობა საანგარიშო თვეში გაუმჯობესობის ტენდენციით ხასიათდება.

ფინანსები

სახელმწიფო ბიუჯეტით შემოსული თანხა (ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ხაზინების გამოკლებით) არა ჩვეულებრივ ზრდას იძლევა (96,4 პროც.), სულ შემოვიდა 3.789 ათ. მანეთი. შემოსავლის ასეთი საგრძნობი ზრდა გამოწვეულია ერთის მხრივ პატენტების აღების დაწყებით, ხოლო მეორე მხრივ—გადაჭრილ ზომების შემოსავლის ყველა სახის ნარჩენების ასაკრეფად. გადიდებას იძლევა ყველა მთავარ საშემოსავლო წყაროები: აქციზი 82,1 პროც., არა პირდაპირი ხარკები—67,8 პროც., საფასურები—56.3 პროც., პირდაპირი ხარკები—125 პროც. და სხვა. დიდათ გაზრდილია აგრეთვე სახალხო ქონებიდან შემოსული თანხა (984,3 პროც.), უმთავრესად საკონცესიო [illegible] შემოტანილ თანხის ხარჯზე (993,8 ათ. მან. რაოდენობით). რესპუბლიკანური და ფედერატიული ბიუჯეტით შემოსული თანხა გადიდებულია 35,4 პროც.

რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯებს (2.653 მან.), წინა თვესთან შედარებით იგი შემცირებას იძლევა 7,8 პროც. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო თვეში უფრო მეტად შემცირებულია რესპუბლიკანურ და ფედერატიულ ბიუჯეტით გაცემული თანხა (—22,1 პროც.), ვიდრე საკავშირო ბიუჯეტით განაცემი.

დასკვნა

ამნაირად, ჩვენი მეურნეობის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები ასეთია:

1. სიმინდის, თამბაქოს და ბამბის ნათესების მდგომარეობის ახალი გაუარესება, იმ დროს, როდესაც ხილის ბაღების და ვენახების მდგომარეობა ძველ დონეზე რჩება.

2. წინა თვეში აღნიშნულ სეზონურ და კონიუნქტურულ პირობების გამო, სას.-სამ. საგნების დამზადება კვლავ დაბალ დონეზე რჩება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მატყლი და თხილი, რომელზედაც გაცხოველებული მოთხოვნილებაა მიწოდების სიმცირის პირობებში.

3. ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის და ერთ კაც-დღის გამომუშავების გაზრდის გამო, მრეწველობის მთავარი დარგების (ქვა-ნახშირი, თამბაქო, ტყავი და საპნის ქარხანა) პროდუქცია 28 პროც. იზრდება წინა თვესთან შედარებით. მატებით ხასიათდება აგრეთვე მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია (+17,2 პროც.). რაც შეეხება ნედლეულის მარაგს, უნდა აღინიშნოს დიდი ნაკლებობა მუნდშტუკის, ბობინის და კარდონისა—თამბაქოს მრეწველობაში, ხოლო სალომისის—საპნის წარმოებაში.

4. წინააღმდეგ რკ.-გზების დატვირთვის ახალი შემცირებისა, კვლავ მატულობს მეზობელ რესპუბლიკებიდან ტვირთის მიღება. აგვისტოში აღნიშნული ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვის მატების მაგიერ, სექტემბერში იგი საგრძნობლად კლებულობს, როგორც კაბოტაჟურ, ისე საზღვარგარეთულ ნაოსნობაში. რაც შეეხება საურმე გზებს, მათ ბრუნვა კვლავ იზრდება სეზონურ პირობებთან დაკავშირებით.

5. მიუხედავად ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდისა (+30,7 პროც.), იმპორტის—12,4 პროც. შემცირების გამო, ჩვენი საგარეო ალებ-მიცემობა აგვისტოს დონეზე რჩება შემცირების ტენდენციით. მნიშვნელოვნად არის შემცირებული გეგმიანი შემოტანა, გეგმის მნიშვნელოვანი შეუსრულებლობის პირობებში მთელ რიგ მასიურ მოხმარების საგნებზე.

6. როგორც სავაჭრო, ისე სამომხმარებლო მოთხოვნილებას საანგარიშო თვეში მნიშვნელოვანი ზრდა ახასიათებს, სეზონურ პირობებთან დაკავშირებით. თუ არა სავაჭრო ორგანოთა ფინანსიური ხელმოკლეობა და მთელ რიგ სამრეწველო საგნების დიდი ნაკლებობა (ფართალზე, ლითონზე, სილიკატზე, ზეთზე, ბრინჯზე). სავაჭრო ოპერაციების ზრდა უფრო მეტი იქნებოდა.

7. წინააღმდეგ წინა თვეში აღნიშნული საქონლის ფასების საერთო დონის შემცირების, საანგარიშო თვეში იგი საერთო ზრდით ხასიათდება, როგორც სოფლად, ისე ქალაქად—საცალო თუ საბითუმო ვაჭრობაში. საქონლის ფასების მატება საცალო ვაჭრობაში სას.-სამ. და სამრეწველო საგნების ფასების ზრდით აიხსნება ქალაქად, იმ დროს, როდესაც სოფლად მხოლოდ სას.-სამ. საგნების ფასი იწევს და სამრეწველო საგნების ფასები-კი კლებულობს.

8. წინააღმდეგ სახელმწიფო გასავლის 7,8 პროც. შემცირებისა, პატენტების აღებასა და ნარჩენების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შემოსავალი თითქმის ერთი-ორათ მატულობს. რაც შეეხება კრედიტს, აქ საერთო გაუმჯობესება გვაქვს, როგორც ანაბართა და დავალიანების ნაშთის ზრდის, ისე სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

---

[1] შავი ქვის მრეწველობის ცნობები არ არის.

[2] თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაცია ეხება მხოლოდ ქ. თბილისს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი პოლიტსკოლები

ფოთი, 23 ოქტომბ. საქართველ. კომუნისტ. პარტიის ქალაქის კომიტეტი ფოთში ხსნის პირველი საფეხურის 6 პოლიტსკოლას, რომელიც 300 მსმენელს დაიტევს.

განათლების სახ. კომისარის მიერ სკოლების დათვალიერება

ახალ-სენაკი, 23 ოქტომბ. განათლების სახალხო კომისარმა ამხ. კანდელაკმა დაიარა მაზრის ყველა რაიონები, ადგილობრივათ სასკოლო საქმის გასაცნობათ.

სკოლებში

ხონი, 23 ოქტომბ. სასწავლო წლის დაწყებისას ხონში ითვლება 2 ოთხწლედი, 2 შვიდწლედი, 1 ცხრაწლედი აგრონომიული გახრით, 1 ქალთა პროფესიონალური სკოლა, 1 საბავშვო ბაღი, პედაგოგიური და ინდუსტრიალურ - მექანიკური ტეხნიკუმები (სახელოსნო — სადურგლო და საზეინკლო). ყველა სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი უდრის 2.400. მასწავლებელთა რიცხვი ოთხმოცდაათამდეა.

წითელი ჯვრის სამდღიური

ხონი, 23 ოქტომბ. წითელი ჯვრის სამდღიური ხონში დიდის გაცხოველებით ჩატარდა. მოწყობილ იქნა ლექციები და კინო-სეანსები. სამი დღის განმავლობაში შეკრებილ იქნა 270 მან. და წითელი ჯვრის წევრებათ ჩაეწერა 400 კაცი.

აჭარისტანი

ნავთის პროდუქტების ექსპორტის ზრდა

ბათომი 23 ოქტომბ. საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტი ყოველწლიურათ დაუბრკოლებლივ იზრდება. 1922—23 საოპერაციო წელში, ბათომის ნავთსადგურიდან უცხოეთში გაზიდულ იქნა 8 მილ. ფუთი ნავთის პროდუქტი 1923—24 წელში — 32 მილ. ფუთი, 1924—25 წელში — 57 მილ. ფუთი, ხოლო განვლილ 1925—26 წელს ნავთის პროდუქტების ექსპორტმა მიაღწია 60 მილ. ფუთს. ომამდე, 1913 წელში ბათომის ნავთსადგურიდან უცხოეთში გატანილ იქნა 37.845.000 ფუთი, ომის პერიოდში კი ექსპორტი სრულებით შეწყდა.

მანქანის ზეთის ექსპორტი ესტონეთში

ბათომი. 23 ოქტომბ. წავიდა გერმანიის გემი „მასკარილო", რომელმაც თან წაიღო 6.000 ტონა მანქანის ზეთის ტვირთი, რიგაში მისატანათ.

კრედიტი უმუშევართა კოლექტივებს

ბათომი, 23 ოქტომბ. სახელმწიფო ბანკის აჭარისტანის განყოფილებამ გრძელვადიანი კრედიტი გაუხსნა უმუშევართა საწარმოო კოლექტივებს, 10.000 მანეთის რაოდენობით.

გლეხების შუამდგომლობა

ბათომი, 23 ოქტომბ. ზემო აჭარის ხულოს მაზრის მთელ რიგ სოფლების გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს კოოპერატიულ დუქნის გახსნის შესახებ, რადგან ადგილობრივი კერძო ვაჭრები ზამთარში სარგებლობენ უგზოობით და მეტის-მეტათ აძვირებენ პირველ საჭიროების საგნებს.

სასოფლო მეურნეობისთვის

ბათომი. 23 ოქტომბ. აჭარისტანის სასოფლო - სამეურნეო ბანკის საკრედიტო გეგმის მიხედვით, 1926—27 საბიუჯეტო წლის განმავლობაში, სასოფლო - სამეურნეო კულტურების აღსადგენათ და მოსავლელათ გადადებული იქნება 400.000 მან.

მანდარინის დამზადება

ბათომი, 23 ოქტომბ. სასოფლო - სამეურნეო ბანკი საკრედიტო - კოოპერატიული ამხანაგობების საშუალებით შეუდგა ლიმონების და მანდარინების დამზადებას აჭარისტანში.

მუზეუმის შენაძენი

ბათომი, 23 ოქტომბ. აჭარისტანის მუზეუმის სამთო განყოფილებამ შეიძინა მინერალების და მადნების ახალი ექსპონანტები, 200-მდე მეტი ეგზემპლიარის რაოდენობით. რომელიც გასულ ზაფხულში აჭარისტანის სამთო სიმდიდრეთა შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ შეჰკრიბა. მათ შორის არის ისეთი მადნეულთა კოლექციები. რომლებშიც ცინკი, სპილენძი, ვერცხლი და ალიუმინიუმი შედის.

გემის „დორისის" დაღუპვის გამო

ბათომი, 23 ოქტომბ. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მიერ დამატებითათ მიღებულ ცნობების მიხედვით, გემი „დორისი" (საბერძნეთის დროშით), რომელიც ბათომის ნავთსადგურიდან 350.000 ნავთის ბიდონით დატვირთული სმირნაში მიდიოდა.აგნუსის ნავთსადგურს ახლოს (დარდანელში) ხანძრის მსხვერპლი გახდა. ცეცხლი გაუჩნდა სამანქანო განყოფილებას და უცებ მოედო მთელ გემს. დასახმარებლათ მისული მშველელი ხომალდები ძლიერი ალის გამო ახლოს ვერ მივიდენ ცეცხლმოკიდებულ „დორის"-თან , რომელიც წინა ნაწილით მოედვა წყალქვეშა კლდეს. გემი სრულიად დაიწვა, მთელი თავისი ტვირთით. მეზღვაურთა ნაწილი გადარჩა.

წერილები

მოსავლის დღესასწაული

წინად და ეხლა

მოსავლის დღესასწაული ახალი უქმე არაა. გლეხკაცობისათვის შემოდგომა ზეიმისა და სიხარულის დროა. ამ დროს სოფელი ივსება ყოველგვარი დოვლათით, ამ დროს გლეხი ჯამს უკეთებს და თავს უყრის მთელი წლის სარჩო-საბადებელს.

ამიტომ მოსავლის დღესასწაულს შორეული ისტორიული ფესვები აქვს. მას უხსოვარ დროიდან ატარებდა გლეხკაცობა. მაგრამ, როგორც ეს თავისთავად გასაგებია, ამ დღესასწაულს დროისა და ჩვეულების ელფერი ჰქონდა. ძველი მოსავლის დღესასწაული მთლიანად ცრუმორწმუნეობის სულით იყო გაჟღენთილი.

ასე, მაგალითად, გურიაში დღესაც ცნობილია ეგრეთ წოდებული „აგუნას გადაძახება". აგუნა, როგორც სჩანს, კერპთაყვანისმცემლობის დროიდან დარჩენილი მოსავლის ღმერთის სახელია. შემოდგომაზე ოჯახის მეთაური გლეხი გამოდიოდა ღორის თავის ქალით ხელში, ურტყამდა მას საწნახელზე და, რაც ძალა ჰქონდა, გაჰყვიროდა: „აგუნა, აგუნა ვიიიო, ჩვენსკენ გადმოდიო; სხვის მამულში ფურცელი, ჩვენს მამულში ყურძენი; „ჩვენს ქალებს აბრეშუმი, სხვის ქალებს არაფერი..."

ამ ფორმამ თავისთავად მოსჭამა თავის დრო. დღეს გურიაში იშვიათად თუ შეხვდება კაცი „აგუნას გადაძახებას".

სამაგიეროთ ჩვენ უნდა შემოვიღოთ ჩვენი დროის და პირობების შესაფერი მოსავლის დღესასწაული. დღეს გლეხი იმდენად მაღლა დგას კულტურულად, რომ მან კარგად იცის ვისგან და რაზეა დამოკიდებული მისი მოსავლის კეთილდღეობა. ესაა ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და აგრონომიული ცოდნის გავრცელება. მეორე მხრივ კოლექტიური შრომა, საბჭოთა ხელისუფლების წინამძღოლობით მუშაობა.

მოსავლის დღესასწაული, რომელსაც ეხლა ვატარებთ სოფლად, სწორედ ამ შეგნებაზე უნდა იქნას დაფუძნებული. ერთი მხრივ უნდა გაუკეთდეს ჯამი წარსული სამოსავლო წელს და მეორე მხრივ უნდა დაისახოს მომავალი წლის სამუშაო გზები.

რა გზით უნდა მოეწყოს ეს? ამისათვის საჭიროა საზოგადო კრებების მოწვევა, საგანგებო საღამოების გამართვა. სასოფლო - სამეურნეო გამოფენების მოწყობა და სხვა. ამ საქმეში უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიათ აგრონომებს, ბეითლებს, მასწავლებლებს, ექიმებს, ერთი სიტყვით სოფლის ყველა ინტელიგენტურ ძალებს.

კომკავშირი მოწინავე რიგში უნდა იდგეს ამ შემთხვევაში. მან უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომ მოსავლის დღესასწაული ნამდვილ კულტურულ უქმედ გადაიქცეს და ისეთი შინაარსი მიიღოს, რომ გლეხკაცობა მიიზიდოს. ეს კი შესაძლებელია ყველა ადგილობრივ მოწინავე ძალების შეთანხმებული მუშაობით.

აქეთკენ უნდა იქნას მიქცეული ყველა იმ ადგილობრივ ორგანოების ყურადღება, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოსავლის დღის ჩატარებას.

თაველი.

შემოდგომის უქმე

მოსავლის დღის ჩასატარებლად შემდეგი ამოცანები სდგას პარტიის, კომკავშირის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინაშე. პირველი: ჯამების გაკეთება სასოფლო-სამეურნეო მიწურულ წლისა და მეორე პროპაგანდის ჩატარება, რომელიც იქონიებს გავლენას გლეხობაზე მეურნეობის კულტურულად მოსაწყობად. გარდა ამისა საჭიროა მთავარი ყურადღება გლეხობისა მიქცეული ექნეს ამა თუ იმ თემში იმ არსებით მხარეებზე. რომელსაც გლეხობა განსაკუთრებით მისდევს, მაგალითად: მეჯოგეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მებამბეობა და მრავალი სხვა.

ჩვენ უნდა შევეხოთ სასოფლო მეურნეობაზე სესხის გაცემას, კანონს ახალ სასოფლო სამეურნეო გადასახადზე 1926—27 წ. და ექსპორტის საკითხს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებისა.

გლეხობა უნდა გაეცნოს სხვადასხვა კოოპერატიულ გაერთიანების, ნაღების, ამხანაგობების მუშაობას. უნდა ვუამბოთ და ვაჩვენოთ გლეხობას უპირატესობა კოლექტიურ მუშაობისა ინდივიდუალურ მუშაობასთან შედარებით.

აი ეს ამოცანები უნდა დავისახოთ ამ დღესასწაულის ჩატარების დროს.

ცენტრალური ადგილი დღესასწაულზე უნდა ეჭიროს სასოფლო - სამეურნეო გამოფენას, რომელიც მოწყობილი იქნება წალკაში, ალბულაღში და საგარეჯოში. ამ დღესასწაულის ჩატარება არ უნდა იყოს ამოწურული მხოლოდ განვლილი სამეურნეო წლის შედეგების განხილვით, არამედ მთავარი და აუცილებელი ყურადღება უნდა მიექცეს მომავალ წლისათვის სათანადო ზომების გამომუშავებას.

თემამასკომები „მოსავლის დღის" უნდა ეცადონ, რომ დღესასწაული არ იყოს მშრალი, რომ მასში მონაწილენი იყვნენ გლეხური მასები. ეს კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოხსენების გაკეთების დროს შევეხებით კონკრეტულ პირობებს იმ თემისა, სადაც ტარდება დღესასწაული.

ასეთი მარტივი მიდგომა გლეხობასთან შესცემს მას საშუალებას იგრძნოს თავისი თავი არა მონად მიწისა, როგორც ის იყო წინეთ, არამედ პატრონად თავისი სასოფლო მეურნეობისა.

ნ. მამაცაშვილი.

რა აფერხებს გაზეთის გავრცელებას?*)

(ავჭალის თემი, თბილისის მაზრა)

სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სურს გამოიწეროს გაზეთი, მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს რომ გაზეთს ან ვერ მიიღებს ხელისმომწერი და თუ მიიღო აუცილებლათ სამი, ოთხი დღის შემდეგ.

თქვენ იტყვით, რომ კანტორა თავის დროზე აგზავნის გაზეთებს და მიმართეთ ფოსტის გამგესო, მაგრამ ასეთ ნაირად საკითხის გადაჭრა შეუძლებელია.

თვით ფოსტის გამგე დატვირთულია სხვა მუშაობით და ხშირადაც გამიგონია მისგან ასეთი სიტყვები: „მე პასუხის მგებელი ვარ „Доплотной და Заказной" წერილებზე და რაც შეეხება გაზეთებს, მარკიან წერილებს და სხვა ასეთებს მე არ ვაგებ პასუხს. ყველა ესენი შკაფის თავზეა და ვინც უნდა წაიღოსო".

„ვინც უნდა წაიღოს", ეს კიდევ არაფერი ვეცდებით, რომ სხვამ ვერ მოგვასწროს „წაღება" და წამოვიღებთ, მაგრამ ავჭალაში მომუშავე კაცს არ შეუძლია წაიღოს გაზეთი ცხვარიჭამიაში, მამკოდაში, ღილეუბანში და სხვა სოფლებში. აქ უნდა იყოს ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს ამ საქმის გაკეთება, ე. ი. გაზეთების მიწოდება.

როგორც გადმოცემით ვიცით, ზოგიერთ თემებში არიან გაზეთების და წერილების დამტარებლები—გლეხს ასეთი ორგანიზაციის საშუალებით შეუძლია გაზეთი თავის სახლში მიიღოს —ამისათვის დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ასეთის შექმნა და, თუ ეს არა, უკიდურეს შემთხვევაში, გაზეთი სასოფლო ქოხსამკითხველომდი მაინც უნდა მივიტანოთ.

ჩვენი მიზანია გაზეთების ფართო მასაში გავრცელება, როგორც გაზეთის ტირაჟის გაზრდის. ისე მასის კულტურულ დონის ამაღლების მიზნით, მაგრამ თუ მიწოდების საკითხი არ მოვაგვარეთ (ჩემი აზრით აუცილებელია გაზ. უნდა მივიტანოთ სასოფლო ქოხსამკითხველომდი, ან სასოფლო საბჭომდი) ჩვენი მიზანი მიზნად დარჩება და გლეხობაც ვერ გამოვა კულტურულ-განმანათლებელ გზაზე—ვერ ჩაებმება პოლიტგანმანათლებელ მუშაობაში.

ჩვენ ბევრ ფულებს ვხარჯავთ წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად და, როდესაც წ.-კ. შევასწავლით მოქალაქეს, მის სამახსოვროთ უტოვებთ: 1 რვეულს, 1 ფანქარს და 1 წიგნს „სინათლისაკენ". ეს არის მისი გაზეთიც, წიგნიც, გასართობიც და ყველაფერი, რაც გნებავთ.

ყოველივეს საზღვარი აქვს და ყოველ მოქალაქეს მოსწყინდება მუდამ ერთი წიგნის კითხვა. წ.-კ. უ. სალიკვიდაციო სკოლის კურსდამთავრებულს ხშირად აღარც გაზეთი მიდის და ამნაირათ იგი კვლავ ივიწყებს წერა-კითხვას.

დასკვნა: გაზეთების მიწოდების საქმე სოფლად ვერ არის დამაკმაყოფილებელი. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ორგანიზაცია, რომლის საშუალებითაც გლეხს საშუალება მიეცემა, რომ გაზეთი მიიღოს თავის სახლში თუ არა, ქოხსამკითხველოში მაინც. ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელების შემდეგ, გაზეთებს გამოიწერს მოსახლეობის არა ნაკლებ 30 პროცენტისა. თვით მე, ამ სტრიქონების დამწერი, პირობას ვდებ გაზეთ „კომუნისტს" ვუშოვო 300 ხელის მომწერი ავჭალის თემში, ოღონდ გაზეთის მიწოდების საქმე დავაყენოთ ისე, როგორც ზევით არის აღნიშნული.

აკი.

*) რედაქცია სთხოვს ამხ. გლეხკორებს და გაზეთის სხვა მკითხველებს გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ წერილში აღძრულ საკითხის გარშემო. რედ.

სოფლის ქრონიკა

— **დაზღვევა.** ზორჩალოს აღმასკომი შეუდგა ნათესების და საქონლის დაზღვევის საქმეს.

— **ქობულეთის ჭაობების ამოშრობა** დამთავრდება მიმდინარე წელში.

— **აჭარის წყალის ჰიდროელსადგური** ამუშავდება 1 წლის შემდეგ.

— **გზა.** წელს შეუდგებიან ოზურგეთ-საჯავახოს გზატკეცილის შეკეთებას.

— **სოფ. სახოშტარში** გაიხსნა 4 წლიანი შრომის სკოლა.

— ახალსენაკის მაზრაში სოფ. ტაბაკონში გაიხსნა სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, ხოფში სას.-სამ. სკოლა.

— **ქარხნის გადაცემა.** ცხინვალის აღმასკომმა საკრედიტო ამხანაგობას გადასცა ხე-ტყის ქარხანა.

მუშათა ცხოვრება

რა გააკეთა ჩვენმა პროფაქტივმა

სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომი მიმდინარე წლის 6 თებერვლიდან 1-ლ ოქტომბრამდე ასეთ მუშაობას აწარმოებდა: ადგილკომი აერთიანებს 1464 მუშა-მოსამსახურეს. აქედან მამაკაცია 1.365, (კავშირის წევრი) ქალები—99 (კავშირის წევრი.) ამ შემადგენლობიდან 8 სხვადასხვა კავშირის წევრია და 18 არა კავშირის წევრი.

შრომის დაცვის კომისიაში შედის 8 წევრი; კულტკომისია შესდგება 9 კაცისაგან, საწარმოო კომისიაში ითვლება 9 წევრი, სადუქნო-საკონტროლო კომისიაში 7 წევრი, სარევიზიო კომისიაში 3 წევრი. ამგვარად სულ პროფაქტივის მუშაობაში ჩაბმულია 111 წევრი, დაახლოვებით ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობის 15 პროცენტი.

საანგარიშო ხნის განმავლობაში საერთო კრება მოწვეულია 8, სადაც გაირჩა 19 საკითხი, დაესწრო 4670 კავშირის წევრი. გარჩეულია 15 ორგანიზაციული საკითხი, 3 სატარიფო-ეკონომიური.

დელეგატური კრება იყო 7, სადაც გაირჩა 32 საკითხი, აქედან ორგანიზაციული 15, კულტურული 1, შრომის დაცვის 2, ურთი-ერთ დამხმარე სალაროს 4 და სხვა საკითხები 11.

ადგილკომის სხდომები იყო 16, გაირჩა 89 საკითხი, დაესწრო 176 კაცი. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ჰქონდა 27 სხდომა, სადაც გაირჩა 28 საკითხი, აქედან მუშების სასარგებლოდ—149 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 93 საკითხი. გაიგზავნა მომრიგებელ კამერაში 28 და სასამართლოში 2.

შრომის დაცვის კომისიას ჰქონდა 6 სხდომა, გაირჩა 29 საკითხი, დაესწრო 24 კაცი. კულტკომისიას ჰქონდა 7 სხდომა, გაირჩა 32 საკითხი, საწარმოო კომისიას ჰქონდა 9 სხდომა, სადაც გაირჩა 48 საკითხი, დაესწრო 40 კაცი.

საანგარიშო ხნის განმავლობაში საწარმოო თათბირი მოწვეულია 2-ჯერ; გაირჩა 5 სხვადასხვა ხასიათის საკითხი, სარევიზიო კომისიას ჰქონდა 3 სხდომა. უკანასკნელი თვალყურს ადევნებდა ფინანსიურ საქმეს.

საანგარიშო ხნის განმავლობაში გაზეთების გამოწერის საქმე შემდეგნაირად იყო დაყენებული: გამოწერილია „კომუნისტი"—415 ცალი, „რაბოჩაია პრავდა"—217, და სხვ. გამოწერილია ჟურნალები.

პლეხანოვის სახელობის კლუბში წევრებად ჩაწერილია 158 კაცი, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში 68 კაცი.

შრომის დაცვის კომისიამ გამოჰყო სან-კომისია. ორგანმანათლებელ კომისიამ გამოჰყო საექსკურსიო კომისია. საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწყობილია ექსკურსია, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა 260 კაცმა. კოოპერატივის წევრებად ჩაწერილია 958 კაცი.

გამოდის კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი", რომელსაც ჰყავს 27 კედლკორი.

ურთიერთ დამხმარე სალაროს აქვს 1.807 მ. თანხა. საშეფო ბიუროს თავის შეფობის ქვეშ ჰყავს აყვანილი სოფელი ზემო-ხანდაკი, შეძენილია გლეხებისათვის „ხოლტი"-ს სისტემის „ტრაქტორი".

დასასრულია რემედასის, ავიოქიმის ბიუროები, რომელთა მუშაობა ნაყოფიერია.

კავშირის ორ პროც. ანარიცხის თავის დროზე გადახდას ძალიან გაურბიან მაღალი კვალიფიკაციის თანამშრომლები, რაც დაუშვებელია.

მიღებულია მოწაფეებად კავშირის წევრების 5 შვილი. ადგილკომის შტატის შესაბამად და სხვადასხვა ხარჯებისათვის გაცემულია 4.306 მ 35 კ.კულტფონდიდან შემოსულია 36 მან. 38 კაპ. დასხვ. ამჟამად ადგილკომის სალაროში ნაღდ ფულად ინახებოდა 549 მ. 40 კ.

მიმდინარე ზაფხულში საკურორტოდ გაიგზავნა 29 კაცი, აქედან მუშა—27, ანუ 91 პროც., მოსამსახურე—2, ანუ 9 პროც.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილია 37 კაცი, აქედან 27 მუშებია, დანარჩენი მოსამსახურეები.

შვებულება მიიღო ავადმყოფობის გამო 18 კაცმა, 9 მუშამ და 9 მოსამსახურემ.

შრომის ინვალიდებს ექცევათ განსაკუთრებული ყურადღება.

მოგვარებულია ხელფასის დროზე დარიგების საკითხი, კოლექტიურ ხელშეკრულების მე-28 მუხლის თანახმად. დარიგებულ იქნა საქ. სადგურის ზედმეტი ნამუშევარის ჯილდო. ადგილკომი სისტემატიურად ეხმარება უმუშევრებს.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

მუშფაკელების მდგომარეობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს

ქალ. მუშფაკში სტიპენდიელები ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. სრული სტიპენდია განისაზღვრება 25 მანეთით, რაც დღეში 80 კაპ. უდრის. ამით მსმენელმა უნდა შეიძინოს სახელმძღვანელო, ტანთსაცმელი, გამოიკვებოს და სხვ. ეს კი არ ყოფნის მას.

ამას გარდა, არის კიდევ ნახევარ სტიპენდიიანი მსმენელები, რომლებიც იღებენ 12 მან. 50 კაპ. უკანასკნელნი კი უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან.

საჭიროა განათლების კომისარიატმა გააუმჯობესოს მუშფაკის მსმენელების ნივთიერი მდგომარეობა.

მ.—ვ—ი—მ.

მუშათა წერილებიდან

— **ჯოხიას ჯოხი მოუხდება.** სად. აჯამეთის სადგურის უფროსის თანაშემწედ მსახურობს ვინმე—ჯოხია.

ამ კაცს უწმაწური სიტყვები, ყვირილი და გინება საკუთარ ხელობად გაუხდია. ჩამოიღებს თუ არა ელსმენს ერთი „გემრიელად" თუ არ შეუკურთხა მეზობელ სადგურის უფროსს, ისე ვერ მოისვენებს.

პირველი ვაჰყოფ. უფროსმა — პატიოსნება უნდა ასწავლოს მოქ. ჯოხიას.

მ. № 1-ლი.

— **5 წლის არსებობისათვის ზეიმი.** 13 ოქტომბერს ქუთაისის სახანძრო რაზმის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად შესდგა საზეიმო სხდომა. ხანძართან ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ალანაშვილმა. საღამო-ზეიმა ლამაზად ჩატარდა და მშრომელი მასაც ბლომად დაესწრო.

ვ. ა—ლი.

— **მოარჯულეთ ლოთი კაცი.** ლენინის უბანში საბჭოს ქუჩაზე № 137-ში სცხოვრობს მთავარ სახელოსნოს მუშა ვინმე მ. ჩუმაჩენკო. იგი ცნობილია ლოთობით. კომისარიატის საპატიმრო საკანშიც ბევრჯერ მჯდარა, მაგრამ მის გამოსწორებას მაინც არაფერი არ ეშველა. მოქ. ჩუმაჩენკო თავის უწესო საქციელით ჩირქს სცხებს პატიოსან მუშებს.

მისი შიშით ქალებს ვერ ვაუვლიათ ქუჩაში, რადგან გალანძღავს და შეიძლება ხელითაც შეეხოს.

საჭიროა მე-11 უბნის მილიციამ მოარჯულოს ეს მოურჯულებელი ლოთი კაცი.

მუშკორი მებრძოლი.

— **აქ კულტმუშაობა გაცხოველდა.** სენაკის მაზრაში საბჭოთა მუშაკების კავშირში კულტურული მუშაობა საგრძნობლად გაცხოველდა. დაარსებულია პროფწრე, იურიდიული კონსულტაცია, დრამწრე და სხვ.

გახსნილია აგრეთვე სამკითხველო, სადაც სისტემატიურად მოდის ჟურნალ - გაზეთები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს კავშირში კულტმუშაობა გაცხოველებულად მიმდინარეობს.

ზ. დიდჭყობელი.

— **მიხედეთ ამ უბნებსაც.** მეშვიდე და მერვე სამილიციო უბანი „ღვთის" ანაბარადაა მიტოვებული. აქ არა გვაქვს: კოოპერატივი, სამკითხველო და სხვ. ქუჩების განათების და მოკირწყვლის ვერ ეღირსენ აქაური მუშა - მოსამსახურენი. დიდ ვაჭირვებას განვიცდით ზემოაღნიშნულ ნაკლების გამო.

აღმასკომო, ეხლა მაინც მიხედე ამ უბანს!

მუშა გაღმოსახლებული.

— **ქალთა განყოფილებავ, დაიცავი ცოლშვილი უხეშ ადამიანისაგან.** ელისაბედის ქუჩაზე № 89-ში სცხოვრობს ვინმე რეიხერი, რომელსაც აწიოკებული ჰყავს თავის ცოლშვილი. ისე დღე არ გავა, რომ მოქ. რეიხერმა ერთი აურზაური არ დააწიოს თავის ცოლშვილს. ამით მუშა მდგმურებიც შეწუხებული არიან.

ქალთა განყოფილებავ, დაიცავი ცოლშვილი უხეშ ადამიანისგან.

—ზნაიტ.

მუშათა ქრონიკა

— **საწარმოო კომისიის სხდომა.** 7 ოქტომბერს შესდგა სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის საწარმოო კომისიის სხდომა. კომისიამ გაარჩია მთელი რიგი საწარმოო საკითხებისა.

— **კედლკორთა კრება.** 12 ოქტომბერს შესდგა თბილისის დეპოს კედლკორთა საერთო კრება. კრებამ იმსჯელა კედლის გაზეთის გაუმჯობესების ირგვლივ.

— **ხელმძღვანელად.** ქუთაისის რკინის-გზის კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდმა ხელმძღვანელად მოიწვია ლოტბარი კუხიანიძე. გუნდი უკვე შეუდგა მუშაობას.

— **კურსები.** სად ზესტაფონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება შუამდგომლობს, რათა ადგილობრივ გაიხსნას ტეხნიკური და კომერციული კურსები ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **ერთი პროცენტი.** ამავე სადგურის საერთო კრებამ დაადგინა გაღებულ იქნეს ყოველთვიურად ერთი პროცენტი თვიური ჯამაგირიდან ინგლისის გაფიცულ მემაღაროელთა სასარგებლოდ.

— **მასალები ლიანდაგის მდგომარეობაზე.** სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის საწარმოო კომისიამ საჭიროდ სცნო, რათა უბნის უფროსმა შეაგროვოს მასალები ლიანდაგის მდგომარეობაზე.

— **მექანიზაციისთვის.** სალიანდ. სამსახ. მეექვსე უბნის საწარმოო კომისიამ დაავალა ამ უბნის უფროსს შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა უბანში მექანიზაციის ჩატარებისათვის.

— **ხელსაწყობი იარაღები.** ამავე უბნის საწარმოო კომისიამ დაავალა უბნის უფროსს გამოარკვიოს ხელსაწყო იარაღების ნაკლებობა და ეს საკითხი დაისვას კომისიის მორიგ სხდომაზე.

— **ადგილკომების გადარჩევის კამპანია.** თბილისის უბნის ადგილკომების გადარჩევის კამპანია დაიწყება ახლო მომავალში.

— **კლუბის წევრთა საერთო კრება.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს კლუბის წევრთა საერთო კრება სადაც არჩეულ იქნება ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

პროფკავშირებში

სოფლად მომუშავე ფარმაცევტების შრომის დაცვის ირგვლივ

უკვე მეათე წელიწადში ვდგებით, რაც რევოლიუცია მოხდა; უკვე მეხუთე წელია, რაც საქართველოში რვა საათის სამუშაო დრო დაკანონდა მუშებისათვის.

სოფელში კი არ იციან 6—8 საათის სამუშაო დრო. რა ჯამიც არ უნდა იქნეს, — დილა, საღამო, დილის ექვსი საათი, ღამის 12 საათი, თუ გლეხს არ დახვდი სოფლის აფთიაქში, ან კოოპერატივში, ივი მეტად ნაწყენი დარჩება. ეს მეტწილად აფთიაქებზე ითქმის. გლეხი ასე მსჯელობს:

— მე ეხლა მინდა შველა. ცოლი, შვილი ავათ მყავს, წამალი მესაჭიროება და რა დროც არ უნდა იქნეს, სულ ერთია ჩემთვის წამალი მზად უნდა იქნესო.

სოფლად მომუშავე ფარმაცევტები, აფთიაქის გამგენი, გლეხის ფსიქოლოგიის ანგარიშს უწევენ და დღე და ღამე აფთიაქში უხდებათ ყოფნა.

წამლების დამზადების გარდა მათ უხდებათ გაყიდულ წამლების აღნუსხვა, შემოსავალ-გასავალის (სალაროს ანგარიშის) შედგენა და სხვა.

შესაძლებელია ზოგიერთს ეგონოს, რომ სოფლად არსებულ აფთიაქებში ცოტა სამუშაოა. ამას ხანდახან კრებებზე და ყრილობებზეც კი ამბობენ, როცა სოფლად მომუშავე ფარმაცევტების სამუშაო ხელფასისა და შრომის დაცვაზე დადგება საკითხი. ეს სიმართლე არ არის. ასეთი უმართებულო ლაპარაკი გულწრფელსა და პატიოსან მომუშავეს გულს უცრუებს.

სოფლად მომუშავე ფარმაცევტს თავის პირდაპირ მოვალეობის გარდა ბევრი რამ აქვს სამუშაო: სოფლად კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის წარმოება, კოოპერატივისა და სხვა საქმეებში მონაწილეობა და სხვ.

აღმასკომის თავმჯდომარე, სოფლის ექიმი, ფარმაცევტი, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენენ და, თავისთავად ცხადია, მათ საზოგადო სამუშაო არ გამოელევათ, თუ კი იმუშავებენ. მაგრამ სამისო დრო სოფლად მომუშავე ფარმაცევტს არ რჩება: ივი იძულებულია დილიდან შუაღამემდე იჯდეს აფთიაქში, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა გულისწყრომა არ დაიმსახუროს. თავისთავად ცხადია 16 საათის განმავლობაში ფარმაცევტი ყველა სოფელში არ მუშაობს, მაგრამ ზოგან, დიდ სოფლებში, ნაკლებ დროს არ ანდომებს მუშაობას, რადგან, როგორც ზევით ვსთქვი, იგია რეცეპტის შემსრულებელი, გაყიდულ წამლების და სალაროს ანგარიშის ყოველდღიურად შემდგენი. ზოგიერთ დიდ რაიონებში, სადაც 3—4 ათასი მცხოვრებია დიდი მუშაობა უნდა. ესეც, რომ არ იყოს, ვსთქვათ ფარმაცევტი 8 საათს მუშაობს და დანარჩენ რვა საათს მაინც უხდება ჯდომა აფთიაქში. მე ვგონია, ამასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. თავისთავად ცხადია, სახელმწიფო ვერ შესძლებს, რომ სოფლად აფთიაქებში ორი ან სამი ფარმაცევტი აიყვანოს იმისთვის, რომ სწორი მორიგეობა დააწესოს და შრომის დაცვის კანონი სისწორით გატარდეს. ამას ყველა სოფლად მომუშავე ფარმაცევტი გრძნობს. მაგრამ ფარმაცევტის შრომის დაცვის სრულიად უყურადღებოდ დატოვება სამართლიანი მაინც არ არის.

თუ მათი სამუშაო დროის განსაზღვრა არ შეიძლება ისე, როგორც ქალაქებში მუშაობენ ფარმაცევტები, საჭირო იყო ზედმეტ შრომასთან შეფარდებით გასამრჯელო მაინც მიეცათ მათთვის.

ეს საკითხი იდგა საქართველოს პროფსაბჭოში, რომელმაც შრომის კომისარიატსა და ჯანსახკომს დაავალა ამ საკითხის მოგვარება.

იმედია მედსანშრომის კავშირი მაინც მიიღებს ზომებს.

ჩამორჩენილ მუშა - მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხია დღიურ წესრიგში და შესაძლოა ამ სკითხის მასთან ერთად გადაჭრა.

პროფკორი მგზავრი.

პროფმუშაობის ქრონიკა

რკინის გზის პროფკავშირებში

— **თათბირი.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მიმდინარე ოქტომბრის თვეში მოიწვიოს უბნის კულტმუშაკთა თათბირი.

— **ხელფასის დაგვიანება.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მიიღოს გადამწყვეტი ზომები მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემის დაგვიანებისათვის. საუბნო პროფკავშირმა უკვე გააფრთხილა ადმინისტრაცია, რომ ასეთი დაგვიანებისათვის მას მომავალში გადახდება ჯარიმა.

— **ახლო ადგილკომებთან.** ხაშურის საუბნო კომიტეტის პლენუმმა მიმართა პრეზიდიუმს დაიჭიროს მტკიცე კავშირი ძირითად ადგილკომებთან. ამ მიზნით პრეზიდიუმის სხდომებზე მოეწყობა ადგილკომის მოხსენებები რიგ-რიგობით.

— **ლიტერატურა.** ა.-კ. საგზაო პროფკავშირმა გადასდო 1000 მანეთი მუშათა ლიტერატურის შესაძენად. ლიტერატურით აღიჭურვება ყველა კულტდაწესებულებები რკინის გზაზე..

— **საორგანიზაციო კომისიები.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოაწყოს ადგილკომებთან ცდის სახით საორგანიზაციო. კომისიები.

— **გაძლიერება.** ა.-კ. რკ. გზის პროფკავშირმა მიმართა ყველა საუბნო პროფკავშირებს გააძლიერონ ინგლისის მუშათა დახმარების კომპანია.

ა.-კავკასიის მომარაგება სასოფ.-სამეურ. იარაღებით

ხვალ „ზაკსელმაშ"-თან მოწვეულია თათბირი ამიერ-კავკასიის მომარაგების შესახებ სასოფლო - სამეურნეო იარაღებით.

თათბირზე მოწვეული არიან ა.-კ. რესპუბლიკების სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები — „აბრეშუმი", „არარატი", „საქართველოს ღვინო" და „კონკორდია", რესპუბლიკათა სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოები, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატები, სახელმწიფო საგეგმო კომისიები. სახალხო მამულების ტრესტები, აზერბეიჯანის მეღვინეთა სააქციო საზოგადოება, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და ა.-კ. და რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკები.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია ა.-კ. ცალკე რაიონების ნიადაგის გამოკვლევის საჭიროების და ცალკე რაიონებისათვის სას.-სამეურნ. მანქანებისა და იარაღების კონტინგენტების დაწესების, ადგილობრივ მანქანათა მშენებლობის საქმის გაძლიერების, ადგილობრივ მეურნეობისათვის საჭირო იარაღების დამზადების, იარაღების შემკეთებელ სახელოსნოების მოწყობის. სასოფ.-სამეურ. მანქანათა ვაჭრობის საქმის რაციონალიზაციის, გამოცდილ ხელოსანთა კადრების მომზადების და სხვა საკითხები.

თათბირი დაახლოვებით სამ დღეს გაგრძელდება.

თათბირის ამოცანების შესახებ. ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა „ზაკსელმაშის" გამგეობის წევრს ამხ. ი. წივწივაძეს რომელმაც შემდეგი განაცხადა:

— „სასოფლო - სამეურნეო მანქანების მოწოდების საქმე ჩვენში, ისე როგორც საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში ჯერ-ჯერობით საორგანიზაციო პერიოდში იმყოფება. ამიტომ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. მისი გადაწყვეტა უმთავრესად დაკისრებული აქვს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სავაჭრო სააქციო საზოგადოებას. ეს უკანასკნელი დიდ როლს თამაშობს ჩვენს სასოფლო მეურნეობაში.

სასოფ. - სამეურნეო იარაღების სოფლისათვის მისაწოდებლად საჭიროა მთლიანი სისტემის შექმნა, რადგან ამჟამად დიდია მოთხოვნილება საწარმოო იარაღებზე. უკანასკნელის მიზანშეწონილ შესყიდვა - განაწილებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.—აი თათბირის უპირველესი ამოცანა.

სასოფლო - მეურნეობის მანქანებით მომარაგების მთლიან სისტემასთან ერთად უნდა მოეწყოს სას.-სამეურნეო მანქანების რაციონალური გამოყენების საქმე. განსაკუთრებით ისეთი მანქანების, როგორიცაა—ტრაქტორები. ამასთანავე უნდა მოგვარდეს წესიერად მათი ტეხნიკური მოვლაც.

თათბირზე წარმოდგენილმა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ თავისი მოთხოვნილებები აღნიშნულ იარაღებზე და მანქანებზე. მათი პრაქტიკული წინადადებები ხელს შეუწყობენ „ზაკსელმაშს" თავის მოვალეობის აღსრულების საქმეში.

ამასთანავე თათბირმა უნდა მიაქციოს ყურადღება მანქანების მმართველ კვალიფიკაციურ ხელოსანთა მომზადების და იარაღთა შემკეთებელ სახელოსნოების მოწყობის საკითხს.

ყველა ეს საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება, დასმულია ა.-კ. დაინტერესებულ ორგანიზაციათა თათბირზე, რომელსაც ჩვენ ვიწვევთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მანქანებით მომარაგების ფორმის გამოსამუშავებლად. ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები გაერთიანებული ძალ-ღონით შესძლებენ ჩვენი

ქაღალდის ქარხანა

ს. მ. უ. ს. სატეხნიკო განყოფილება ახლო ხანში აგზავნის სპეციალისტების კომისიას ზუგდიდის მაზრაში მდ. ენგურზე ქაღალდის ქარხნის ასაშენებელ ადგილის გამოსანახავად. კომისია ჩამოივლის სოფ. ჯვარს, შამგონს და ენგურის ხეობას.

ამასთან ერთად, ს. მ. უ. ს. მიერ წინადადება მიეცა მიწათმოქმედების კომისარიატს დაამუშაოს ხე-ტყის საექსპლოატაციო რუკა და მისი გამოტანის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს რა ადგილას, ან რამდენი მასალის დამზადება იქნება შესაძლებელი და რა დაჯდება ქარხნის ასაგებ ადგილამდე მისი მიტანა.

ქარხნის ასაგებად უმთავრეს დაბრკოლებას ამჟამად წარმოადგენს სათანადო შემადგენლობის წყლის უქონლობა. ქარხანა იძულებული იქნება გამოიყენოს მდ. ენგურის წყალი, რომელშიაც ბლომად ურევია რკინა.

ს. მ. უ. ს. მიერ მინდობილი ქონდა ტეხნიკურ ლაბორატორიის, სისტემატიურად ეწარმოებინა ენგურის წყლის ანალიზი. ანალიზი უკვე სწარმოებს 4 თვეა და გაგრძელდება წლამდე. გამოირკვა, რომ ენგურის წყალში ურევია ერთი მილიგრამი რკინა ერთ ლიტრ ანუ ბორჯომის ბოთლ წყალში. ქაღალდის საკეთებლად კი საჭირო არის, რომ რკინის რაოდენობა აღემატებოდეს ყოველ ლიტრზე 0,2 მილიგრამს. რკინანარევი წყლის გასაწმენდათ ს. მ. უ. ს. განზრახული აქვს ქარხანასთან ააგოს წყლის ქიმიურად საწმენდი მოწყობილობები.

თანამედროვე ქაღალდის მრეწველობაში არ არის შემოღებული წყლის ქიმიური შეწმენდა, ვინაიდან ქაღალდის ქარხნებთან ჩვეულებრივად მოიპოვება ნორმალური შემადგენლობის წყალი, ამიტომ ტეხნიკურ ლაბორატორიას, რომელიც ამჟამად ეწყობა,დაევალება შეისწავლოს წყლის წმენდის ახალი საშუალებები და ამ საშუალებებით უხელმძღვანელოს ენგურის წყლის წმენდას.

მეღვინეთა თათბირი

23 ოქტომბერს ქუთაისში დამთავრდა მევენახეთა თათბირი, რომელიც 5 დღე გაგრძელდა. თათბირს თავმჯდომარეობდა ამხ. ამირაღოვი, საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობის თავმჯდომარე.

ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ განყოფილებებს საქართველოს გარეთ არსებულ საკმაო რაოდენობით ვერ მიეწოდათ ღვინო. წარმოების რაციონალურად დაყენებით ამხანაგობის ღვინის გასაღება მახლობელ თვეებში შეიძლება ორჯერ იქნეს გადიდებული. საკმაო ინვენტარის უქონლობა აფერხებდა განყოფილებებისათვის ღვინის მიწოდებას. პროდუქციის თვითღირებულება ბაზრისათვის მისაღებად არის ცნობილი, მაგრამ შეიძლებოდა მისი დაკლება 30 პროცენტით, თუ მიღწეულ იქნა საწყობების მექანიზაცია, ინვენტარის გაუმჯობესება და დამზადების გეგმის მთელი 100 პროცენტით შესრულება. ღვინის დამზადების ცენტრალიზაცია ქუთაისში გადაწყვეტილია. რადგან ამ რაიონში მოიპოვება სხვადასხვა ხარისხის ყურძენი და მეღვინეობის ხელის შემწყობი პირობები. პრაქტიკულ ღონისძიებებად პროდუქციის ხარისხის და გასაღების გასაუმჯობესებლად ცნობილ იქნა შემდეგი: საწყობებში მიღებული ყურძენი ხარისხოვნად უნდა იქნეს დაყოფილი, გაფართოვებული იქნეს შენობები ყურძნის მისაღებად, ღვინო გასასაღებლად გაგზავნამდე აუცილებლად ფილტრში უნდა იქნეს გატარებული.

ახალი ქარხანა

სამხრეთ-ოსეთში

ადგილობრივი მრეწველობის განვითარების მიზნით ს. მ. უ. ს. სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია ყოველ საწარმოო რაიონში შესაფერი მრეწველობის მოწყობა. ამ მიზნით მოხდა ყველა რაიონების საწარმოო შესაძლებლობათა შესწავლა. ასეთი შესწავლის ჩატარება ავტონომიურ ერთეულებში მიენდო ადგილობრივ სახკომსაბჭოს და ცაკებს.

სამხ.-ოსეთის ცაკმა წარმოადგინა პროექტი ოლქში ხე-ტყის სახერხი ქარხნის მოსაწყობათ, რადგან სამხ.-ოსეთიდან უმთავრესათ ხე-ტყის მასალის გამოტანა შეიძლება.

აღნიშნული პროექტი წარდგენილი იყო რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, რომელმაც გადასდო აღნიშნული ქარხნის ასაგებათ 150.000 მანეთი და მიანდო ს. მ. უ. ს. სატეხნიკო განყოფილებას დაამუშაოს ქარხნის გეგმა.

ქარხნის აგება განზრახულია მდ. ლიახვზე სოფ. ჯავის ახლო.

ხილის ბაზარი

საქართველოს შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ გორის რაიონში ხილის ბაზრის გამოსაკვლევათ მიავლინა ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების გამგე ამხ. გ. ბერულაშვილი. ხილის ბაზრის შესწავლასთან დაკავშირებით მას დავალებული აქვს აგრეთვე შეისწავლოს წლევანდელ ხილის დამზადების საქმე. ამასთან პარალელურათ იწარმოებს ძირითად კოოპერატიულ ქსელის საწარმოო დათვალიერება, როგორც გორში, ისე აღნიშნულ რაიონის სოფლებში, იმ მიზნით. რათა გამორკვეულ იქნეს ადგილობრივ ბაზარზე კოოპერაციის პრაქტიკული მუშაობა და საცალო ფასების დაკლების კომპანიის ჩატარების შედეგები.

აღნიშნული გამოკვლევა ჩატარდება გორის რაიონის, როგორც მომხმარებელ, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებში.

სატყეო ტრესტი

შეშის ჩამოზიდვა

საქართველოს სატყეო ტრესტმა ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს მიმართა შუამდგომლობით დროზე მიაწოდოს ტრესტს ვაგონები კახეთის ხაზზე და პალადიდის რაიონში.აღნიშნული რაიონებიდან შეშის გამოტანა სუსტათ სწარმოებს ვაგონების ნაკლებობის გამო.

მარელისის ქარხანა

საქართველოს სატყეო ტრესტის ცნობით, მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა მუშაობას დაიწყებს ა.-წ. 1-ლ ნოემბრიდან. ამჟამად უკვე სწარმოებს მუშაობა ქარხნის სახერხ განყოფილებაში.

დამამზადებელ დარგში

საქართველოს სატყეო ტრესტმა ხე-ტყის დამამზადებელ განყოფილების გამგეთ დანიშნა ვ. ავალიანი.

ხე-ტყის ქარხანა ბორჯომში

უკვე დასრულდა ხე-ტყის ქარხნის აგება ბორჯომში. დადგმულია დიდ-ძალიანი სახერხი და მიმწოდებელი მანქანები. ქარხანასთან ამჟამად შენდება კანტორის შენობა.

მეცნიერება და ტეხნიკა

სიმსივნეები და მათი მკურნალობა

რა არის სიმსივნე

სიმსივნე ანუ ბლასტომა ჩნდება სხეულის მოთხოვნილების გარეშე, მისი აღმოცენება არ შეიცავს არავითარ მიზანშეწონილებას. არსებითად იგი უსარგებლოა, ზედმეტია ორგანიზმისათვის, იგი პარაზიტარული არსებაა.ბიოლოგიურად მისი ელემენტები ცხოვრობენ თავისი დამოუკიდებელ ცხოვრებით, ორგანიზმის რეგულატორულ გავლენათა გარეშე. მათ არა აქვთ არავითარი ფუნქცია. მათი სასიცოცხლო ენერგია მიმართულია მხოლოდ კვებისაკენ და გამრავლებისაკენ. სიმსივნის ქსოვილის ზრდას არა აქვს მიდრეკილება თავისი განვითარების ციკლის დამთავრებისადმი. ამნაირად სიმსივნე ხასიათდება შეუჩერებელი ზრდით დროში და სივრცეში.

რა არის კეთილ-თვისებიანი სიმსივნე

ზოგიერთი სიმსივნეები არ შეიჭრებიან მახლობელ ქსოვილში, არამედ მხოლოდ თანდათანობითი ზრდის გამო აწევებიან მათ. იგი ახლო მდებარე ნაწილებიდან გამოყოფილია, გამოცალკევებულია თავისი საკუთარი ბუდით (შემაერთებელ ქსოვილოვანი კაპსულით), იგი იზრდება ამ კაპსულის შიგნით, ძალიან მძიმე ტემპით. ზრდის ასეთ ტიპს ეწოდება ექსპანსიური, ცენტრალური ზრდა. ეს არის დამახასიათებელი კეთილ-თვისებიან სიმსივნეებისათვის. სიმსივნეები ექსპანსიური ზრდით მოქმედობენ მათთან ახლო მდებარე ქსოვილებზე მხოლოდ მით, რომ მექანიკურად აწევებიან მას და თავისი ანატომიური მდებარეობის მიხედვით იწვევენ ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციის მოშლას, ხან სერიოზული ხასიათისას (მაგ. თავის ტვინში არსებული კეთილ-თვისებიანი სიმსივნის მიერ გამოწვეულია ხოლმე ავი ზნე—ეპილეპსია). ოპერაციის დროს ასეთ სიმსივნეების საზღვრები ადვილად მოჩანს, რის გამოც იგი ადვილი ამოსაღებია მთლიანად. ამ გარემოების გამო ოპერაციის შემდეგ ასეთი სიმსივნე აღარ განმეორდება, არ მოგვცემს რეციდივს.

რა არის ავ-თვისებიანი სიმსივნე

მეორე გვარი სიმსივნეები თავის ზრდის დროს იმდენად არ აწევებიან და არ გასწევენ ხოლმე ახლო მდებარე ქსოვილს, რამდენადაც შეიზრდებიან მათში. ასეთი სიმსივნის ელემენტები შეიჭრებიან ახლო მდებარე ქსოვილის ნაპრალში, ლიმფურ სადინრებში, სისხლის ძარღვებში, ნერვის ბუდეებში და მოითესებიან, გააჩენენ ახალ-ახალ კერებს სხეულის ფართე მანძილზე, რის გამო თვით ოპერაცია მათი მთლიანად ამოღების მხრივ უმრავლეს შემთხვევებში შეუძლებელი და უსარგებლო ხდება. ასეთი ტიპის ზრდას ეწოდება ინფილტრაციული. იგი მთავარი თვისებაა მოუმწიფებელ სიმსივნეებისა და ახასიათებს მათ ავ-თვისებიანობას. ასეთი სიმსივნე ზრდის დროს არღვევს, სჭამს ახლო მდებარე ქსოვილს და იკავებს მის ალაგს. საერთოდ ავ-თვისებიანი სიმსივნეები იზრდებიან სწრაფად.ზრდის სისწრაფის ხარისხი არის ერთი მთავარი ნიშანთაგანი და ახასიათებს სიმსივნის ავ-თვისებიანობის ხარისხს, ვინაიდან სიმსივნის ზრდის სისწრაფეზეა დამოკიდებული ახლო მდებარე ქსოვილის დარღვევა-დაზიანება. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ზრდის სისწრაფე არა პროპორციულია სიმსივნის უჯრედთა მომწიფების ხარისხთან, ე. ი. ყველაზე სწრაფად იზრდებიან ავ-თვისებიანი სიმსივნეები. როდგან მათი უჯრედები ნაკლებად მომწიფებულია (არას დროს არც მწიფდებიან) და შეიცავენ ზრდა-გამრავლების აუარებელ ენერგიას.

სიმსივნეთა გაჩენის მიზეზი

თუმცა სიმსივნეთა წარმოშობის მიზეზი, მათი აღმოცენების ძირითადი მომენტის არსი დღემდე სიბნელით არის მოცული, მაგრამ ერთი რამ არის ცხადი: სახელდობრ, ძირითადი მომენტი სიმსივნის გაჩენისა არის არა მიზეზებში, არამედ მასში, რომ ესა თუ ის უჯრედი (როგორც ამბობს ცნობილი პათოლოგო-ანატომი ნიკიფოროვი) უცბად გადაიხრება, შეიცვლება, ასცდება თავის ნორმალურ ყოფა-ქცევის ხაზს და გადაიქცევა არა ნორმალურ, პათოლოგიურ, მავნე უჯრედად. მერე წარმოშობს თავისებურ ჯიშს, თავისებურ რასის უჯრედებს, რომელნიც ცხოვრობენ სხეულში ავტონომიურად, პარაზიტარულად. რუსეთის თანამედროვე მეცნიერმა ა. გ. მოლოტკოვმა უჯრედის ასეთი ახალი თვისებების შეძენა, ქსოვილის ასეთი ზრდა, დაუკავშირა მკვებავ (ტროფიულ) ნერვების თავისებურ გავლენას. ასე უნდა გვესმოდეს კერძოდ ყველასათვის ცნობილ ავ-თვისებიან სიმსივნის კიბოს გაჩენა, რომელიც ყველას ყურადღებას იქცევს თავისი სასტიკი ბუნებით; მისგან დაავადებული ავადმყოფი თითქმის უკვე განწირულია სასიკვდილოთ. მით უმეტეს, უღონისოდ საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება ის ავადმყოფი, რომლისათვის ოპერაცია უკვე დაგვიანებულია. ცხადია, რამე ახალი და მძლავრი შუქის შეტანა მეცინიერის ამ ყველაზე ბნელ და სუსტ დარგში საყურადღებოა.

ამ მხრივ შესაფერ იმედებს იძლევა ხსენებულ მეცნიერის —მოლოტკოვის მიერ შემუშავებული ოპერაცია, რომელსაც ის ახდენს არა თვით სიმსივნეზე, არამედ იმ მგრძნობიარე და მკვებავ ნერვებზე. რომლებსაც ერთგვარი კავშირი და გავლენა აქვთ საერთო სიმსივნეთა ზრდა-განვითარებაზე.

მოლოტკოვის დაკვირვება ცხადყოფს სიმპატიურ, ანუ ავტონომიურ (მკვებავ) ნერვიულ სისტემის გავლენას, როგორც სიმსივნეებზე, აგრეთვე მათ მიერ წარმოშობილ წყლულებზე. სახელდობრ, მგრძნობიარე ნერვების გადაჭრის გზით ხდება დანაწილება და შეხორცება წყლულების, შეჭმუხვნა სიმსივნეების. მას მოჰყავს შემთხვევა, სადაც ერთი ასეთი ნერვის გადაჭრას სახის მიდამოში (გადაჭრა სამწვერა ნერვის მეორე ტოტი), ტუჩის კიბოს დროს, მოჰყვა სწრაფი გაქრობა კიბოს უჯრედების; სიმსივნე (კანკროიდი), რომელსაც განფენილი კიდეები ჰქონდა შეიჭმუხნა, უჯრედებმა დაჰკარგეს კიბოს უჯრედების ხასიათი და სხვა.

როგორ ავხსნათ ეს მოვლენა? ახსნა ასეთია. ხსენებულ ნერვთა ამოჭრის საშუალებით ჩვენ ვაღწევთ დაავადებულ ქსოვილის კვების გაუმჯობესებას, მით, რომ სათანადო ადგილას უმჯობესდება, ძლიერდება სისხლის მიმოქცევა. ნერვების გადაჭრის და კვების გაუმჯობესების შემდეგ დაავადებული (თუნდ კიბოთი) ქსოვილის უჯრედები იბრუნებენ ზრდის ნორმალურ საშუალებას, რაც სპობს თვით ავ-თვისებიან სიმსივნის მიერ გამოწვეულ წყლულებს, ქსოვილის ზრდას აყენებს ნორმალურ კალაპოტში და ხელს უწყობს ავ-თვისებიან სიმსივნის მიერ გამოწვეულ წყლულების წესიერ შეხორცებას.

ამ საყურადღებო აზრს, ე. ი. მკვებავი (ტროფიული) ნერვიული სისტემის თავისებურ გავლენას საერთოდ სიმსივნეთა წარმოშობაზე, იზიარებს აკადემიკოსი ი.პ. პავლოვი—რუსეთის ცნობილი მეცნიერი — ფიზიოლოგი. იგი ხაზს უსვამს ტროფიულ ნერვების უაღრეს მნიშვნელობას და მით აუცილებელ არსებობას მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქმნა სისხლის ძარღვების ინერვაცია. ეს მეცნიერი ამბობს: კიბოს სიმსივნე, რომელიც იზრდება რომელიმე გაღიზიანების გავლენით, იძლევა გამაღიზიანებელ რეფლექსს ტროფიულ ნერვებზე, რასაც შედეგად მოჰყვება ბოლოს ქსოვილის დაშლა - დაწყლულება. სათანადო ნერვის გადაჭრის შემდეგ კი ისპობა გაღიაზიანების გადაცემის შესაძლებლობა, რასაც შედეგად მოჰყვება სიმსივნის რეგრესი, დაპატარავება, წყლულის მორჩენა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ მრავალი საკითხია ბუნდოვანი ტროფიულ-სიმპატიურ, მგრძნობიარე და მამოძრავებელ ნერვთა სისტემის ურთი-ერთ კავშირში,ეს უახლოეს ექსპერიმენტალურ (ცდებით) გამოკვლევის საკითხებია.

ამის და მიუხედავათ მაინც ნათლად სჩანს, რომ სიმსივნეთა წარმოშობის ნერვაგენულ-ტროფიული თეორია არ ეწინააღმდეგება ბიოქიმიურ მოსაზრებებს, რომლებიც სიმსივნეების წარმოშობას ხსნის უჯრედების კოლოიდალური ცვლილებებით (ზედაპირული დაჭიმვის შესუსტებით, მარილთა ქიმიური შეცვლით, კალციუმის მარილების გაღარიბებით და სხვა).

ხარკოვის გამოჩენილი პროფ. ტრინკლერი გვაწვდის აღნიშნული გზით (სიმპატიურ-ტროფიულ ნერვთა ამოკვეთით) ავ-თვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის შემდეგ მასალას.

ძუძუს ჯირკვლის ღრმად შეჭრილ კიბოს დროს, როდესაც ოპერაცია უკვე დაგვიანებული იყო და ავადმყოფი აუტანელ ტკივილებს განიცდიდა, მან მიიღო აღნიშნულ ტკივილების სრული მოსპობა და კიბოს სიმსივნის დაპატარავება სათანადო ნერვიული ტოტის (მხრის წნულის) ამოჭრის შემდეგ. ამნაირად უიმედო და სასიკვდილოთ განწირული ავადმყოფი რამოდენიმე კვირის შემდეგ საგრძნობლად მოკეთდა, კიბოს კვანძები ძალიან შემცირდენ რიცხვში და მოცულობაში. საავადმყოფოში შესული, საშინლად გამხდარი და დასუსტებული ავადმყოფი ორი თვის შემდეგ გაეწერა მშვენიერ მდგომარეობაში.

პროფ. ტრინკლერს მოჰყავს კიდევ სამი-ოთხი მსგავსი შემთხვევა, როცა ავადმყოფები აღნიშნულ ოპერაციის შემდეგ გავიდნენ საავადმყოფოდან საგრძნობლად მოკეთებულნი.

მოლოტკოვის და პროფ. ტრინკლერის დაკვირვების შემდეგ ხსენებულ ნერვთა გადაჭრა თუმცა ძლიერ რთული, მაგრამ საიმედო ქირურგიული საშუალებაა. ქირურგს აქვს იმედი იხსნას ავადმყოფი არა მარტო ჯოჯოხეთურ ტკივილისაგან, არამედ მოუტანოს მას უფრო არსებითი დახმარება სიმსივნის ავ-თვისებიანობის შემცირების და მისი მოსპობის მხრივ. სიმპატიურ, მგრძნობიარე (ტროფიული) მამოძრავებელ და სხვა ნერვიულ სისტემათა ურთიერთ შორის კავშირის თანამედროვე ფართო და ზუსტ გაშუქების შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ ახლო ვდგევართ იმ საკითხის საფუძვლიანად გადაწყვეტასთან, თუ რამდენად ღებულობს ნერვიული სისტემა მონაწილეობას სიმსივნეთა ზრდა-განვითარებაში, წყლულების შეხორცების პროცესში და სხვა.

დიდი გამოცდილება და სიტყვები აკადემიკ. ი. პ. პავლოვისა ამ მხრივ მეტად გამამხნევებელია.

რასაკვირველია, მხოლოდ ნერვო და რადიოქტომია არ გახდება პანაცეა, (უნივერსალური საშუალება) სიმსივნეთა მკურნალობაში, არამედ იგი იქნება ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც დადებითად იმოქმედებს ორგანიზმის დაავადებულ ქსოვილის ბიოლოგიურ (სასიცოცხლო) პროცესზე, შეაჩერებს სიმსივნეთა ზრდას და მოსპობს მათ მავნე გავლენას ცოცხალ ორგანიზმზე.

ბ. მა—ლი.

მცენარეთა ნერვები

ცხოველების კუნთების მოქმედება, როგორც ვიცით, ნერვების სისტემა განაგებს. ნერვების მექანიზმის მოქმედების შესწავლა ყველაზე უფრო გარკვევით შეიძლება ბაყაყის უკანა თეძოზე. ამ მიზნით ახდენენ შემდეგ ცდას: როგორც კი საჯდომის ნერვს მიუახლოვებენ ელექტროდს და გაუშვებენ სუსტ ელექტრო-დენს, კუნთები დაუყოვნებლივ იკუმშება და ფეხი იკეცება (სურ. 2), ნორმალური ნერვი და ნორმალური კუნთი ყოველთვის უპასუხებენ ელექტრო-დენით გაღიზიანებაზე. მაგრამ თუ გადავსკვნით ნერვს ან და მასზე მოვახდენთ გავლენას სხვადასხვა შხამებით, ნერვი დაჰკარგავს ელექტრო-დენის გატარების უნარს და თათი შესწყვეტს მოკეცას.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კალკუტაში (ინდოეთი), ცნობილმა ინდოელმა მეცნიერმა ჩ. ბოაზემ. რომელიც მრავალი წლების განმავლობაში აწარმოებდა მცენარეთა აგებულობის შესწავლას, აღმოაჩინა, რომ „მგრძნობიარე" მძინარას (მიმოზა) აქვს „ნერვების სისტემა".



სურ. 1. ინდოელი მეცნიერი ჯ. ჩ. ბოზე

მძინარა ანუ „ხელი არ მახლო", დიდი ხანია აინტერესებდა მეცნიერებს თავისი შესანიშნავი რთვით ფურცლების ჭკეცვის და გაშლის განსაცვიფრებელი უნარით. დღისით მძინარას ფურცლები გაშლილია, ღამით კი ისინი იკეცებიან, მცენარეს ღამით თითქოს „სძინავს". მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ მძინარა თავის ფურცლებს კეცს დღისითაც, როცა მცენარეს აღიზიანებენ დარტყმით, ან როცა სტეხენ ტოტს.

ამიტომ ისმება კითხვა: როგორ გადაეცემა მძინარას ფურცლებს გაღიზიანება ბიძგებით ან დარტყმით? ხომ არ აქვს ამ მცენარეს ნერვები და კუნთები, ცხოველების მსგავსად, ან სხვა რაიმე მარტივი მოწყობილობა, რომლის საშუალებით იგი ამოძრავებს ფურცლებს?

დღემდი გავრცელებული იყო პფეფერის თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოძრაობა მცენარეში არის ჰიდრომექანიკურ მოვლენათა და არა ნერვების არსებობის შედეგი.



სურ. 2. ელექტრო-დენით ნერვის გაღიზიანების დროს კუნთები იკუმშება და ბაყაყის თათი იკეცება

პფეფერი და სხვა მეცნიერები უარყოფდენ იმ მოსაზრებას, რომ მცენარეებს ნერვები აქვთ. ამას ისინი იმით ასაბუთებდენ, რომ მცენარეები ნაკლებ მგრძნობიარე არიან, ვიდრე ცხოველები, პფეფერის აზრით, მცენარეში მოძრაობითი გაღიზიანების გამოწვევის ერთად-ერთი საშუალებაა მასში დანის ჩასობა. ამის გამო მცენარის შიგნით ირღვევა ჰიდრავლიური დაწოლა (სითხის დაწოლა) და ქსოვილები მექანიკურად იკუმშებიან. მეორე თეორია, ახლახან შემუშავებული გერმანელ ფიზიოლოგების მიერ ამბობს, რომ მცენარისათვის დანით ღრმა ჭრილობის მიყენება იწვევს განსაკუთრებული გამაღიზიანებელი ნივთიერების გამოყოფას. ეს ნივთიერება წვენთან ერთად ვრცელდება მცენარეში და იწვევს მოძრაობის ქსოვილების გაღიზიანებას. ორივე ეს თეორია ეყრდნობა იმ მოსაზრებაზე, რომ ჰიდრო-მექანიკური დაწოლის დარღვევა ან რაიმე გამაღიზიანებელი ნივთიერების გამოყოფა აუცილებელია მცენარის გაღიზიანების ან მასში მოძრაობის გამოსაწვევათ.

პროფ. ბოზემ უარჰყო ეს თეორიები და დაამტკიცა, რომ მოძრაობა მცენარეში შესაძლებელია გამოწვეული იქნეს მეტად სუსტ გაღიზიანებითაც, სხვათა შორის, ელექტრო - დენითაც.

რათა ფურცლები მოკეცოს, ამისათვის საჭიროა ათჯერ უფრო სუსტი ელექტრო-დენი, ვიდრე ადამიანის კანის შესამჩნევათ გასაღიზიანებლად. ასეთი ელექტრო-დენი არც ჭრილობას აყენებს მცენარეს და არც მის მექანიკურ დაზიანებას იწვევს, მიუხედავათ ამისა, მცენარე ენერგიულათ ჰკეცს ფურცლებს. მესამე სურათზე ნაჩვენებია პროფ. ბოაზის შესაფერი დადგმულობა, იგი, თითქმის მთლიანად წააგავს დადგმულობას, რომელსაც ხმარობენ ბაყაყის ნერვებისა და კუნთების მოქმედების შესასწავლად.

გაღიზიანება ამ შემთხვევაში გადაეცემოდა არა მარტო წვენების მიმართულებით, არამედ წინააღმდეგი მიმართულებითაც. გაღიზიანების ნერვიულ ხასიათს ადასტურებდა აგრეთვე სხვადასხვა ფიზიოლოგიური „მუხრუჭების" გამოყენება. სიცივე, გამოყენებული გაღიზიანების განვითარების გზაზე. ანელებდა და, ბოლოს, სრულიად აჩერებდა მას. ნარკოტიული ნივთიერებანი იწვევდენ. ნერვების დროებით გაშეშებას. შხამის შეშხაპუნება კი სავსებით დამბლას სცემდა მას (სურ. 4).



სურ. 3 ელექტრო-დენის ზეგავლენით მძინარას ფურცლები ულრება.

განსაკუთრებული გარკვეულობა და სისწორე მისცა ბოაზეს გამოკვლევებს მის მიერ გამოგონებულმა ავტომატიურმა თვითჩამწერმა მოწყობილობამ, რომელმაც შესაძლებლად გახადა ნერვში გაღიზიანების გადაცემის დროის გამორკვევა სისწორით ერთ მეათასედ წუთამდი ამ მოწყობილობის საშუალებით ბოაზემ გამოარკვია, რომ ნერვის გაღიზიანებიდან მძინარას ფურცლების მოკეცამდი გადის $^{6}/_{100}$ (ექვსი მეასედი) წამი. დაღალვა ახანგრძლივებს ამ პერიოდს და ბოლოს, მოჭანცული მცენარეები კარგავენ გაღიზიანებაზე პასუხის გაცემის უნარს. გაღიზიანებაზე პასუხის გაცემის უნარი კვლავ უბრუნდება მათ ნახევარი საათის აბსოლუტური დასვენების შემდეგ. გაღიზიანების გადაცემის სისწრაფის გამორკვევის დროს სხვადასხვა შედეგები იქნა მიღებული სქელტანიან და თხელტანიან მცენარეთა მიმართ. ჯანსაღი მაგარი ხეები გაღიზიანების ნაკლებ უნარს იჩენდენ, ვიდრე თხელტანიანი, სუსტი და ავადმყოფური სახის მცენარეები. ნერვიულ გაღიზიანებათა გადაცემა მცენარეებში ოთხასჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მათი წვენის ყველაზე სუსტი დენისათვის არის საჭირო.



სურ. 4. შხამის შეშხაპუნება იწვევს მძინარას „მოძრაობითი" ორგანოების გაშეშებას.

შემდეგ ბოაზემ მოახერხა „მორცხვი" მძინარას „ნერვების" ადგილმდებარეობის გამორკვევა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეთოდით: პირველყოვლისა, ელექტრონით გამოცდის, და მეორე, ქსოვილების შეღებვის საშუალებით.

პირველი საშუალება ძლიერ მარტივია. ერთ-ერთ ელექტროდს ბოაზეს ცდებში წარმოადგენ და წვეტიანი ლითონის ნემსი. ამ ნემს ასობდენ მცენარის ტანში. აღმოჩნდა, რომ მცენარე ჰკეცს თავის ფურცლებს მხოლოდ მაშინ, როცა ნემსი განსაზღვრულ სიღრმეს აღწევს. მცენარის ქსოვილების ამ ადგილას მოიპოვება „ნერვიული უჯრედები"— (სურ. 5).



სურ. 5. ელექტრონული ნემსი,რომლითაც ჩხვლეტენ მძინარას ღეროს „ნერვიულ უჯრედების" გასაღიზიანებლად.



სურ. 6. ოთხი ნერვიული ქსოვილი მძინარას ღეროში (ოთხი წერტილი გადაჭრილ ადგილზე).

ის ფაქტი, რომ მძინარას აქვს ნერვები, სავსებით დამტკიცდა აგრეთვე ქსოვილების შეღებვის მეთოდითაც. მის ქსოვილებში აღმოჩენილი იქმნა დამახასიათებელი „ნერვიული", მოგრძო, მილისებური უჯრედები. ძარღვი, რომელიც ერთ უჯრედს ჰყოფს მეორედან, ადვილად გადასცემს გაღიზიანებას: იგი მოქმედობს, როგორც სარქველი, რომელიც საშუალებას აძლევს ბიძგებას (იმპულსს,გაღიზიანებას) უფრო ადვილად გავრცელდეს განსაზღვრული მიმართულებით, ვიდრე წინააღმდეგი მიმართულებით. შემკუმშავი ქსოვილი, რომელიც კუნთის მაგიერობას ასრულებს, აგრეთვე შეიძლება გარჩეული იქნეს სხვა ქსოვილებიდან შეღებვის საშუალებით. მოძრაობის ქსოვილებს შეღებვის დროს აქვთ წითელი ფერი.

მძინარას ღეროში არის ოთხი ნერვი (სურ. 6). თვითეულ მათგანს აქვს განსაზღვრული მოძრაობითი ფუნქცია: ამის შედეგია ფურცლების დამახასიათებელი მოძრაობა ზევიდან ქვევით, მარჯვენით ან მარცხნივ.

თავისი ნერვების მგრძნობიარობის წყალობით, მძინარას ფურცელი მუდმივ მზისკენ იხრება. მზისგან მიღებული გაღიზიანება ფურცლის ნერვებში იწვევს მთელ რიგ უნებურ მოქმედებას, რასაც შედეგათ მოსდევს ფურცლების ზედაპირის მიერ მზის მიმართ პერპენდიკულარული მდგომარეობის დაკავება. რაც ხელს უწყობს მცენარისათვის საჭირო სხივების ენერგიის შთანთქმას.

იმ შემთხვევაში, როცა მცენარის რომელიმე ნაწილი ძალიან ღიზიანდება. სულ სხვა მოვლენებს აქვს ადგილი. გაღიზიანება აღწევს მოძრაობითი ქსოვილის ბოლომდი და იქედან ბრუნდება უკან; შემდეგ ეს გაღიზიანება ვრცელდება მცენარის სხვა ნაწილებში, რომლებიც ყველანი თითქოს ულრებიან. ფურცლების ზედანაწილის მწვანე ფერს ფარავს ნაცრისფერმწვანე ფერის ქვედა ნაწილი. მთელი მცენარე თითქოს ულრება.

ჩვენთვის მაშინვე ნათელი შეიქნება ამ დაულრობის მთელი მნიშვნელობა, თუ ყურადღებას მივაქცევთ მძინარას წარმოშობის პირობებს. ჩვეულებრივათ იგი ფარავს საკმაო ფართო ველებს ტროპიკულ ქვეყნებში, სიცოცხლეს და სილამაზეს აძლევს მათ თავისი ლამაზი ფურცლების სიმწვანით. თუ რომელიმე ცხოველი ბალახობის დროს მოჰგლეჯს მას ერთ ფურცელს, ნერვიული გაღიზიანება დაივლის მთელი მცენარის ტანში. ფურცლები იკეცებიან და მიწისაკენ იხრებიან. არაფერი არ იქნება იმაზე განსაცვიფრებელი, ვიდრე ეს მოულოდნელი ცვლილება.

ზემოდ მოყვანილი ფაქტები საკმაოთ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მძინარას აქვს საკმაოთ განვითარებული ნერვიული სისტემა.

ნ. ჟ.

დედამიწის გარშემო იალქნიანი ნავით

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკელმა გარი პოდჟონმა დაასრულა თავისი მოგზაურობა დედამიწის გარშემო. მთელი მოგზაურობა, რომელიც გაგრძელდა 1.442 დღე, მან შეასრულა სრულიად მარტო, პატარა (34 ფუტის სიგრძე) იალქნიან ნავზე „აილანდერ". ამ შესანიშნავი მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: ლოს-ანჟელოსიდან (ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთი ნაპირი) პოდჟონი გაემგზავრა სამხრეთით, მიაღწია მარკიზის კუნძულამდე და იქ დაჰყო 4 თვე. აქედან ის გაემგზავრა კუნძულ ტაიტისაკენ, გაიარა სამოას და ფიჯის კუნძულები. ამის შემდეგ ტორრესის სრუტეთი ის მივიდა ოსტ-ინდიაში, შეჩერდა კუნძულ ტიმორთან და აქედან, ინდოეთის ოკეანეთი, გაიარა მერიკის კუნძული (მადაგასკარიდან აღმოსავლეთით) და მივიდა დურბენის ნავთსადგურში (აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი). ერთი თვის დასვენების შემდეგ, პოდჟონმა შემოუარა აფრიკას, გაიარა კაპშტადში და ატლანტის ოკეანეთი გაემართა აფრიკისაკენ; გზაში გაიარა წმ. ელენეს და ამაღლების კუნძულებზე, გაიარა მთელი ატლანტის ოკეანე სამხრეთ-ამერიკის ნაპირების გასწვრივ და პანამის არხით შევიდა დიდ-ოკეანეში, საიდანაც მიაღწია ლოს-ანჟელოსს.

მთელი მოგზაურობა პოდჟონს დაუჯდა 1.000 დოლარი, ე. ი. 2.000 მანეთი. მოგზაურობის დაწყებისას მას მხოლოდ 350 დოლარი ჰქონდა, დანარჩენი ფული მან შეაგროვა გზაში, თავისი მოგზაურობის შესახებ მოხსენებების კითხვით, მოგზაურობა წარმატებით დაასრულა.

ახალი „სიკვდილის სხივები"

ამერიკელი ფიზიკოსი პროფ. ვუუდი, რომელიც ცნობილია თავისი შრომებით უხილავი სინათლის სხივების დარგში, ამჟამად მუშაობას აწარმოებს „უხმო" ხმის ტალღების შესწავლას. ამ დარგში მას აქვს მეტად საინტერესო აღმოჩენები, რომლებიც შესაძლებლად ხდიან მომავალში ამ ტალღების გამოყენებას. ვუუდი ამ „უხმო" ხმებს ღებულობდა ჰაერშიაც და წყალშიც ქვარცის ფირფიტის საშუალებით, რომელიც რყევითი მდგომარეობაში მოჰყავდა მძლავრი ცვალებადი დენის საშუალებით. ტალღის რყევათა სიხშირე უდრიდა ასი ათასიდან ოთხასი ათასამდე წამში. წყალში ამ „ჩუმ" ხმებს აქვთ ნახევარი დიუიმის (12,5 მილიმეტრის) სიგრძე, ისინი გავლის დროს ათბობენ წყალს და ჰკლავენ პატარა თევზებსა და ჭიებს, მიკროსკოპიული ცხოველები კვდებიან რამდენიმე წამის განმავლობაში. წყალში ჩაყოფილი ხელი ამ „ჩუმი" ტალღების გავლის დროს განიცდის ჩხვლეტას კუნთებში და სისხლი უფრო გამალებით იწყებს მოძრაობას. ასეთი ფიზიოლოგიური გავლენა, ალბათ, გამოყენებული იქნება ზოგიერთ ავადმყოფობათა სამკურნალოდ.

სასარგებლო მცენარეების მკურნალობა

ზოგიერთ სასარგებლო მწერებს—ფუტკარსა და აბრეშუმის ჭიას ხშირათ დიდ ზიანს აყენებს ეპიდემიური ავადმყოფობანი, რომელთა მიზეზს წარმოადგენენ ბაქტერიები და მათ სხეულში მოკალათებული სხვა ერთ-უჯრედიანი არსებანი.

ამერიკელმა მეცნიერმა კლივლენდმა მათ სამკურნალოდ შეიმუშავა მეტად მარტივი და იმავე დროს მეტად რადიკალური საშუალება. ავადმყოფ მწერებს ათავსებენ შუშის ქილაში, რომლებიც ისეა დახურული, რომ მათში არსაიდან არ შედის ჰაერი. შემდეგ ამ ქილებს ავსებენ მჟავბადით. საკმაოა მწერმა რამდენიმე საათი დაჰყოს ასეთ მჟავბადით გაჟღენთილ არეში, რომ განთავისუფლდეს ყველა ბაქტერიებისგან და ავადმყოფობათა გამომწვევ ერთ-უჯრედიან გამაღიზიანებლებისგან. თვით ცხოველზე კი მჟავბადი არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს. ამ მეთოდის სიიაფე და სიმარტივე შესაძლებლად ხდის მის ფართოდ გამოყენებას. აბრეშუმის მრეწველობაში ყველა ახლად გამოჩეკილ ჭიებს, ამერიკის საცდელ სადგურებზე, ასეთი მეთოდით მკურნალობენ წინასწარ, რაც ეჭვს გარეშეა, უდიდეს ეკონომიას იძლევა, ვინაიდან, ჩვეულებრივად, ამ ჭიების განსაზღვრული ნაწილი ყოველთვის იხოცება სხვადასხვა ავადმყოფობით.

ჰაეროპლანი „თოლია"

ამერიკელმა **ლეონარდ ბენეიმ** გამოიგონა ჰაეროპლანის ახალი ტიპი, რომელიც აგებულია ფრინველების ფრენის პრინციპზე. ამ ჰაეროპლანის ფრთები წააგავს ზღვის თოლიას ფრთებს. თვით ჰაეროპლანი წააგავს ავტომობილს და იტევს ორ კაცს.

სურათზე ნაჩვენებია ეს ახალი ტიპის ჰაეროპლანი.



პატარა ფელეტონი

ქალბატონი პროტექცია

„სავლე ჩემო, კაცს გიგზავნი,
გამიწიე სამსახური,
სათხოვარი რამ საქმე აქვს
და დაუგდე ოდნავ ყური...
მართლა, სახლში როგორა ხართ?
ნინა, თინა როგორ არის...
რა ხანია არ გვქონია
ერთად ტკბილი საუბარი...
ამ კაცს იქნებ შენებურად
გაუკეთო შენთან რამე.
გთხოვ ძალიან, შენს ნინუცას,
ერთხელ მაინც ეს მაამე.
ძლიერ უჭირს გენაცვალე...
მართალია ტანთ აცვია,
მაგრამ ძლიერ, ძლიერ უჭირს...
ისე კარგი ვაჟკაცია.
მართლა, გიგო, როდის მოხვალ,
როდის გნახავ გენაცვალე?..
დღეს ვშიშობ რომ ვერ მოვიცლი,
საღამოზე. ისევ,—ხვალე“...
ასე სწერდა სავლეს ნინა,
ნინა,—ძველი მეგობარი,
შო, ბევრი რამ ახსოვს სავლეს...
კოჯორის გზა, კაფე „ზარი“...
და მეგობარს აბა ჩვენც ვსთქვათ.
მან როგორღა უთხრას ვარი...
შემდეგ ხომ სულ დაიკეტა
მისთვის ცელქი ნინას კარი.
არა, ვარი არ იქნება,
ნინას თხოვნას ვერ წაუვალ,
—ამხანაგო—ეუბნება,
დღეს წადით და კვლავ მოდით ხვალ...
— ნინას ასე გადაეცით,
რომ მოგაწყობთ ამ კვირაში
თუმცა, თვით მე ვინახულებ
შევაწუხო უნდა რაში.

* * *

ის წავიდა და მეორე
აიტუზა მაგიდასთან.
თურმე იმას ნაცნობობა
ჰქონდა სავლეს ცოლის დასთან...
ის კი სწერდა: „სავლე ჩემო,
ხომ იცი, რომ ჩემს ხელში ხარ.
ვიცი სად ხარ, ვისთან „ცელქობ“,
საღამოზე სად დადიხარ;
შო და, ეხლა, თუ არ გინდა
სადაც ჯერ არს გავამხილო,
ამ ბარათის მომტანს რამე
სამსახური მიეც, „შვილო“.
რა ქნას სავლემ? ვარი უთხრას?
აქ არ ვარგა, არა ვარი.
იმ წუწუმა მართლაც იცის...
და თუ აღძრა საჩივარი...
— ხვალ შემოდი. ამხანაგო,
მოგცემ რამე საქმეს ალბად,
რამ ქაღალდი მომიტანე,
შედგენილი თუნდაც ყალბად.

* * *

ის წავიდა და ეხლა სხვა
მორცხვად აღებს სავლეს კარებს
ჩვენი სავლე მოხიბლული,
ახალ მოსულს თვალს აპარებს:
ინგლისში მოელვინა
ცოდვილ სავლეს ცხადზე ცხადად,
ტან-ლერწამი, სახე მთვარე,
წყნარი, სათნო, კოხტა სადა.
— „ამხანაგო — (მინაბული
და დამტკბარი ჰქონდა კილო)
დამეხმარეთ, გასაჭირი,
რომ თავიდან ავიცილო.
სამსახურში გთხოვთ მომაწყოთ,
მანქანაზე ვიცი წერა“...
რა ქნას სავლემ? ვარი უთხრას?
ვარს ვერ ეტყვის ამას, ვერა.
— ამ საღამოს თქვენ გცალიათ?
ეკითხება ჟულის ძგერით.
— როგორ არა — უპასუხებს...
(ათრობს სავლეს გიჟურ ცქერით)
მაშ მობრძანდით გამოცდაზე,
თვითონ ვნახავ რა ცოდნის ხართ.
გაფრთხილებთ კი, თუ არ იცით,
გამოცდაზეც ნუ მოდიხართ...
— როგორ არა, მანქანაზე
ძლიერ კარგად ვიცი წერა...
სთქვა... გაფრინდა... არა სავლე
ვარს ვერ ეტყვის იმას, ვერა...

* * *

ხმაურია მის კარებთან
ეჩხუბება ვიღაც დარაჯს,
სავლე ყვირის — შემოუშვით,
ვნახოთ რა სურს ერთი ამ ქაჯს,
— გავიგეთ რომ ადგილი გაქვთ
და გიგზავნით ამ კაცს ბირჟა...
— დამეკარგე ერთი შენცა...
ის ბირჟა რამ გააგიჟა...
ლამის თავი მომაბეზროთ
გამიჭედეთ თხოვნით ყური,
ამას მიეც, იმას მიეც
სამუშაო,—სამსახური...
ვერ გაიგეთ? ეკრეჟიმის
თქვენ კანონი და დეკრეტი?.
შტატს ვამოკლებ, ძველებს ვითხოვთ
ვინც „ლიშნია“ და ზედმეტი?!
წადი, წადი, წადი ერთი,
მიაკითხე იმ შენ ბირჟას.
ცოტა ხანი მოითმინე,
მოითმინე არა გიშავს.
ამნაირად გაისტუმრა,
სავლემ ბირჟის კანდიდატი,
მას არ უნდა ბირჟის ხალხი,
მას არ მოსწონს სახე მათი.

* * *

უპრავდელი კაბინეტში
სავლემ სწრაფად დაიბარა,
უთხრა,—თუმცა ძლიერ მიმძიმს,
ძლიერ მიმძიმს ძმაო, მარა,...
შტატი უნდა შევამციროთ
და შევკვეცოთ უნდა ხარჯი,
ვინ შევკვეცოთ მე თვით გეტყვი,
ამისათვის აღარ გავრჯი:
თანაშემწე შენი გიგო,
მემანქანე ქალი თინა,
და მოლარეც დავითხოვოთ,
მან დღეები გააცდინა.
— რათა? — სცადა უპრავდელმა,
ყველა კარგი მუშაკია!
— მე უფროსი ვარ თუ არა!
სავლემ მყისვე უთხრა.
პასუხს ჩემი ოქმებისთვის
მე მომთხოვენ, შენ კი არა!..
დაითხოვე ყველა ხვალვე,
რაც შემძემს ისიც კმარა.

* * *

თათბირის შემდეგ სავლემ ასე სთქვა,
„მონომახისა მძიმეა ქუდი“.
მეც ვადიარებ, რომ პროტექცია
ცუდი საქმეა, ძალზე ცუდი.

ხოზიკა.

სანიმუშო სას.-სამ. საკრედ. ამხანაგობები

გასულ სექტემბერში სახ.-სამ. ბანკის თაოსნობით მოეწყო სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა კონკურსი სანიმუშო სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბის სახელწოდების მისაღებად. კონკურსის მიზანი იყო აგრეთვე ს. ს. საკრედიტო კოოპერაციის მუშაობის გამოკვლევა და აღმოჩენილ ნაკლულოვანებებთან ბრძოლა.

კონკურსში 124 ამხ-ბიდან მონაწილეობა მიიღო 24 ამხანაგობამ. პირველი ჯილდო—უპროცენტო ხუთი წლიანი სესხი 3.000 მ. რაოდენობით ძირითადი თანხების გასაძლიერებლად მიიღო თელავის სახ.-სამ. საკრედიტო ამხ-ბამ; მეორე ჯილდო იმავე პირობებში 2.000 მანეთის რაოდენობით—ველისციხის ამხანაგობამ; ხოლო მესამე ჯილდო კურსების ამხანაგობამ (ქუთ. მაზ.) 1.000 მანეთის რაოდენობით.

სესხისა და სანიმუშო სახელწოდების მიღების გარდა აღნიშნულ ამხანაგობათა გამგეობის წევრებს მიეცემათ საუკეთესო და მომზადებულ კოოპერატიულ მუშაკების მოწმობები. ეს ამხანაგობები წარდგენილია აგრეთვე ა. კ. მასშტაბით განზრახულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

თელავის ამხ-ბაში წევრების 70 პროცენტი გლეხებია. სესხის გაცემა და დაბრუნება საუკეთესოთა დაყენებული. გაცემული სესხის მოხმარება ხდება დანიშნულებისამებრ. ამხ-ბა თავის მუშაობით უფარდებს ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პირობებს და ამავე დროს პირნათლად ასრულებს ბანკის დავალებებს მთელს მაზრაში.

ველისციხის სახ.-სამ. საკრედიტო ამხ-ბა ერთად ერთი დიდი ამხანაგობაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიც ამხანაგობას ჰყავს 1.900 წევრი, მთელი რაიონის გლეხობის 70 პროც. შეკავშირებული ჰყავს კოოპერატიულად. ამხ-ბას აქვს დიდი შესაძლებლობა შემდეგში კიდევ უფრო გაშალოს თავისი მოქმედება, ვინაიდან ველისციხის რაიონი მთელ საქართველოში უძლიერესი რაიონია სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგებით.

კურსების ამხანაგობა (ქუთ. მაზრა) ითვლება ტიპიურ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობად. ამ ამხანაგობას თავის მუშაობით პირველი ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია აგრეთვე ამხ-ბის მუშაობა აგროკულტურის დარგში. სხვათა შორის ამხ-ბას აქვს ამერიკული ვაზის სანერგე.

ასეთი კონკურსების მოწყობა განზრახულია ყოველ წლიურად.

მეურნეობის აღსადგენად

1925—26 წლის ბიუჯეტით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის გადადებულია სასოფლო-მეურნეობის აღსადგენად სესხი 160.000 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხიდან 140.000 მანეთი უკვე მიღებულია და 20.000 მანეთი მიღებული იქნება ამ დღეებში

ამ 160.000 მანეთიან ფონდიდან საქართველოს რესპუბლიკაში შემავალ სამ ავტონომიურ რესპუბლიკას უკვე გამოეყო ფონდის 14,5 პროც. დანარჩენი თანხიდან განზრახულია 30 პროც. მიეცეს „საქართველოს ღვინო“-ს. „სოფლის კავშირი“-ს საორგანიზაციო ბიურო ამჟამად იმუშავებს თანხის დანარჩენ 70 პროც. პირველი საფეხურის ამხანაგობათა შორის განაწილების პროექტს.

აღნიშნული სესხი მოხმარდება სოფლის მეურნეობის შემდეგ დარგებს: მეღვინეობას, მერძეობას, მეთამბაქოებას და აბრეშუმის თესლის დამუშავებას.

ტელეფონი

ლენინგრადი-თბილისი

ამჟამად მიმდინარეობს სასწრაფო მუშაობა სატელეფონო კავშირის დასაწესებლად პირდაპირი ხაზით ლენინგრად-თბილისს შუა.

მიმდინარე წელს ტელეფონის ხაზი გამოყვანილი იქნება სადგურ ყაზბეგამდე. მუშაობა სატელეფონო ხაზის გასაყვანად სადგ. ყაზბეგიდან, ვიდრე თბილისამდე დაიწყება მომავალი წლის გაზაფხულიდან.

ა.-კ. საოლქო კავშირის სამმართველოს მომავალი წლის სამუშაოებისთვის უკვე დამზადებული აქვს ტელეფონის ბოძები, მავთულები და სხვა საჭირო მასალები.

სატელეფონო ხაზი, რომელიც ამჟამად გაჰყავთ ლენინგრად - მოსკოვ - ვორონეჟ - ხარკოვკავკასია და თბილისს შუა, იქნება ყველაზე უგრძესი სატელეფონო ხაზი მთელს საბჭოთა კავშირში. ამ ხაზის სიგრძე დაახლოებით უდრის 5.000 კილომეტრს. ამავე ხაზზე თბილისზე ტრანზიტის საშუალებით დაწესდება სატელეფონო კავშირი ლენინგრად-ბაქო-დერბენტს შუა.

მოსავლის დღესასწაული

როგორ უნდა ჩატარდეს კამპანია.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. მ. ძამანაშვილმა „მოსავლის დღესასწაულის“ ჩატარების და მნიშვნელობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— „მოსავლის დღესასწაული“ რევოლიუციის შემდეგ წარმოშობილი აგროპროპაგანდის მეტად ცხოველი და საინტერესო ფორმაა. მან უნდა შესცვალოს რელიგიურ დღესასწაულების ჩატარების ძველი ტრადიციები და ხალხი ახალ ნამდვილ სასოფლო გლეხურ დღესასწაულს შეაჩვიოს. ამ მხრივ „მოსავლის დღესასწაულის“ პრაქტიკა მეტად ნაყოფიერი გამოდგა წარსულში საბჭოთა კავშირში, ასე ნაყოფიერად უნდა ჩატარდეს ის წრეულს ჩვენშიაც.

„მოსავლის დღესასწაულის“ დღეს გლეხობა სხვადასხვა მოხსენებებიდან ეცნობა წარსული წლის მოსავლის პირობებს, ახალ მიღწევებს და მოსავლის გაუმჯობესების ღონისძიებებს. მოხსენებების წასაკითხად ცენტრისა და ადგილების მიერ გამოყოფილია სპეციალური ძალები, ადგილობრივი მოწინავე გლეხობაც იღებს აქტიურ მონაწილეობას საუბრებში.

რათა დღესასწაულმა მიიღოს სახალხო ზეიმის ხასიათი, მას უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე მეურნეობის ჩამორჩენილ ელემენტების აგრონომიული გასამართლებანი, დისპუტები, ხალხური წარმოდგენები და სხვა.

ამას გარდა, ადგილობრივ გამოჰყოფენ გლეხურ საერთო მასიდან იმ მეურნეებს, რომელთაც რაიმე გაუმჯობესება ჩაატარეს თავის მეურნეობაში, მათ პატივსაცემად გამართავენ საზეიმო სვლას და აღნიშნავენ მათ ღვაწლს. ეს მოსავლისათვის დააინტერესებს გლეხობას და აგრონომიულ სწავლებასაც უფრო მეტის გულმოდგინებით მოეკიდებიან.

„მოსავლის დღესასწაულთან დაკავშირებულია წვრილ-რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა, სადაც გლეხური მეურნეობისაგან წარმოდგენილი იქნება მიმდინარე წლის მოსავლის ნიმუშები. აქ სპეციალი საექსპორტო კომისიები მიუსჯიან ჯილდოს მოწინავე გლეხებს ამა თუ იმ გაუმჯობესებისათვის და სხვა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს აგროდახმარების განყოფილების საშუალებით დაუგზავნა მაზრებს „მოსავლის დღესასწაულის“ ჩატარების გეგმა, ინსტრუქცია. და რჩევა-დარიგება ამ საქმის ტექნიკურად ჩასატარებლად.

კომისარიატმა მიიღო ზოგიერთი მაზრებიდან ადგილობრივ შემუშავებული გეგმები, რომლებშიაც შესაფერი შესწორებები შეიტანა და ადგილებს დაუბრუნა სახელმძღვანელოდ.

„მოსავლის დღესასწაული“ საქართველოში მასიურად ტარდება, ყველა მაზრა აწყობს მას.

გამოფენებთან, კომისარიატის დირექტივებით, დაკავშირებულია მთავრობის მიერ გადადებული საპრემიო ფონდის (22.000 მან.) გლეხებზე ჯილდოს სახით განაწილება. ჯილდოს განაწილების დროს გლეხებს მიეცემათ შესაფერი რჩევა-დარიგება მეურნეობაში ახალ გაუმჯობესებათ შეტანის შესახებ.

„მოსავლის დღე“ დიდ როლს ითამაშებს ჩვენი სოფლის ცხოვრების დაწინაურების, მასში ახალი წესების განმტკიცების საქმეში და ხელს შეუწყობს მის ეკონომიურ გაჯანსაღებას.

საკვებ პროდუქტების ფაბრიკა

საკვებ პროდუქტების ფაბრიკა, რომელიც დაარსებულია კერძო სააქციონერო საზოგადოების მიერ 1919 წელს, ამჟამად ეკუთვნის თბილისის მუშათა კოოპერატივს. გასაბჭოების შემდეგ ფაბრიკა გადავიდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელში .ხოლო 1923 წელს იგი შეიძინა მუშკოოპმა. იმ ხანებში ფაბრიკაში მუშაობდა მხოლოდ 9 კაცი ფაბრიკა აწარმოებდა სხვადასხვა ხარისხის ნამცხვარს, ორნაირი ხარისხის ყავას, შოკოლადებს და სხ. საშაქრლამო ნაწარმოებს. პირველ წლებში ფაბრიკა ამზადებდა თვეში 60 ფუთამდე პროდუქციას, ხოლო მუშკოოპის ხელში გადასვლის ხუთი თვის შემდეგ 300 ფუთ საშაქარლამო ნაწარმოებს. ამჟამად ფაბრიკაში ყოველდღიურად მუშაობს 40 კაცზე მეტი. ყოველთვიური ნაყოფიერება აღემატება 1000 ფუთს.

1925—26 წლის საწარმოო პროგრამის შესრულებას ფაბრიკამ რამოდენიმე პროცენტით გადააჭარბა.

საზამთრო სეზონის დამდეგისათვის ფაბრიკა ადიდებს საქონლის ასორტიმენტს.

ნედლ მასალას ფაბრიკა ღებულობდა და ამჟამადაც ღებულობს მუშათა კოოპერატივიდან. ნედლ მასალას წარმოადგენს უმთავრესად კარაქი, რძე, შაქარი, და ფქვილი. საშაქრლამო ნაწარმოები მზადდება წმინდა კარაქზე.

დღემდე ფაბრიკაში მუშაობა უმთავრესად სწარმოებდა. მიმდინარე სამეურნეო წლისათვის მუშკოოპს განზრახული აქვს ფაბრიკის მექანიზაცია.

კალოშები

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, წელს დიდი ყურადღება ექცევა ამიერ კავკასიაში კალოშების შემოზიდვის საქმეს. სექტემბრის თვიდან დაწყებულია კალოშების შემოზიდვის საქმე სხვადასხვა ორგანიზაციების საშუალებით. კალოშების საჭირო მარაგი შემოტანილი იქნება არა უგვიანეს ნოემბრის თვისა. გ. წ. სექტემბრის თვეში ამიერ-კავკასიაში შემოზიდულა 143.500 წყვილი კალოში, აქედან საქართველოში შემოუტანიათ—102.000 წყვილი, სომხეთში—8.000 წყვილი, ხოლო აზერბეიჯანში 33.500 წყვილი.

წინასწარი ცნობების თანახმად კალოშების შემოზიდვა ოქტომბერში შესამჩნევად იზრდება.

საქ. კომ. სართა საბჭოში

ამხ. ბოჭორიშვილის დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფო კურორტების მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილედ. დაინიშნა ამხ. ბოჭორიშვილი.

კურორტ ახტალის საზღვრები

სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივლისის 21-ს დადგენილების დასამატებლად—საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს შუამდგომლობა კურორტ ახტალის სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქის საზღვრების დამტკიცების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა.

ფინსახკომის საკონტროლო კომისიის შემადგენლობა

ფინსახკომის სახ. კომისარიატთან არსებული საკონტროლო კომისიის წევრების ამხ. ვ. გოგინაშვილის, ვ. გოგობერიძის და თ. დოლიძის ნაცვლად კომისიის წევრებად დაინიშნენ ამხ. კაკაბაძე (მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან), გაბუნია (იუსტიციის სახკომისარიატიდან) და მორჩილაძე (შრომის სახ. კომისარიატიდან).

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა

სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა 1926—27 საბიუჯეტო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხი თემებს შორის განაწილდეს მომწესრიგებელი ფონდის სახით, არა ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით, არამედ საჭიროებისდაგვარად.

სახკომსაბჭომ ა.-წ. ოქტომბრის 5-ის სხდომაზე განიხილა ხსენებული საკითხი და შესაძლებლად სცნო ხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილება ფინსახკომის დასკვნის თანახმად.

დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს ცაკ-ს.

საქართველოს საგეგმო კომისიის დებულება

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილს დაევალა შეუთანხმოს საქართველოს საგეგმო კომისიის დებულების პროექტი არსებულ კანონმდებლობას, რის შემდეგ დებულება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სახკომსაბჭოს.

დეფიციტური ლითონების განმანაწილებელი კომისია

ა.-კ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შუამდგომლობის თანახმად დეფიციტური ლითონების განმანაწილებელი საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამავე სამმართველოს გ.-ვ. მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი ამხ. ზერელაშვილი, ხოლო მის მოადგილედ უკანასკნელის თანაშემწე ამხ. ლორთქიფანიძე.

ამხ-ბა „ქართული წიგნი“

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა ამხანაგობა „ქართული წიგნი“-ს შუამდგომლობა მისი პაების განაწილების ვადის გაგრძელების შესახებ, განათლების სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად.

სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბათა რეგისტრაციის ახალი წესი

სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს კოოპერატიული საბჭოს შუამდგომლობა, რათა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო ბანკის მაგიერ, ხდებოდეს საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული კოოპერაციის საქმეთა სამმართველოში. აღნიშნული კოოპერაციის სამმართველოს კოლეგიის წევრად დაინიშნა სას.-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვაშაძე, ხოლო მის მოადგილედ ამხ. ი. ლორთქიფანიძე.

აღწერა

მოსახლეობის საკავშირო აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს მოსახლეობის აღწერის დამხმარე კომისიამ დაუგზავნა ყველა მაზრების და ავტონომიურ ერთეულების აღწერის დამხმარე კომისიებს ცირკულიარული მიწერილობა, აღწერასთან დაკავშირებულ მუშაობის შესახებ.

აღწერის დამხმარე რესპუბლიკანური კომისია წინადადებას აძლევს ადგილებს, ყოველგვარი განკარგულება სტატისტიკურ ცენტრალურ ორგანოებისა შესრულებული იქნეს თანახმად წინასწარ გამომუშავებული წესისა და დანიშნულ დროზე. ყოველგვარი გადახვევა წინასწარი გამომუშავებული გეგმიდან კატეგორიულად აკრძალულია, რადგან აღწერის მეთოდები და პროგრამა გამომუშავებულია სრულიად კავშირისათვის და განკარგულება არის საკავშირო მთავრობის მათი სწორად შესრულების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილების მიერ მეკომურთა სიების შედგენას, რაიც უნდა ჩატარდეს ტერიტორიალური თანმიმდევრობით. სიების შედგენის დროს სარგებლობა რაიმე წყაროებით დაუშვებელია [illegible].

აღწერის ჩასატარებლად საქ. სტატის. ცენტრ. სამმართველოს მიერ გამომუშავებული გეგმა დამტკიცებულია და ადგილებზე უნდა სწარმოებდეს მუშაობა თანახმად ამ გეგმისა. ვადების დარღვევა, წინასწარი სამუშაო წესის გადახვევა გამოიწვევს საერთო რესპუბლიკანური გეგმის განხორციელების შეფერხებას, რის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ადგილობრივ ორგანოებს.

რამდენი პურია საჭირო

სტატისტიკური გამოანგარიშებით ა.-კ. რესპუბლიკები ყოველ წლიურად საჭიროებენ 12 მილიონ ფუთ პურს. შემოტანილი პურის რაოდენობა ირყევა 14 მილიონ ფუთის ფარგლებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემოტანილი პურის რაოდენობა ნაკლებ არის დამოკიდებული პურის მოსავალზე ა.-კავკასიაში. ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ შემოტანილ პურს ხმარობენ უმთავრესად ქალაქებში, რომელნიც თითქმის სრულებით არ ყიდულობენ ადგილობრივ პურს.

ამგვარად შემოტანილი პურის რაოდენობა შედარებით მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს და მატულობს იმდენად, რამდენადაც იზრდება ქალაქების მოსახლეობა.

მასსიური ექსკურსია

ზაჰესში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანათლება მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს აწყობს მასიურ ექსკურსიას ზაჰესში; ექსკურსია იმართება ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლის თავის შესრულების გამო.

ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა წევრები მათ ოჯახებთან ერთად, სულ ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ 3.000-მდე კაცი. ექსკურსანტების განკარგულებაში იქნება სამი სპეციალური საექსკურსიო მატარებელი.

ზაჰესში ჩასვლისას მოეწყობა მასიური ლექცია საქართველოს ელექტროფიკაციისა და ზაჰესის მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყება ზაჰესის ნაშენების დათვალიერება ინჟენრების და ტექნიკოსების ხელმძღვანელობით.

ზაჰესის დათვალიერების შემდეგ დაიწყება სახალხო სეირნობა; მოწყობილია სპეციალური ესტრადა, სადაც გამოვლენ თეატრალური წრეები, სიმებიანი და სამხედრო ორკესტრები, ცალკე მსახიობები და სხვა.

ყველა ექსკურსანტებს ექნება სპეციალური საექსკურსიო ბარათები. ექსკურსიის ჩასატარებლად არჩეულია კომისია ამხ. ქშონძერის, გვარამაძის, ფანცულაიას და სამნიაშვილის შემადგენლობით.

ექსკურსიის პასუხისმგებელი ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ქშონძერი.

მატარებლების გასვლის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბრძოლა ჭლექთან

რესპუბლიკის ყველა მაზრებში უფრო დაზარალებული ჭლექით დაავადების მხრივ, არის ქუთაისის მაზრა და განსაკუთრებით ქ. ქუთაისი. ჯანსახკომის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ცნობები ადასტურებენ, რომ ყველა ქალაქებზე უფრო ჭლექით დაავადება გავრცელებულია ქ. ქუთაისში.

ჭლექით დაავადმყოფებულთა რიცხვის გამოსარკვევად და მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ქუთაისში გაიგზავნა ტუბსექციის გამგე ექ. რუსიშვილი, რომელსაც დავალებული აქვს ქუთაისის ტუბერკულოზის დისპანსერის დახმარებით ჩაატაროს ქარხნების, სახელოსნოების და დაწესებულებების გამოკვლევა.

გამოკვლევა გაგრძელდება დაახლოებით ერთი თვე.

აფთიაქები

სამხედრო-ვაჭრობის სამმართველომ მიმდინარე წელს აგარაკ წაღვერში დაიწყო აფთიაქისათვის ახალი შენობის აგება. ხარჯთაღრიცხვით შენობის აგება ჯდება დაახლოებით 20.000 მანეთი. შენობა იქნება 14 ოთახიანი. შენობის აგება უკვე სავსებით დამთავრებულია. აფთიაქის მოწყობა დამთავრდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

სამმართველომ საფუძვლიანად შეაკეთა ხაშურის აფთიაქი, რომლის შეკეთებაზე დაიხარჯა 2000 მან. აფთიაქი საკმაოდ გაფართოვებულია და უზრუნველყოფილია ახალი იარაღებით. შეკეთებული იქნა აგრეთვე გორის, წითელ-ქალაქის, ქარელის და გომის აფთიაქები.

სამხედრო-ვაჭრობამ მუხრანში გახსნა აფთიაქი. ამჟამად მუხრანის და მის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი უზრუნველყოფილნი არიან წამლეულობის მიწოდებით. ახლო ხანში აფთიაქები გაიხსნება ფასანაურში (დუშეთის მაზრა) და [illegible] (ოზურგეთის მაზრა). აფთიაქების ქსელის გაფართოებასთან ერთად სამხედრო-ვაჭრობა საოფთიაქო სამმართველოსთან ერთად შეუდგა სამკურნალო მცენარეულობათა მოშენების საქმეს. მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია.

ძირულას თიხა

ამერიკული გეოლოგების კომისია, რომელიც ამჟამად მუშაობს ჭიათურის რაიონში ალიუმინის მადნის გამოსაკვლევათ იტყობინება, რომ ახლო ხანში ისინი შეუდგებიან ძირულის თიხის გეოლოგიურ გამოკვლევას.

ძირულის თიხაში კომისიამ აღმოაჩინა ალიუმინის ნარევი. ამჟამად თიხას ხმარობენ შრომის ქარხანაში.

კომისიასთან ერთად გამოკვლევებს აწარმოებს ინჟენერი და ს. მ. უ. ს. მთავარი გეოლოგი კონიუშევსკი.

რემედასის მუშაობა

რემედასის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარეობს რემედასის უჯრედთა ბიუროების ხელახალი გადარჩევა. გადარჩევების დამთავრების შემდეგ რესპუბლიკაში ჩატარდება სამაზრო, საქალაქო და საოლქო კონფერენციები.

მომავლისათვის გადაწყვეტილია რემედასის ორგანოთა გადარჩევა ყოველ ექვს თვეში ერთხელ. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავს,—რემედასის მუშაობის გაფართოებას და მის დაახლოვებას მოსახლეობასთან.

რემედასის ორგანოთა არჩევნების კამპანია ადგილებზე უნდა შეუთანხმდეს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ამასთან ერთად, კატეგორიულად აკრძალულია რემედასის აქტიურ ორგანოებში არჩეულთა გარეშე დანიშნულ პირების შეყვანა.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის მასშტაბით ტარდება ხელახალი აღრიცხვა და მთლიანი საკავშირო საწევრო ბილეთების დარიგება.

პანკისიდან ქიზიყამდე

ამ დღეებში მე მომიხდა მგზავრობა პანკისის ხეობიდან ქიზიყამდე. ამგვარად გავსერე მთელი კახეთის შუაგული, ისიც შემოდგომაზე, როდესაც აქ რთველია, ლხინი და დღესასწაული.

პანკისის ხეობა დასახლებულია მთიულებით: ქისტებით, ოსებით, თუშებით, ფშავ-ხევსურებით. ძველ დროს უბრალო კონფლიქტები ამ ტომთა შორის გადაიქცეოდნენ ნამდვილ ომათ სისხლის აღების ნიადაგზე. მთელს სოფლებს გასისხლიანებდნენ ერთ-მანეთს. ასეთ უხეირო განწყობილებაში მოექცნენ განსაკუთრებით ქისტები და ოსები... მაგრამ ჯერ ცოტაოდენი თვით პანკისზე.

პანკისის ხეობა მდინარე ალაზნის ხეობიდან გამოდის კახეთის დიდ ალაზნის ველზე. პანკისის ცენტრს შეადგენს სოფელი ჯოყოლო, რომელიც საერთო ცენტრად ითვლება. აქ უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას და ხვნა-თესვას.

მიწები საუცხოვო მოსავალს იძლევა, მიუხედავათ უბრალო წესით დამუშავებისა. პანკისი მაზრაში სამართლიანად ითვლება „პურის ბეღლათ“.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ მდიდარს, მაგრამ ჩამორჩენილ კუთხეს დიდი ყურადღება ექცევა.

ამ ყურადღებამ შედეგად მოგვცა ის, რომ დღეს პანკისის მცხოვრებნი უკვე არ „ჭამენ“ ერთმანეთს, ჩამოვარდნილი „სისხლი“ გამოისყიდა, უკვე უშიშრად დადიან სოფლები ერთმანეთში და ეკონომიურ-კულტურულ მუშაობას ეკიდებიან. გაიხსნა სკოლები, კოოპერატივები, სწარმოებს მიწის მოწყობა. ეს უკანასკნელი ღონისძიება დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, რადგან მიწის საკითხების მოუწესრიგებლობის ირგვლივ ბევრ კონფლიქტებს ჰქონდა აქ ადგილი და „სისხლის ჩამოვარდნაც“ ხშირად ამ ნიადაგზე ხდებოდა.

ჩვენ ვნახეთ მიწის მზომელი. უკვე მე-5 თვეა, რაც აქ 7 მიწის მზომელი მუშაობს და თითქმის დამთავრებამდე მიუყვანიათ მიწის მოწყობის საქმე.

ურთხელას ტყე

პანკისში, სხვათა შორის გადავეყარე ლენინგრადელ სატყეო ინსტიტუტის სტუდენტს, რომელიც განცვიფრებული იყო აქაური ტყეების სიმდიდრით. ახალგაზრდა მეტყევე განსაკუთრებით აღტაცებაში მოდიოდა ურთხელას ტყის სიდიადისაგან. ამის მსგავსი მთელ საბჭოთა კავშირში არაფერი მოიპოვებაო. პირველად ურთხელის ტყე აღმოაჩინა 1918 წელში თელავის ტყის ეხლანდელმა ინსპექტორმა, ამხ. სუკვერმა. 1925 წელში სატყეოს მომწყობ კომისიამ ის აღწერა და საფუძვლიანად შეისწავლა. ეს ტყე მდებარეობს მდინარე ბაწარას ხეობაში 1300-1600 მეტრის სიმაღლეზე, სულ 5 ვერსის მანძილზე სოფელ ჯოყოლოდან. ტყის სივრცე უდრის 820 ჰექტარს, რამოდენიმე ჰექტარის მანძილზე შეხვდებით წმინდა ურთხლოვანს, სხვაგან კი შერეულია ფოთლოვანი ჯიშები. ცალკე ხეების სიმაღლე აღწევს 25-30 მეტრამდე, სისქე საშუალოდ 60 სანტიმეტრს უდრის. ამავე დროს ხშირია 130 სანტიმეტრიანი სისქის ხეები. ხნოვანობის მხრივ შეხვდებით ხეებს 250-300-1000 წლისას.

ეს ტყე იმიტომ შენახულა, რომ ადგილობრივ მცხოვრებ მთიულებს წმინდა „ღვთის ხეთ“ მიაჩნდათ და არ ეკარებოდნენ. როდესაც უნდოდათ, [illegible] ხეები, მომჭრელი ადგილობრივ ვერავინ იშოვის.

ახმეტა - ალავერდი

სოფელი ახმეტა თელავიდან 25 ვერსის მანძილზეა. ეს ის ჯვარედინი ადგილია, სადაც იყრებიან პანკისის, თიანეთის და თელავის გზები. სულ მესამე წელიწადია, რაც ახმეტა და მისი რაიონი შეუერთდა თელავის მაზრას, წინეთ შედიოდა თიანეთის მაზრაში და ერთ-ერთ ჩამორჩენილ სოფლად ითვლებოდა. დღეს ახმეტა კულტურული და მოწინავე სოფლების რიგებში შეიძლება ჩაითვალოს: აფთიაქი, საექიმო პუნქტი, ფოსტა, კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, შვიდწლედი, ქოხ-სამკითხველო, გლეხკომი, თემაღმასკომი, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და სხვადასხვა დაწესებულებები, რომელნიც, ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ წესიერად და ნაყოფიერად მუშაობენ.

წინათ ახმეტა თავისი თეთრი ღვინოებით ერთ საუკეთესო რაიონად ითვლებოდა კახეთში. 500 დესეტინაზე მეტი ვენახები იყო გაშენებული ჩინებული „რქაწითელით“.

დღეს ამ ვენახის 20 დესეტინა სალი ნერგები არ მოიპოვება ამ სოფელში. ეს ფილოქსერის წყალობით, რა თქმა უნდა. მაგრამ ეტყობა ხელგულზე დაკრეფილნი არ სხედან ახმეტელები: დაუარსებიათ მევენახეთა არტელი. გასულ სეზონში დაუმყნიათ 100.000 ცალი ვაზი, წელს კი აპირობენ სათბურის აგებას და რიხტერის წესით უნდა გამოიყვანონ ნახევარი მილიონი ვაზის ნამყენი.

ახმეტაში ბევრ უცნაურ მგზავრებმა მოიყარეს თავი. ხალიჩა ჩამოფენილი ურმებით გაივსო ქუჩები. შიგ სხედან ქალები, ბავშები, თან მოჰყავთ საკლავი (სალმთო) და მოაქვთ ღვინით გატენილი ტიკები. ესენი „მლოცავები“ არიან, ხვალ „ალავერდობაა“ და იქითკენ მიეშურებიან. გაუდექით თელავის შარა გზას, გზაზედაც ურმები მიდიოდენ, კაცები ფეხით, ზოგი ცხენებით, ყველა „ალავერდობის“ მლოცველია.

მარცხნივ გომბორის ტყიანი მთები მოგვდევს, მარჯვნივ—გაფართოვდა ალაზნის ველი და შორს, მის ბოლოზე, ამდგარან სევდიანი თეთრწვერა კავკასიონის მთები. ტყე ახლოსაა და უბრალო თვალით არჩევ მუხას, წიფელას, მათი მოლურჯო-მოშავო ფერი ადასტურებს, რომ რქის მოსავალი წელს გულუხვია. ლორებს კი ექნებათ ქეიფი, მხოლოდ, აფსუს. რომ ამ კუთხეში არც ერთი ზეთის გადასამუშავებელი ქარხანა არ არის. მთა აქა-იქ მოტიტვლებულია, ტყე გაჩეხილია. ეს შიგ დაფანტულ ოსების და ხევსურების სოფლების ბრალია. ტყუილად არ ეძახიან მათ აქ „ტყის ფილოქსერას“.

ალავერდობა

„ალავერდი“ ძველი მონასტერია მე-11 საუკუნეში აშენებული, ვეებერთელა, მაღალი, რომელიც თელავის მაზრის თითქმის ყოველ კუთხიდან მოსჩანს თავისი თეთრი კედლებით. კახეთში მონასტრებმა კი არა ეკლესიებმაც იციან „დღეობა“, მაგრამ ალავერდი ყველაზე ცნობილი საეკლესიო უქმეა. აქ ორი კვირით იმართება ბაზრობა. მთიდან, ბარიდან ყველას მოაქვს თავისი ნაწარმოები, ჰყიდის და სცვლის. მთიულები აქ იძენენ მთელი ზამთრის სარჩოს. იმართება აქ ცხენოსანთა [illegible], შეჯიბრება, ახალგაზრდები მოდიან ეძებენ საბედოს. ცნობილია, რომ ალავერდი ყოველწლიურად აქორწინებს რამოდენიმე ასეულ ახალგაზრდას. როცა ხელს უწყობს: შემოდგომა, რთველი... სწორედ ამიტომაა, რომ ალავერდობას ამდენი ხალხი აწყდება. ღვთის რწმენას თითქმის სრულიად აღარა აქვს ადგილი. ალავერდობამ დაჰკარგა თავისი საეკლესიო შინაარსი და დღეს ის უმთავრესად დროის გატარებისა და აღებ-მიცემობის დღესასწაულად გადაიქცა.

საუცხოვო დასანახავი იყო ალავერდი ამ დღეებში. მას ორი ვერსის სიგრძე-სიგანით ოთხფეხა საქონლის ალყა ერტყა: ხევსურების ძროხები, თუშების ცხვრები, ქისტების ცხენები... მთელი თელავის ვაჭრები თავისი საქონლით აქ გადმოსახლებულა. ეპოს განყოფილებებიც ლაზათიანად ვაჭრობენ. გალავანს შიგნით ისეთი ხმაურობა იდგა, რომ გეგონებოდა ბაბილონის აღრევ - დარევა არისო. აქ ქეიფობდნენ ცალკე-ცალკე ჯგუფები, ცეკვავენ, თამაშობენ. ერთმოც ალაგას უკრავს ერთბაშათ ზურნა, საზანდარი, ბარაბანი, დოლური და სხვა.

შევიხედე შიგ მონასტერშიც: რამოდენიმე დედაბერის გარდა აღარავინ იყო.

თელავი

ეს კახეთის ყ. სატახტო ქალაქია. 10.000 მცხოვრები ჰყავს. მშვენიერი წყაროები, ძველი ბურჯები, ციხე-სიმაგრეები. ქალაქი ამ ბოლო ხანებში დიდ ცვლილებს განიცდის. ვიწრო ქუჩები განიერდება, კეთდება ტროტუარები, ქუჩებზე აწყობენ ქვა-ფენილს. შესანიშნავია 1925 წელში დამთავრებული სახალხო თეატრი. 480 კაცი ეტევა შიგ. ლენინის სახელობის ქალაქის ახალი ბაღი იქ, სადაც წინეთ ნანგრევები) იყო, თაიგულივით გადაშლილა შუა ქალაქში. ამ გაზაფხულზე ამუშავდა აბრეშუმის სახვევი ქარხანა. სადაც 150 კაცი მუშაობს (უმთავრესად ქალები). არ ვარგა ელექტრონის სადგური ე. ი. მოტორი. სინათლე მომაკვდავისავით ბჟუტავს. ამბობენ მალე მეორე მოტორი დაიწყებს მუშაობასო.

რკინისგზით მელაანამდე

თელავიდან რკინის-გზის სადგურამდე დღეში ორჯერ დადიან ეტლები. „სულის“ ჩაყვანა ან ამოყვანა 75 კ. — 1 მანეთი ღირს. ჩვენ ფეხით გაუდექით გზას: კარგი დილა იყო და ეკონომიის გარდა ამგვარ ამინდში სამი ვერსის გავლა [illegible] თავქვე, სასიამოვნო და მარგებელია.

იქ, სადაც გზა იყრება ლაგოდეხ-სიღნაღისაკენ, ხიდის აღმართთან, დავეწიეთ სამ ფარა ცხვარს. გაკრეჭილი მსუქანი ცხვარი წვრილი [illegible] თვალებით მიცუნცრუკებენ.

ეხლა ისეთი დროა, რომ თელავ-სიღნაღის წითელი გზა გაჭედილია შირაქში მიმავალ ცხვრით. ვაი, იმის თავს, ვისაც ეჩქარება ამ გზაზე ასჯერ მაინც მოუხდება შეჩერება და ცდა სანამ დინჯი მეცხვარე თავისი კომბლით გზის ცალ მხარეზე მიამწყვდევს ფეთიან ფარას.

სამი „ფორძონი“

საბარგო სადგურზე სამი ახალი ტრაქტორი ჩამოუტანიათ და ემზადებიან სოფლისაკენ წასაღებად. სამივე მიაქვთ გაღმა, სოფელ შილდაში. მანქანა გამოუწერია იარაღების შემძენ გლეხის ამხანაგობებს. ამხანაგობების წევრები შეყვარებული თვალებით გარს უვლიან „ცეცხლის გუთნებს“.

ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ჩქარი ნაბიჯით მიდის სოფლის ტრაქტორიზაცია. თელავის მაზრაში უკვე მეორე ათეული ტრაქტორები შემოაქვთ, სიღნაღის მაზრაში კი მეექვსე ათეულს გადააცილა მათმა რიცხვმა. ხალხი პირდაპირ „ჰიჟდება“ ტრაქტორებზე. მართლაც დიდი შეღავათი მოაქვთ, მათ; ვიანგარიშოთ: ყოველ წლიურად მარტო თელავის მაზრაში საშუალოდ 30.000 დესეტინა მიწა ითესება, მას უნდა 70.000 დღე და, გუთანზე საშუალოდ ექვსი უღელი რომ ავიღოთ, 420.000 მუშა საქონელი. ეს მხოლოდ მოხვნის დროს. ეხლა დათესვა. რა თქმა უნდა, მანქანები საქმეს გაცილებით გაადვილებენ.

მატარებელში

ჩემი ვაგონი სავსეა პატარა ექსკურსანტებით თბილისის ერთ-ერთ შრომის სკოლიდან. ყოფილან ალავერდში, მიდიან წინანდლის სახალხო მამულში. ერთ კუთხეში შევეჩეხე ნაცნობ თუშ მწყემსებს, ტყავის ფარაჯებში, გრძელ ბეწვიან ფაფახებში სხედან ისინი დიდჯათ და ალერსის თვალით მისჩერებიან ექსკურსანტ ბავშებს. ვსაუბრობთ ცხვარზე. ზაფხული უხეირო იყო, წვიმიანი, ცხვარი ვერ მოიწველა, ყველი ნაკლები გაკეთდა. ქისტების მხრივ სიმშვიდე იყო, არც ერთი სული მათ არ წაუსხავთ, მხოლოდ უკანასკნელმა სიცივეებმა ცხვარი დიდათ დააზარალა. ცუდი მდგომარეობა შეიქნა ბარშიაც გასაპარს ადგილების გამო. სოფლებს დაუდგენიათ, ცხვარი არ გაჩერდეს მათ ბოლოში. გაუჩერებლივ კი ვერ ვაპარსავ. თუ გააჩერე დაგაჯარიმებენ. რა თქმა უნდა, ნატურით. ამის გამო ზოგი მეცჯერ გაპარსავ. თუ გააჩერე და დაგაჯარიმებენ, რა თქმა უნდა, ნატურით ამის გამო ზოგი მეცხვარე ფარას ხევებში კრეჭდა, სადაც ცხვარს საჭმელი არ ქონდა. მწყემსები ეხლა მიდიან მთავრობასთან, გაუგიათ, რომ შირაქი გათიბესო. თუ ეს მართალია, ცხვარი დაგვეხოცებაო. წავლენ აგრეთვე აზერბეიჯანის საძოვრებზე (შირაქისა) ეგებ მათ გამოგვითოთ ადგილებიო. პაწია ექსკურსანტები დიდის ინტერესით უგდებენ ყურს ლაპარაკს. გავაცანი ესენი თუშებს და გავმართეთ საუბარი მეცხვარეობაზე, თუშებზე და შემდეგ გადავედით თვით კახეთზე. სადგურ წინანდალთან ბავშები ჩამოსხდნენ და გასწიეს მამულისაკენ.

მელაანიდან სიღნაღამდე

მელაანიდან სიღნაღამდე ეტლები დაიარებიან. გზა სულ ორი საათისაა, თუმცა 16 ვერსია, მაგრამ აღმართი ახლავს. აქ ბუნება დიდათ განსხვავდება შიგნით კახეთის ბუნებისაგან. იქაური თითქმის მონოპოლიური ვენახის კულტურა აქ შესცვალა ტიალი ველ-მინდვრებმა, დასერილმა პატარა ხევებით და გორაკებით, სადაც მისდევენ მხოლოდ ხვნა-თესვას. ნიადაგი მსუქანი თიხნარით დიდათ ნაყოფიერია, მაგრამ უწყლობის გამო ნაკლებათაა გამოყენებული. წყლის გამოყვანა კი ამ ადგილებში ძალიან ძნელი საქმე არც კი უნდა იყოს. [illegible] მოკრიანის კალოებზე.

ახალია თამბაქოს და მზესუმზირას კულტურა. მარტო ამ კალოების სიდიდე მოწმობს, რომ რაიონი მდიდარია პურით. მევენახეობა კი ამ ადგილებში ხელსაყრელი არ იქნება, სხვა არა იყოს, ღია ადგილებია და მაგარი ქარი ეცემოდინება. შემოდგომის თესვას ნაწილობრივ უკვე შესდგომია ხალხი. ხნავენ ისევ 6 უღელი ხარით, როგორც შიგა კახეთში. ტრაქტორების გამოყენება ამ ადგილებში „ცხონება“ იქნება, მხოლოდ ფიცხი „ფორძონი“ ალბათ აქ ვერას გააწყობს.

სიღნაღი

ქიზიყის დედა ქალაქი ნუკრიანის მაღლობიდან, როგორც ხელის გულზე, გეშლებათ თვალწინ. მთა-ფერდობზე წამოსკუპებული, ძველი ციხე-სიმაგრით შემორტყმული ლამაზი და წარმტაცია სიღნაღი. ისე დავეშვით თავქვე, რომ ვშიშობ ეტლი არ გადაგვეჩეხოს სადმე მოსახვევში. გაკვირვებით ვეკითხები მეეტლეს: „კაცო, უკანაც ამ გზით დადიხართ?“ დარწმუნებული, რომ სხვა გზა არსებობს, რადგან ვერ წარმომიდგენია, ასეთ აღმართს როგორ აიღებენ დატვირთული ცხენები.

„ასე დავდივართ, გეთაყვა, აგრე—ცხენები შეჩვეულნი არიან“...

შევედით შიგ ქალაქში. „რა არის საინტერესო?“ ჰკითხავ სიღნაღელს. აუცილებლად გეტყვიან: „ბულვარი, ეპო და ბოდბიო“. ბულვარისა რა მოგახსენოთ: ვეძებე, ვეძებე, ვერ ვიპოვე, როდესაც ერთ ნაცნობს, რომელიც შემხვდა, შევჩივლე ამის შესახებ, განცვიფრებით მიპასუხა: „კაცო, შენ შიგ ბულვარში დგეხარო!“...

ეპოს ახალი შენობები აუშენებია, საქონელიც აქვთ, ხალხიც ბუზივით ახვევია მართლაც მოუმდურალი არავინა ჰყავს. პურის ჭამა შეიძლება მხოლოდ ორ ალაგას, წითელ სასადილოში და ვიღაცა „განთქმულ“ ზურიევთან. ეტყობა ხალხი უფრო ზურიევს ეტანება. არ ვიცი რა მოსაზრებით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზურიევს ბნელი სარდაფი აქვს და უფრო მეტს იღებს. წითელ სასადილოში სისუფთავე დიდია, ოთახები ნათელი და გაცილებით იაფი.

ბოდბეში

სიღნაღიდან ყ. ბოდბის მონასტრამდე სულ ორი ვერსი არ იქნება. ეხლა ამ მონასტერში მონასტრის ნასახიც არ დარჩენილა. ვეებერთელა სამ სართულიან შენობაში (წინეთ აქ წმ. ნინოს სასწავლებელი ყოფილა მოთავსებული) პედაგოგიური ტექნიკუმი იყო მოთავსებული. ილუმენის სადგომში (ცხრა ოთახიანი ცალკე შენობაა) ობოლი გლეხის ბავშების პანსიონი მოუწყვიათ. დიდად მოსაწონია ეს საქმიანობა სიღნაღის აღმასკომისა. 20 ობოლი ბავში, აქ იზრდება, იკვებება და იწვრთნება საბჭოთა პედაგოგიის საფუძველზე. ძველი ბიზანტიის სტილზე აგებული ტაძარი დაკეტილია. კარებთან დგას უსინათლო ყ. ბერ-მონაზონი, რომელიც უხსნის დასათვალიერებლად ჩამოსულ ხალხს ვინ შეაკეთა და სხვა. ისტორიული ფაქტებს ზორბათ ამახინჯებს. ვის ჯერა, ვინ იცინის.

შინაურ ეკლესიაში მოუწყვიათ სკოლის კლუბი. „ბოდბე“-ს ართავს პატარა ხეხილის ბაღი ყვავილნარებით. აქ მებაღეთ ქალია, ყოფილი მონაზონი. ადგილმდებარეობა ბოდბისა საუცხოვოა, აქედან მშვენიერი გადასახედავია როგორც თვით ქალაქზე, ისე ალაზნის ველზე, შორს ქვეით მოსჩანს ახალი მეტოქე სიღნაღისა, სადგური და სოფელი წნორის-წყალი.

წნორის წყალზე

წნორი კახეთის რკინის გზის საბოლოო წერტილია ქიზიყის მიმართულებით. ეს გზა უვლის ყველა მდიდარ და ღონიერ სოფლებს, რომელნიც, ალაზნის მარჯვენა მხარეზე გამწკრივებულან: კარდანახს, ძველ ანაგას, მელაანს, კარგებს, საქობოს და წნორის წყალს.

რამდენიმე წლის წინათ აქ სულ პაწია სოფელი იყო, დღეს სოფელი ძალიან გაიზარდა და ლამის ქალაქად იქცეს. სიღნაღს გასაქანი არა აქვს, ძალიან რომ უნდოდეს გაწევა ადგილი არ ყოფნის —ჩამწყვდეულია მთებს შუა, წნორს დიდი გასაქანი აქვს, რკინის გზაც უდგება, სწორ ადგილებზედაც მდებარეობს, ასე რომ მომავლისათვის ის სერიოზული მეტოქეა მის მაღლა წამოსკუპებულ ქალაქისათვის.

ერთი უბედურობაა აქ, ესაა საშინელი ციებ-ცხელება. როგორც მელიორაცია და კულტურა ამას გაანადგურებს გამარჯვება წნორის იქნება. წნორი გასილულია ალაზნის არხით, აი როცა იქნება წყალიც ჩადგება მასში და მაშინ აქაური სოფლის მეურნეობა ერთი ათად გაიწევს. გარშემო ყველგან თამბაქოს პლანტაციები მოსჩანს. ჩინებული ლაგოდეხის რაიონთაც ახლოსაა. სადგურზე აუარებელი თხილი და ხილია მოტანილი: ეზიდებიან ქალაქისაკენ. ამ მდიდარ და ჩამორჩენილ რაიონში ფეხს იდგამს კულტურა.

ალაზნელი.

ქრონიკა

საჰაერო მიმოსვლა

საფოსტო საჰაერო მიმოსვლა თბილის-ბაქო-მოსკოვს შორის შეწყდა. მიმოსვლა განახლდება მომავალი წლის გაზაფხულიდან.

ბირჟის გარეშე გარიგებების რეგისტრაცია

თბილისის საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა ბირჟის გარეშე გარიგებების რეგისტრაციის მინიმუმად (ხორცისა და თევზის გარდა) დაწესოს 500 მანეთი (250 მანეთის ნაცვლად).

საბირჟო გადასახადის შემცირება

საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა შემცირდეს პირველი ნოემბრიდან სარეგისტრაციო გადასახადი საბირჟო, ბირჟის გარეშე და ბირჟათაშორისო გარიგებებზე (არა ფართო მოხმარების საგნებზე) 0,15 პროცენტიდან 0,1 პროცენტამდე.

ამრიგად, თბილისის ბირჟაზე ამჟამად არსებობს ერთიანი გადასახადი ყოველგვარ გარიგებებზე და საქონელზე 0,1 პროც. რაოდენობით.

ხე-ტყის მასალა ახალქალაქის მაზრისათვის

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, ახალქალაქის მაზრას ხე-ტყის მასალა უნდა მიეცეს ახალციხის მაზრიდან — ახალციხის და აწყურის სატყეოებიდან.

ახალციხის სატყეოდან ახალქალაქის მაზრას მიეცემა 44.526 კუბ. ფუტი საშენი მასალა და 100 კუბ. საჟ. შეშა. ხოლო აწყურის სატყეოდან —48 ათასი კუბ. ფუტი საშენი მასალა და 35 კუბ. საჟ. შეშა.

იარაღ - მანქანების სადგური

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით სასოფლო - სამეურნეო სამმართველოსთან განზრახულია მოეწყოს სას.-სამ. იარაღ - მანქანების შესაკეთებელი ცენტრალური სადგური.

სადგურზე იწარმოებს ტრაქტორების, კულტივატორების და სხვა უცხო კონსტრუქციის მანქანების შეკეთება.

თბილისის ბოტანიკური ბაღი

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა განმეორებით ეთხოვოს ა.-კ. სახ. კომსაბჭოს, რათა თბილისის ბოტანიკური ბაღის 1925—26 წლის მთელი შემოსავალი დატოვებული იქნეს ხსენებულ ბაღის სპეციალური ფონდის გასაძლიერებლად.

კონცესიონერების გამგზავრება

გუშინ ევროპაში გაემგზავრენ ჭიათურის შავი ქვის კონცესიის—„საქართველოს მარგანეცი“-ს წარმომადგენლები ჟიულ ლაბაზი და რასკოვიჩი.

გზების შეკეთება

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის საოლქო სამმართველომ შეიმუშავა ხარჯთაღრიცხვა გზების შესაკეთებლად მომავალი წლისათვის. ხარჯთაღრიცხვით სხვათა შორის გათვალისწინებულია თბილის-ერევანის გზატკეცილის, საქართველოს სამხ. გზის და სხვ. კაპიტალური შეკეთება. ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად გადაეცა საბჭოთა კავშირის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს.

თბილისის აღმასკომში

◆ თესლი. მაზრაში გლეხებს შეღავათიან პირობებში დაურიგდებიან იონჯის თესლი.

◆ აგროდახმარების მიზნით მაზრაში მოეწყობა ლექცია - საუბრები აგრონომიულ საკითხებზე პრაქტიკული მუშაობის ჩვენებით.

◆ კეთილმოწყობის განყოფილების გეგმით 5 წლის განმავლობაში ყველა სახლებში გაყვანილი იქნება წყალსადენი და კანალიზაცია. ამჟამად უკანალიზაციოთ და უწყალსადენოთ დარჩენილია მოსახლეობის ექვსი მეშვიდედი.

◆ აბანოები. კომუნალურ განყოფილებას დაევალა განაპირა უბნებში მოაწყოს აბანოები.

◆ სამეთვალყურეო პუნქტი გაიხსნა ყარაიაზის თემში.

◆ სასაკლაო. სართიჭალაში დამთავრდა სასაკლაოს მოწყობა.

◆ საოლქო აღმასკომებს წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები, რათა „მმაჩ“-ში თავის დროზე გატარდეს დაბადებისა და გარდაცვალების შემთხვევები.

სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

◆ დახმარება. სიღნაღის მაზრაში სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილია 121 ომის ინვალიდი, 19 შრ. ინვალიდი, 28 ყრუ-მუნჯი, ომში დაღუპულების ოჯახის 197 წევრი, დაღუპულ რევოლიუციონერების 38 ოჯახი.

◆ ივლისიდან 1 ოქტომბრამდე ფოთის სოც-უზრუნველყოფის განყოფილებამ დახმარების სახით გასცა 1835 მან.

◆ პენსიების და ერთდროული დახმრების სახით გასულ წელში რაჭის მაზრაში გაიცა 1475 მან.

◆ ოზურგეთის მაზრაში. აღრიცხვაზე აყვანილია 335 ომის და შრომის ინვალიდები. აქედან მუდმივი დახმარება ეძლევა 56 ინვალიდს.

◆ ახალქალაქის მაზრაში გასულ წელს პენსიების და ერთდროული დახმარების სახით გაღებული იქნა 2,346 მან.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

— სახ. მამულების რევიზია. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, სახალხო მამულთა ტრესტთან დაარსდა მუდმივი სარევიზიო-საკონტროლო ნაწილი

— ხე-ტყე ა.-კ. რკინის გზისთვის. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ხელშეკრულებას სდებს ა.-კ. რკინის გზის სამმართველოსთან თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს და ლეჩხუმის სატყეოებიდან ორ მილიონ კუბ. ფუტამდე სატრავერზო და საშეშე მერქნის გაცემის შესახებ.

სასამართლო

თ. ჩანგიშვილის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო თედორე ჩანგიშვილის საქმე.

ჩანგიშვილს ბრალდება ცოლის მოკვლა იჭვიანობის ნიადაგზე.

სასამართლოს პროცესზე არ გამოცხადდა თვით ბრალდებული ჩანგიშვილი, ამიტომ საქმე გადაიდო სხვა დროისათვის.

სახელმწიფო ბრალმდებელმა კიკაბიძემ შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე, რათა ჩანგიშვილი დაპატიმრებული იქნეს.

სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ვ. კელენჯერიძის საქმე

გუშინ დაკითხულ იქნა გამასწორებელი სახლიდან მოყვანილი ტუსაღები ჯიქია, ცერცვაძე და სხ.

მოწმეთა დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით არ დადასტურდა ის გარემოება, რომ კელენჯერიძეს მონაწილეობა მიეღოს ცერცვაძესთან და ჯიქიასთან ერთად მძარცველობაში.

გუშინ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კელენჯერიძის საქმეზე.

სასამართლომ ჯიქია პასუხისგებაში მისცა ცილისწამებისათვის, ხოლო კელენჯერიძე კი სრულიად გაამართლა.

მაკაროვის საქმე

ორშაბათს, 25 ოქტომბერს, სახალხო სასამართლოს მორიგი კამერა ამხ. ა. თენიეშვილის თავმჯდომარეობით, შუადღის 3 საათზე, პლეხანოვის თეატრში გაარჩევს ხულიგან მაკაროვის საქმეს.

პროცესი საზოგადოებრივ-საჩვენებელია.

სამხედრო ტრიბუნალში

გუშინ სამხედრო ტრიბუნალში ამხ. სინკევიჩის თავმჯდომარეობით გაირჩა ვიაჩესლავ ფელიცინის და ვიშნევსკის საქმე.

ფელიცინს ბრალდებოდა ქურდობა № კავკასიის პოლკის საწყობის გამგედ ყოფნის დროს, ხოლო ვიშნევსკის კი ფელიცინის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

გამოირკვა, რომ ფელიცინი სისტემატიურად იპარავდა საწყობიდან სხვადასხვა ნივთებს; ნაქურდალ საქონელს ყიდდა ვიშნევსკი და „ნადავლს“ თანასწორად ინაწილებდნენ.

ტრიბუნალმა ფელიცინს და ვიშნევსკის მიუსაჯა სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მხედველობაში მიიღო ვიშნევსკის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა ერთი წლით.

ჩაჩიბაიას ქალის თვითმკვლელობის გარშემო

ნადეჟდა ვასილის ასულის ჩაჩიბაიას თვითმკვლელობის საქმეში ბრალი ედებოდა პეპიკო კრავეიშვილს.

აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურამ განიხილა საქმე და დაადგინა: სისხლის სამართლის დანაშაულობის ნიშნების უქონლობის გამო საქმე მოისპოს.

მეხანძრეთა რაზმები

ქალ. ქუთაისში და ახალციხეში მოეწყო მოხალისე მეხანძრეთა რაზმები. რაზმების მოწყობას ხელმძღვანელობდა შინ. საქ. კომისარიატთან არსებული სახანძრო ინსპექცია.

ქუთაისის მოხალისეთა რაზმში მუშაობს 30 კაცი, ხოლო ახალციხისაში—15.

ასეთივე რაზმების მოწყობა სწარმოებს რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიაც. რაზმების მოსაწყობათ სახანძრო ინსპექციის მიერ შემუშავებულია განსაკუთრებული წესდება.

შრომის საკითხები

◆ მოზარდი უმუშევრები. ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ცალკე რესპუბლიკების შრ. კომისარიატებს განსაკუთრებული ზომები მიიღონ მოზარდ უმუშევრებისათვის სამუშაოების აღმოსაჩენად.

◆ კოლექტივები. საქ. შრომის კომისარიატი იმუშავებს გეგმას შრომის კოლექტივების ქსელის გასაფართოვებლად.

◆ უმუშევართა სახლი. მიმდინარე წელს თბილისში მოეწყობა უმუშევართა სახლი, რომლის აგებაში მონაწილეობენ თბ. აღმასკომი. შრომის და პროფორგანოები და დამზღვევი სალარო.

◆ უმუშევართა დასახმარებლად მიმდინარე წელში საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მოეწყობა საზოგადო სამუშაოები.

სხვადასხვა

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისათვის საჭიროა გერმანული ენის ლექტორი. ამ თანამდებობის დაკავების მსურველებმა განცხადებანი უნდა შემოიტანონ დეკანის სახელზე ა.-წ. 1 ნოემბრამდე.

კრებები და მოხსენებები

— ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე, სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 7 ნახ. საათზე, საქართ. მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში (ფურცელაძის, ყ. კალოუბნის, ქ. № 1), წაიკითხავენ მოხსენებებს: პროფ. გიორგი ახვლედიანი: „აფრიკაციის საკითხის გარშემო“ და ვარ. თოფურია: „ბგერითი მოვლენათა თანამიმდევრობა სვანურსა და ქართულში“. დასწრება არაწევრთაც შეუძლიათ.

— კონფერენცია. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის სრ. საქ. მე-3 კონფერენცია გაიხსნება ოქტომბრის 25-ს, საღამოს 6 ს. მუშათა სასახლის ახალ დარბაზში.

— განათლების მუშაკთა სახლში ქართული ენის შემსწავლელ წრეში ახლო ხანში პროფ. ა. შანიძე დაიწყებს ახალი სალიტერატურო ქართული ენის სისტემატიური კურსის კითხვას.

შემთხვევები

„საქმიანი კამპანია“

ამა წლის 27 სექტემბერს, გაქურდულ იქნა მოქ. გერმანე ჩხიკვაძის ბინა; წაიღეს 790 მანეთი.

სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედნი შალვა თევზაძე და ვლადიმერ პარასკევაშვილი დააპატიმრა. გამოირკვა აგრეთვე, რომ ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა ვინმე ავთანდილ ციბაძე.

ნაქურდალი ფულით „ძმა-ბიჭები“ ბათუმში წავიდნენ და ხელგაშლილ ცხოვრებას მიეცნენ, მაგრამ აქ მათ ბედმა უღალატა და ყველა ისინი დღეს მოთავსებული არიან საპატიმროში.

რეციდივისტის დაპატიმრება

ხაჩატურ ახკანოვის „ხელობას“ თბილისის მსხვილი სავაჭროების და ბინების გაქურდვა წარმოადგენდა.

ერთ დღეს მან გაქურდა 5-6 სავაჭრო. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ერთ დღეს 8 სავაჭრო გაუქურდავს.

ბოროტმოქმედების კვალის დაფარვას ახკანოვი იმით ახერხებდა, რომ ის მუშის კურტით დადიოდა თითქოს სამუშაოს ეძებდა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა რეციდივისტი ახკანოვი დააპატიმრეს.

აკაკი ქამუშაძის თავგადასავალი

აკაკი ქამუშაძე წინეთ მსახურობდა თბილისის აღმასკომში, სადაც მას „შემოხარჯა“ სახაზინო ფულები. მაგრამ აკაკი მოხერხებული კაცი იყო, უშველა თავს და [illegible] ცეკავშირში ამოყო თავი.

როცა ქამუშაძეს სახაზინო ფულები შემოაკლდა ხელი მიჰყო ფულის სესხებს ნაცნობ-მეგობრებში.

როცა ვალები იმდენად გაიზარდა, რომ მათი დაფარვა უკვე აღარ შეიძლებოდა და თან რევიზიაც იყო მოსალოდნელი, ქამუშაძემ გაპარვა არჩია.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ქამუშაძე თბილისში დააპატიმრეს.

გამფლანგველის დაპატიმრება

ინტენდანტ კაჭახიძეს 1922 წელს სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის მისჯილი ჰქონდა 5 წლით დაპატიმრება. იძულებითი სამუშაოზე ყოფნის დროს კაჭახიძემ შესძლო გაქცევა. ამის შემდეგ ის წავიდა განჯაში და მოეწყო სამსახურში, საიდანაც მიითვისა 3.400 მანეთი.

აღნიშნულ თანხის გაფლანგვის შემდეგ კაჭახიძე გაიპარა სოხუმში.

ამ დღეებში გამფლანგველი კაჭახიძე დაპატიმრებული იქნა სოხუმში და გადაიგზავნა განჯაში.

—:—

◆ ძარცვა. 22 ოქტ. თელეთის ახლოს ყაჩაღებმა გაძარცვეს მინას ხაზიოვიცი. წაართვეს 400 მან. ერთი ბოროტმოქმედთაგანი მამუდ ბაჯარ ალახვერდი ოღლი შეიპყრეს.

◆ უბედური შემთხვევა. 22 ოქტ. სოფ. ვაშლიჯვარში მოჭრილ ხის ქვეშ მოყვა არტემ მოზინკო და იქვე გარდაიცვალა.

◆ მსხვილი ქურდობა. 22 ოქტ. კამოს ქ. № 59 გაქურდეს სასოფლო-სამ. ტეხნიკუმი. წაიღეს 950 მ. ნივთები.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 22 ოქტ. გაქურდეს მარგარიტა კირაკოსიანცის ბინა.

◆ ამავე დღეს ტატიანას ქ. №2 გაქურდეს ან. ასათიანის ბინა. წაიღეს 150 მ. ნივთები.

ხელოვნება

◆ აკაკის პიესები. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა აკაკის ნაწერების მესამე წიგნი — პიესები.

◆ „ფერადი ბუშტები“. დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა პაოლო იაშვილის მოთხრობა: „ფერადი ბუშტები“.

◆ „დემონი“. დღეს ოპერის თეატრში მიდის ოპერა „დემონი“.

◆ მომღერალი ქალის ნიჟალსკის მეორე კონცერტი გაიმართება დღეს, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ მუსიკალური სასწავლებელი. ფოთში გაიხსნა მუსიკალური სასწავლებელი.

◆ ფოთის აკადემიური დრამა წარმოსადგენად ამზადებს: „ისკარიოტელს“, „როზა ბერნდს“ და „ირინეს ბედნიერებას“.

◆ ვასო აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად ფოთის აკადემიურმა დრამამ გადაიხადა სამოქალაქო პანაშვიდი. 14 ოქტომბერს.

◆ ნ. ლომაურის ნაწერები გასასყიდათ გამოვა ამ დღეებში.

◆ ახალი პოემა. ს. ჩიქოვანმა დასწერა პოემა: „გასაწყვეტ თოკზე“.

◆ ფოთის რკინისგზელთა კლუბში ადგილობრივი დრამის დასი გამართავს თვეში ორ წარმოდგენას.

◆ სოფ. მგალობლიშვილის მეორე წიგნი უკვე გამოვიდა ბაზარზე გასასყიდათ.
სყიდათ.

— „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. 17 ოქტომბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივი ძალებით დაიდგა ცაგარელის 3 მოქ. კომედია. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. კომედია ცოცხლად ჩატარდა. ბევრი მუშაც დაესწრო.

— 68 წარმოდგენა მუშებისთვის. ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში საზაფხულო სეზონის განმავლობაში დაიდგა 68 წარმოდგენა —მუშებისათვის. საზაფხულო სეზონი უკვე დაიხურა.

— კლუბების შეკეთება. თბილისის საუბნო პროფკავშირი ამჟამად აწარმოებს უბანში არსებული რკ. გზ. კლუბების შეკეთებას.

— კლუბის 1675 წევრი. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ამჟამად ჩაწერილია 1675 წევრი. გრძელდება კიდევ ჩაწერა.

— „უნიადაგონი“. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის დრამწრე ამზადებს 4 მოქ. პიესას „უნიადაგონს“ ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით.

კინო

პროცესი 3 მილიონზე

გამოშვება „მეჟრაბპომ. რუს.“
დადგმა პროტოზანოვის
ოპერატორი ერმოლოვი.

კარგ სურათებზე განსაკუთრებით საბჭოთა კინო-მრეწველობის გამოშვებისა, დიდი მოთხოვნილება არსებობს. ამის მაჩვენებელია ეს გამოულეველი კუდები კინო-თეატრების სალაროების წინ. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს კინო-კომედიები.

ეს სურათი ერთი საუკეთესოთაგანია ამ მხრივ. ჩვენს კინო დადგმებს ხშირად უსაყვედურებენ სურათში გაშლილ მოქმედებათა შორის მთლიანობის უქონლობას. ხშირად ჩვენს დადგმებში მოქმედებები პარალელური ხაზების მსგავსად ვითარდება და თავმოყრის წერტილს ვერ პოულობენ. ამ სურათში სავსებით დაძლეულია ეს პირობა. ამას ხელს უწყობს როგორც სცენარის მთლიანობა და სიცხადე, ისე მოქმედების ტემპი და რითმი. აქ ცალკე სცენები შეხამებით ერთვიან მთავარ მოქმედებას, არც ერთი მოქმედება ჩიხში არ არის მომწყვდეული. მაგალითისათვის მძარცველობის სცენა. აქ ბანკირის სახლში დაბრუნების, ტაპიოკას ჭერიდან ჩამოძვრომის და კასკარილის სახლში შესვლის სცენები ისე ხმა შეწყობილად მიმდინარეობენ, რომ ერთი მოქმედების სხვადასხვა მომენტებს უფრო ჰგვანან, ვიდრე სხვადასხვა სცენებს.

შემდეგ მოძრაობის ტემპი და რითმი, აქ არ არის არც ჩვეულებრივი კინო-კომედიებისათვის თავის ტკივილის მომგვრელი უაზრო ციბრუტივით ტრიალი და არც ძილის მომგვრელი ტკეპნა ერთ ადგილას. მომქმედ პირთა განცდა და მოქმედება საუცხოოდაა ერთმანეთთან შეთანხმებული. მაგ. სცენა, როცა ნორისი (ბანკირის ცოლი) ფარდას უშვებს კასკარილის სერენადის მოსმენისას. აქ ფარდის დაშვების რითმი თითქმის თვალხილულად მისდევს მსახიობ ქალის სულიერ ღელვას. რითმი დაცულია თვით საერთო არევდარევის და გაქცევის სცენებშიც კი.

ეს სურათი შხამიანი სარკაზმია მთელს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობაზე; სარკაზმი არა ტენდენციოზური. მილიონებზე ბოდვით მოშხამული წარმოსახვა, ფულის ფეტიშიზმი შეუდარებელ მხატვრულობით არის მოცემული.

ტაპიოკა, იმისათვის რომ მას რაღაც, თუნდაც ქურდობის ნიადაგზე, კავშირი აქვს სამ მილიონთან, ხდება მთელი საზოგადოების ყურადღების ღირსი. თითქმის გმირი.

ასევე სუსტ მომენტში დაჭერილი და გამოხატულია ბურჟუაზიული საზოგადოებრიობა სასამართლოს სცენაში. ბურჟუაზიულ საზოგადოების პატარა ღმერთისაკენ, ჰაერში მოფანტულ ფულებისაკენ გაწვდილი ხელები, სწრაფვა თავპირმტვრევით, დაიწყება ბურჟუაზიულ ეტიკეტის ფულების აკრებისა, ყოველივე ეს შეუდარებელია თავისი მხატვრული სიმართლით. ასევე ტიპიურია სცენა-ბალი. უაზრო, ავტომატიური ტრიალი და ტკეპნა ცარიელ ბუშტებით ხელში თითქოს სიმბოლოა ნერვებ-მოშლილ, შინაგანად დაცალიერებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებისა.

წარწერები ცოტაა და კარგი.

შემსრულებლები გმირებია, დაწყებული, ვიდრე სურათში მონაწილე კატებამდე უნაკლოა. მთავარი გმირი, ტაპიოკა (მს. ილინსკი) გვაძლევს უმთავრესად ამერიკულ გულუბრყვილო კინო-იუმორს. ეს არ არის წინასწარ მოფიქრებული და შემდეგ წარმოდგენილი ხუმრობა. ეს უფრო წმინდა მხედველობის კომიზმია, რომელიც თვით წარმოდგენის ხასიათშია მოცემული. მსახიობის თამაშის ტექნიკა სავსებით დაძლეული აქვს. აქ მთელი სხეული, თვითეული კუნთი მეტყველებს. სიარული, ჟესტები, მიმიკა სავსებით შეთანხმებულია ერთმანეთთან. მსახიობი რბილ, პლასტიურ მოძრაობით მომზადებულ ატმოსფეროს ჰქმნის თავის გარშემო. ასეთია სცენები სახურავზე ძილის, კატის ალერსის და სხ.

კარგია ბანკირის ცოლი (ჟიზნევა), ის განსაკუთრებით ძლიერია და მეტყველი საყვარლის [illegible] და ვნების მომენტებში. ავადმყო[illegible] თავდავიწყება, მოთენთილი გადაგვარებული ვნებით მორევში ტიპიურია ამ ძირგამოთხრილ, სექსუალურად დაავადებულ საზოგადოებისათვის. კარგია კასკარილეც (კტოროვი). ყინვისებური გულგრილობა და თავდაჯერილობა, ახრისადმი ნების დამორჩილება. ის შეუდარებელი გულგრილობით სწყვეტს მომაჯადოებელ ნორისის კოცნას და გადადის საქმიან ლაპარაკზე. აქ არც ერთ მოძრაობაში არ არის სიყალბე. ასევე უნაკლოა სცენა სასამართლოში. მისი გაყინული ფიგურა გამომხატველ შთაბეჭდილებას სტოვებს ამ საერთო გაბრუების და ვაკხანალიის სცენაში.

შხეფ.

ფეხბურთი

„დინამო“ — „არსრაიონი“

დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დინამოს“ და „არსრაიონის“ პირველ გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩი დაიწყება [illegible] ნახევარ საათზე.

ამიერ-კავკასია—ფინეთი

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამიერ-კავკასიის ნაკრებმა [illegible] ფინეთში ერთი მატჩი მოიგო (აბოში), მეორე კი ჰელსინგფორსში წააგო 3:1.

ამიერ-კავკასიის ნაკრების გუნდმა რევანშზე გამოიწვია ჰელსინგფორსის გუნდი; ამ შემთხვევაში გამარჯვება დარჩა ჩვენს ფეხბურთელებს 2:1.

ტანვარჯიშობის მასწავლებელთა, ინსტრუქტორთა და ექიმთა ხელახალი რეგისტრაცია

ფიზკულტურის თბილისის საბჭო შეუდგა ტანვარჯიშობის მასწავლებელთა, ინსტრუქტორთა და ექიმთა ხელახლა აღრიცხვას, რომელიც დამთავრდება პირველ ნოემბრამდე.

პროფკავშირის წრეთა ინსტრუქტორები უნდა გამოცხადდნენ ფიზკულტურის ბიუროში, ხოლო დანარჩენები-კი უშუალოდ თბილისის საბჭოში.

25—31 ოქტომბრამდე რეგისტრაციაზე გამოცხადებული ინსტრუქტორები აღრიცხვის გავლის შემდეგ მიიღებენ ნამსახურობის ნუსხას.

ანკეტების მიღება შეიძლება ფ. კ. საბჭოში (რუსთაველის პრ., № 2) დილის 9—3 საათამდე.

„საბჭოთა ფიზკულტურა“

პირველი ნოემბრიდან თბილისში გამოვა ორკვირეული სასპორტო გაზეთი „საბჭოთა ფიზკულტურა“. გამოცემა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსი.

ნაკრები I—ნაკრები II.

ნოემბრის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარებული იქნება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში; ერთმანეთს შეეჯიბრებიან ბათუმის და თბილისის ნაკრები გუნდები.

ფიზკულტურის თბილისის საბჭომ უკვე გამოჰყო ქალაქის ორი ნაკრები გუნდი. ჯერ ისინი შეეჯიბრებიან ერთმანეთს, შემდეგ კი პირველი ნაკრები შეეჯიბრება ბათუმს.

პირველ ნაკრებ გუნდში შედიან: პაპკოვი, ფრუიძე, ბლანკმანი, ანიკინი, ჟორდანია, მდივანი, პარამონოვი, გუნია, გალპერინი, აბაშიძე და ქებაძე.

მეორე ნაკრები: დ. ცომაია, ფოჩხუა, ხევსურიანი, ფედოროვი, იმნაძე, გონელი, ქოიავა, ასლამაზოვი, სოლტანი, ვაჩნაძე, და ვლ. ცომაია.

ნაკრები გუნდების შეჯიბრი გაიმართება კვირას, 31 ოქტომბერს.

სადოღე ცხენები

მომავალი დოღებისათვის ცხენთსაშენის განყოფილებამ მოსკოვში შეიძინა ოთხი ახალი წმინდა ინგლისური ჯიშის ულაყი ცხენები.

ამ ცხენებიდან თბილისში უკვე ჩამოიყვანეს სამი ცხენი: „ბერგენ“, „თაის“ და „დაგომე“; მეოთხე ცხენი დარჩა ქ. ბაქოში გამართულ დოღზე მონაწილეობის მისაღებათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა შესდგება სამშაბათს, 26 ოქტომბერს. დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ძირიბეკოვის კაბინეტში.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება მბეჭდავთა აქტივის კრება.

მბეჭდავთა პარტორგანოების უჯრედების ბიუროების წევრებისა და ადგილკომის ფრაქციის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება.

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 25 ოქტომბერს, მუშფაკის შენობაში შესდგება სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის რუსმუშფაკის უჯრედის ბიუროს არჩევნები.

რუსმუშფაკის უჯრედის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა კლუბში. მოწვეულია საიჯარო - საბინაო ამხანაგობათა ფრაქციის თათბირი, იმ გამგეობის წევრებთან და სარევიზიო კომისიის წევრ კომუნისტებთან ერთად, სადაც ფრაქციები არ არიან ჩამოყალიბებული.

დღის წესრიგში სდგას საბინაო ამხანაგობათა გამგეობის გადარჩევის საკითხი.

სავალდებულოა შემდეგ საბინაო ამხანაგობათა ყველა ზემოხსენებული ამხანაგობების დასწრება: № № 56, 57, 58, 62, 65, 66, 67; 68; 69; 70; 77; 79; 80; 76; 81, 82, 83, 84, 85; 86; 87; 88; 89, 90, 91, 102, 103; 112; 120; 121; 122; 126; 127; 132, 133, 139, 141, 142; 143; 144; 145; 165; 166; 167, 168, 169, 170, 174; 176; 177; 183; 184; 188; 186, 187.

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება მესამე რაიკომის აგიტპროპკოლეგიის სხდომა.

კვირას, 24 ოქტომბერს წმინდა ხიხოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა 10 ს. და პანშვიდი 12, უდროოდ დაკარგულ ძვირფას და საყვარელ ნორჩი ჭაბუკის, თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტის

კოლი (ნიკო) მესხის

გარდაცვალებიდან 6 თვის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი მშობლები: პელაგია პეტრეს ასული და სიმონ ლუარსაბის-ძე მესხები, დაძმანი: ანია, ირანა, მარო, პ[illegible]ტა, თინა და თამარი. ბებია ტერეზია მესხისა, ბაბუა პეტრე და დეიდა ელენე გიორგობიანები, სიძე ზაქარია ერმალოს-ძე შარაშიძე და დისწული პატარა ოთარიკო. 297 2—1

ინჟ. ივანე სოლომონისძე, მეუღლე ბარბალე მიხეილის ასული, შვილები ლუიზა, მარგარიტა და გოგი მეძმარიაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და საყვარელ პირველის ძმის, მეორის მაზლისა და უკანასკნელების ბიძის

ბარნაბა სოლომონის ძე მეძმარიაშვილის

გარდაცვალებას ქ. ახალციხეში დაკრძალვა სოფ. ბაშში (ქუთ. მაზრ) 24 ოქტომბერს. ქვ. 311

მარიამ გიორგის ასული ჯაფარიძისა, დავით გიორგისძე, მეუღლე ცისა ელენე შვილებით, ლევან გიორგისძე და მეუღლე მისი პელაგია იოსელიანები აუწყებენ

ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას 24 ოქტომბერს 12 საათზე, საკუთარი ბინიდან, ბაგრატიონის ქ. № 6, დაკრძალვა დიდუბეში, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში, ქვ. 320

სრულიად საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 21 ოქტომბერს, გარდაიცვალა ჩვენი სოფლის მეურნეობის უძველესი მოღვაწე, საზოგადოების მხცოვანი წევრი

ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი

რომლის გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ბაგრატიონის ქუჩა № 6) და დაკრძალვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბე) მოხდება კვირას, ა. წ. 24 ოქტომბერს დილის 12 საათზე. 304

გულითადი მეგობრები ვანიჩკა იაშვილი, ლადო ფანიაშვილი, აპოლონ სვანიძე, დათიკო წერეთელი, აკაკი მგალობლიშვილი, ბიკენტი კანდელაკი და საშა ჯაფარიძე აცნობებენ თავიანთ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დღეს ოქტომბრის 24-ს დილის 12 საათზე ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოზე დანიშნულია უდროოდ გარდაცვალებულ

სვიმონ ივანეს ძე ჭორბენაძის

ერთი წლის თავის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი. ქვ. 308

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 24 ოქტომბერს, დ ე მ ო ნ ი

ბოგოლეპოვას, მაყაშვილის, კანცბურგის, გორელოვის, შარაშიძის, ხოკონენის მონაწილეობით

26 ოქტომბერს მე-3-ე აბონემენტის პირველი წარმოდგენა

კ ა რ მ ე ნ

27 ოქტომბერს მე-2-ე აბონემენტის მეორე წარმოდგენა

აბესალომ და ეთერი ნ. 120

აპოლო
არტისტი
სოლეი

„გოსკინო“-ს საუკეთესო სურათი

აბრეკ-ზაურ

კინო მოთხრობა 10 ნ. (კავკასიის ახლო წარსულიდან)

უმთ. როლებში ვ. გუნია, ნ. ბესტაევი, ნ. საპოვი, გ. ჩიჩელაშვილი, ა. თაყაიშვილი, განტარინისა, აგანბეკოვისა

„მეჟრაბპომ რუსის“ საუკეთესო სურათი

„პროცესი სამი მილიონის შესახებ“

უმთ. როლებში—იგორ ილინსკი, ჟიზნევისა, კტოროვი, კლიმოვი

სიმებიანი ორკესტრი.

ანონსი: მალე სახკინმრეწვის ახალი სურათი „გაფლანგვა“

ნ. 1833 0—21

ამით ცხადდება ყველა დაწესებულების, ორგანიზაციების და პირთა საყურადღებოთ,

რომ საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ახლად დაარსებულ

საქართ. აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის

(შემოკლებით „საქართველოს აბრეშუმი“)

სამმართველო იმყოფება ქალ. ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე, სადაც შეუძლიათ მიმართონ ყოველ საქმეებზე დაინტერესებულ ორგანიზაციებმა და პირთ. ტრესტის თბილისის წარმომადგენლობა კი მოთავსებულია ლერმონტოვის ქ. № 9, ტელეფონი 23—43. დეპეშით მისამართი, როგორც სამმართველოსი ქუთაისში, ისე წარმომადგენლობის თბილისში არის „აბრეშუმი“.

ნ. 118 2—1. საქართველოს აბრეშუმი.

ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 25 ოქტომბრიდან მაღალ ჭინვის ქვეშ იქნება დაყენებული ელექტრონის გადამცემის ხაზი

1. დიდუბიდან—მთავარ ქვესადგურამდე, რომელიც გაივლის დიდუბის ბაღებზე, საბურთალოზე, ძლიერე ვერაზე ვერის გზატკეცილის გასწვრივ და გადასწვრის ელბაქიძის დაღმართს და მდ. მტკვარს.
2. დიდუბიდან ნაძალადევამდე, რომელიც გადასწვრის ა/კ. რკინის გზების ხაზს და ადის მახათის მთაზე ზაჰესის ქვესადგურებზე.

ყოველგვარი შეხება სადენებისა და ამ ხაზის მავთულების სასიკვდილოა, რის შესახებაც ყველა საყრდენზე გაკრულია სათანადო განცხადება.

3—1 ნ. 109 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი: ინჟენერი ჭიჭინაძე

თბილისის აღმასკომი

ამით აცხადებს, რომ კვირიდან 24 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ზაჰესის სათავე ნაშენთა გამოცდის გამო ფარების აწევის დაშვების საშუალებით წამში 500 კუბ. მეტრ. წყლის გაშვებით, რაც საშუალო წყალდიდობას უდრის, შესაძლებელია მდ. მტკვრის დონეს მოულოდნელი რყევა.

ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები უბედურ შემთხვევათა და მატერიალურ ზარალის თავიდან ასაცილებლად.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

3—1 ნ. 110 კომუნალური მეურნეობის გამგე—ახრიევი.

სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე,

შესდგება

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის

აქციონერთა საზოგადოების კრება

დღის წესრიგი:

1) 1924—25 წ.წ. საოპერაციო წლების ანგარიში.
2) დასკვნა სარევიზიო კომისიისა.
3) გამგეობის მოხსენება.
4) 1926—27 წ. საფინანსო გეგმის დამტკიცება.
5) 1926—27 წ. საწარმოო გეგმის განხილვა და დამტკიცება.
6) წესდების დამტკიცება.
7) სარევიზიო კომისიის საკითხები.
8) გამგეობის არჩევნები.
9) მიმდინარე საკითხები.

სახკინმრეწვის გამგეობის თავმჯდომარე ე. ლვამიჩავა.

ნ. 124

თბილისის საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმი

აცნობებს იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელნიც ვალდებულნი არიან გაატარონ ბირჟის რეგისტრაციაში თავისი ბირჟის გარეშე გარიგებანი,—რომ საქართველოში შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ნებართვით, ა. წ. 25 ოქტომბრიდან რეგისტრაციაში გასატარებ გარიგებათა მინიმუმად ითვლება 500 მანეთი (250 მანეთის მაგიერ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღნიშნული მინიმუმი არ ვრცელდება ხორცის და თევზის პროდუქტებზე; მათზე მოხდარი გარიგება რეგისტრაციაში ტარდება ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. 28 მაისის ინსტრუქციის თანახმად. ნ. 122

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის

მორიგი ახალი სურათი

კინო-თეატრებში

[illegible]

[illegible]

გაფლანგვა

რეჟისორი

ი. პერესტიანი

ოპერატორი

ა. დიღმელოვი

ნ. 123

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

როგორც ძველი, ისე ახლად მიღებულ

სტუდენტთა და კანდიდატთა

საყურადღებოთ

1. უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს სტუდენტების საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1—10 ნოემბრამდე მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის რეგისტრაცია სათანადო ფაკულტეტის მდივნებთან.

2. ყველა სტუდენტი, როგორც ძველი, ისე ახალი, რომელიც რეგისტრაციაში არ გატარდება მექანიკურად გამოირიცხება სტუდენტთა შემადგენლობიდან.

3. ყველა სტუდენტთათვის განურჩევლად მდგომარეობისა, დაწესებულია სწავლის ფული—წელიწადში 10 მანეთი. რომელიც ყველა სტუდენტს შეაქვს უნივერსიტეტის სალაროში 2 ვადაში. 10 მანეთს ზემოთ სწავლის ფული გაწერილი იქნება სოციალური მდგომარეობის მიხედვით და იწარმოებს არსებულ კანონებით. ზემოხსენებული 10 მანეთი ნაანგარიშევი იქნება გადასახადში.

4. ამა წლის 5 ნოემბრამდე უნდა შემოტანილ იქნეს ყველა სტუდენტის მიერ პირველი 5 მანეთი.

5. რეგისტრაციაში გატარებისას სავალდებულოა სალექციო წიგნაკის წარდგენა, რომელშიაც აუცილებლივ აღნიშნული უნდა იქნეს, როგორც ძველი დავალიანების დაფარვა, ისე მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის ფულის ანგარიშში 5 მანეთის შემოტანა.

6. ფულის მიღება დაიწყება უნივერსიტეტის სალაროში 25 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 5 ნოემბრამდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა.

2—1 ნ. 114

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825—1

ე ქ ი მ ი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ჩეჩელაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9

მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6—8 საათ. 25—1

ე ქ ი მ ი

მეგრაბიანცი

ფილტვების, შლეკის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23, ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

თ ბ ი ლ ი ს ი ს

წიგნის მთავარ მაღაზიებში

ი ყ ი დ ე ბ ა

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა . . . . 50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწევართა თეორია . . . . 50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ასახვის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა . . . . 50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა . . . . . 1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის . . . . 30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი. . . . . 40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც, სოფლის მასწავლებელთათვის 50 % ფასდაკლებით: თბილისი, ავლაბრის ფოსტის განყოფილება.

15—3 ქვ. 10 ი. ჯაშკარიანი

მიხა როდრიშვილის სახელობაზე

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება იქნება 1 ნოემბრამდინ

ანუ მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66. ანუ კურსების გამგე იოვანე ზაქ.-ძე ტერ-სტეფანოვთან 1 თუმანოვის ქ. № 13. 317

რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო დრამა

1926—27 წლის სეზონი

დასის შემადგენლობა:

ქალები:

ალექსი-მესხიშვილი ნინო
ბეჟანიშვილი სუზანა
დავითაშვილი ნინო
თაყაიშვილი სესილია
კიდია ეკატერინე
მრევლიშვილი მარიამ
სანაძე ანნა
შავიშვილი ბუჟუჟა
წულუკიძე თამარ
ჭავჭავაძე თამარ
ჭიჭინაძე ხათუნა
ჯავახიშვილი ნატალია
ჯორჯაძე ივლიტა
ლვინიაშვილი თინა
ჩეჩელაშვილი ქეთო

სტუდიელები:

დავითაშვილი მერი
ვაჩნაძე სოფო
კუპრაშვილი ნინო
ივანიცკი მარგარიტა

თანამშრომელი

მესხიშვილი მარო

ვაჟები:

გოცირიძე ნიკო (რეს.. სახ. არტისტი)
აბაშიძე ივანე
ადამიძე ვლადიმერ
გერიაშვილი მიხეილ
გოძიაშვილი ვასილ
დავითაშვილი გიორგი
ვასაძე აკაკი
ვარდოშვილი მიხეილ
კორიშელი პლატონ
კანდელაკი პავლე
კობახიძე პიერ
ლორთქიფანიძე მიხეილ
ლალიძე ივანე
მჟავია დიმიტრი
მურღულია პოკო
ჟორჟოლიანი ალექსანდრე
სარჩიმელიძე გიორგი
სარაული მიხეილ
შიხაშვილი ვასო
ქანთარია ია
ღამბაშიძე შალვა
ჩხეიძე უშანგი
ხორავა აკაკი
ჯაფარიძე სტეფანე

სტუდიელები:

ბაგრატიონი სოლომონ
ლორთქიფანიძე ელგუჯა
ყაზაიშვილი ლაზარე
ჰელიძე სერგო
ჭიჭინაძე პეტრე
წულაძე ბიძინა
კუპრაშვილი ალექსანდრე
სალარაძე გიორგი
ყვარელაშვილი მიხეილ

თანამშრომელნი:

კეთილაძე, ვალერიან
კევრიშვილი ნიკოლოზ
შვიდობაძე ვარლამ
ნაჭყეპია კონსტანტინე
ზაქარიაძე სერგო
სულაძე ალექსანდრე
ყარსიმაშვილი ალექსანდრე

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი

რეჟისორები: დ. ანთაძე, კ. პატარიძე

განსაკუთრებით ცალკე დადგმები: კოტე მარჯანიშვილი

მუსიკალური ნაწილის გამგე: ალ. გვილესიანი

მხატვრები: ირ. გამრეკელი (მუდმ. მხატვარი)

ცალკე დადგმები: გუდიაშვილი ლ., შევარდნაძე დ., შავიშვილი მ. ს. ნადარეიშვილი, ქ. ზდანევიჩი.

დეკორატორები: გ. ნალებაშვილი, ივ. მელიქსეტოვი

ორკესტრი 30 კაცის შემადგენლობით; სოლისტ კონცერტ-მეისტერი ვახტანგ ნეიმანი.

დირიჟორი—ალ. გველესიანი, აკომპანიატორი—მ. ჯორჯაძე; კომპოზიტორი—იონა ტუსკია, რეჟისორის თანაშემწეები: შ. წერეთელი და არ. ჩხარტიშვილი, მოკარნახენი: აბხაიძე მ., ჟორდანია პაჟუ. სცენის მემანქანე ივ. მაისურაძე, განათების გამგე—ტ. გრიგორიანი, მხატვარი ლაბორანტი—გ. წითლიშვილი. მთავარი კოსტიუმერი—ო. კობახიძე, ბუტაფორიის გამგე—ა. გულაზოვი, მხატვარი-გრიმიორი—დ. ამირაჯიბი.

რეპერტუარი:

შექსპირი—მეფე ლირი; შილლერი—ვილჰელმ ტელლ; ქართული ორიგინალური პიესები: ანტონოვი—ქმარი ხუთი ცოლისა და მე მინდა კნეინა გავხდე; გედევანიშვილი—სინათლე მე-2 ნაწილი; ვაკელი—ხანგიზ; შიუკაშვილი—ამერიკული ძია, თარგმნილი პიესები: ო. ნეილ—ბანჯგვლიანი მაიმუნი; ტრეტიაკოვი—ილრიალე ჩინეთო; [illegible]—კაცი გალიაში;

სეზონის გახსნა ხუთშაბათს 28 ოქტომბერს

ან. გლებოვის „ზაგმუკ“ დრამა 4 მოქმ. და 6 სურათად დადგმა ალ. ახმეტელის თარგმანი ალ. შანშიაშვილის

თეატრის დირექტორი გ. ბუხნიკაშვილი

ბილეთების გაყიდვა დაიწყება პარასკევს, 22 ოქტომბრიდან კასა ღია არის დილის 11—3 საათ. საღამოს 6—9 საათ.

ნ. 117. ადმინისტრატორი ქ. ცელმს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული მაუდის ფაბრიკის საალმშენებლო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტეხნიკური განყოფილების შენობაში (პუშკინის ქ. № 3) მიმდინარე წლის 9 ნოემბრისათვის დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა დიდუბეში, გერმანელთა ახალშენს იქით, გაერთიანებულ კამეოლ-მაუდის ფაბრიკის მთავარი კორპუსის შენობის ასაგებ სამუშაოთა ნაწილი.

ფაბრიკის შენობის სივრცე შეიცავს 15.394 კვ. მეტრს.

1. ვაჭრობა დანიშნულია შემდეგ სამუშაოზე.

ა) ქვა-აგურის წყობა მჟიდას დუღაბზე:

1) სიფართე 2 ნახევარი აგური — 28,96 კვ. მეტრი.
2) „ 2 „ 3259,115 კვ. მეტრი.
3) „ 1 ნახევარი „ 135,24 „ „

ბ) ტინობის:

1) სვეტებისა და კედლებისათვის საძირკვლის სახით გატენა—3865,959 კუბ. მეტრი.
2) იატაკთა გატენა—16729,86 კვად. მეტრი.

გ) რკინა ტინობის:

1) სვეტების ტენა, სარდაფის გადახურვა, კიბის საფეხურები და სხვა—4110,299 კუბ. მეტრი.
2) კედლებისა და ტიხრების გატენა—4350,5 კვ. მეტრი.

2) მაუდის ფაბრიკის საალმშენებლო კომიტეტს უფლება აქვს გაადიდოს ან შეამციროს სამუშევართა რაოდენობა ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენებ რაოდენობასთან შედარებით 30 პროცენტით.

3) ყოველგვარ მასალას შენობის ასაგებად იძლევა კომიტეტი.

4) მუშაობა სწარმოებს მოიჯარადრეს ხელსაწყოთი. შენობის ასაგებ სივრცეზე მასალის გადატან-გადმოტანა ხდება მოიჯარადრის საშუალებით.

5) განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იქნეს საბუთები, რომელიც დაადასტურებს საჯარო ვაჭრობაში, მონაწილის ვინაობას და ქვითარი, რომ მის მიერ გირაოთ მაუდის ფაბრიკის საალმშენებლო კომიტეტის ბუჰგალტერიაში შეტანილია 5 პროცენტი ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მიერ განცხადებული ფასისა, რომელიც, თუ გამოცხადებულს სამუშაოები გადაეცა, შესრულებული უნდა იქნეს 10 პროცენტამდე მიმდინარე ხარჯების გამოკლებით.

6. სახელმწიფო დაწესებულებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბით გირაოს შეტანისაგან თავისუფლდებიან.

7) ხარჯები სალერბო გადასახადის, დამზღვევ სალაროს, კულტფონდის და სხვ. საჭიროებისათვის მოიჯარადრეს ეკისრება.

8) მუშაობის ვადა, რომელშიაც უნდა დამთავრებულ იქნეს შენობის აგება, გაწმენდა, ნაგვის გატანა და კომისიისათვის სავსებით დასრულებული შენობის ჩაბარება—რვა თვეა სამუშაოს პირველი განწესის მიცემის დღიდან.

9) განცხადება, რომლის სალერბო გადასახადი გადახდილი არ იქნება, არ განიხილება.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გაეცნონ ნახატებს, ტეხნიკურს პირობებს და კონდიციებს კომიტეტის კანცელარიაში ყოველ დღე, დასასვენებელ დღეების გარდა, 10 საათიდან დღის 2 საათამდე., ხოლო 27 ოქტომბრიდან კონდიციის მიღება შეუძლიათ.

2—1 ნ. 125 მაუდის ფაბრიკის საალმშენებლო კომიტეტი.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 29 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 13 სადგურის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით კალანდაძის მოძრავ ქონებას: 79 ბ. კონიაკს, საწერ მაგიდებს, შკაფს და ელექტრონის სჩოტჩიკს შეფასებულს 183 მანეთად, მიხეილ სავრანსკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 2 | 26 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 2890 და 3054 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 316

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. კამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 24 ოქტომბერს 1926 წ. დღის 11 საათზე ალბულახში ბაზრის ქუჩაზე, 2 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მცხოვრებ სოფელ დუმანისში ვასილი ილიას-ძე ტვაურის მოძრავ ქონებას: ერთ ხარს, 17 ცალ ცხვარს და თოხლს, ერთ ეტაჟერკას და ერთ კედლის ფარდას, შეფასებულს ნაკლებ ფასებში „ზაკგოსტორგი“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 24 აგვისტოს 1926 წ. თარიღით № 28317 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 121

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 27 ოქტომბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში კრწანისში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე და გიგო ძაგანიების მოძრავ ქონებას: ფეხის საკერავ მანქანას, ძროხას, დეკეულას და ჯორს შეფასებულს 290 მანეთად, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 1 ოქტომბერს 1925 წ. თარიღით, № 3491 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 312

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 29 ოქტომბერს 1926 წ. დღის 12 საათზე, სახლი № 14, არხივის შესახვევში, მე-4 სამილიციო უბანში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ, ანნა, იაკოფ, მაჩკალოვების, ასტლიკ ალიხანიან ის და ეკატერინე კასპარიანცისა სახლს, შეფასებულს 1400 მან. აფხაზეთის თამბაქოს ქარხნის ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 15 მაისის 1926 წ. თარიღით, № 1464, გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით. მყიდველთ მიერ დაცული უნდა იქნეს სამ. საპ. კოდ. 311, 312 მუხ. 306

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ 28 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 4, ბებელის (ყოფილი ეგზარხის) მოედანზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გენრიხ მოსევიჩის მოძრავ ქონებას: ერთი პიანინო ბეკერისა № 19161 და სხვა ბინის მოწყობილობას შეფასებულს 200 მანეთად, ქ. თბილისის 1-ლი უბნის საგადასახადო განყოფილების ვალის დასაკმაყოფილებლად. 299

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ა. წერეთლის ქუჩაზე დანიშნულია პირველ ნოემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ივანე დარისპანის-ძე გოცირიძის ერთი ერთ ნახევარ სართულიანი ქვის და აგურის შენობის, შემდგარის შვიდი თვალი საწყობის და სარდაფებისაგან, რვა თვალი საცხოვრებელი განყოფილებებისაგან, შეფასებული სამი ათას მანეთად.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან კომუნალური ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს საწინდარი შენობის შეფასების 10 პროც. და ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. ნ. 119

ქიმი ა. ს. ფონ-ირტელ[illegible]

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის [illegible], ყოფ. „[illegible]“

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

ე ქ ი მ ი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.

პლეხანოვის პრ. № 116.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

348 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 12

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ოროქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19, იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ე ქ ი მ ი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ე ქ ი მ ი - ქ ა ლ ი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ე ქ ი მ ი

ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე.

ექ. ქ. ტყეშელაშვილი

დ ა ბ რ უ ნ დ ა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 1—25

დავკარგე ს. კ. პ. საკანდიდატო ბარათი № 17168 პანტელეიმონ გოგუას სახელზე, ჩ. გ. 305

დავკარგე ქორწინების მოწმობა № 2911 ლუკა ლაზარესძე იაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 307

დავკარგე პარტიული ბილეთი № 488.654, აკაკი ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. ქვ. 270

დავკარგე „ზაკტპოს“ საწევრო წიგნაკი № 22188, პელაგია პეტრეს ასული რუხაძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 309

დავკარგე მატრიკული № 731 სახ. უნ. სალექციო წიგნაკი ნ. ტ. ცაგარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 310

დავკარგე კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 6578, ზარასპი იოსებისძე გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 119

დავკარგე კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3987 ალექსი ახალაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 119

დავკარგე პირადობის მოწმობა, გრიგოლ იაგორისძე ბენდიანიშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 315

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 405, იაკობ რაზმაძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 314

დავკარგე უვადო პასპორტი № 2525, ჰაზარაპეტ მირზას-ძე ვართანოვის სახელზე, ჩ. გ.

---

4 ამა ოქტომბერს შუადღის 2 საათზედ გამოვიდა თავის სახლიდან, ნავთლუღი, მინკევიჩის (ქ. № 3) ახალგაზრდა ქალი მარგალიტა ალექსანდრეს ასული მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს, რომელიც მას შემდეგ შინ აღარ დაბრუნებულა. მისი ნიშნები შემდეგია: საშუალო ტანისა, ქერა, გამხდარი, ტანზედ ეცვა ლურჯი პალტო, კრემის ფერი შლიაპა და ნაცრის ფერი ტუფლები და ჩულქები.

გამწარებული დედა, დები და ძმა დაკარგულისა სთხოვს ყველას აცნობონ მათ ზემოაღნიშნულ მისამართით, თუ რამე იციან ამ ქალის შესახებ. ქვ. 313

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 14144, კოლია ისაევის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 321

დავკარგე სახლის დავთარი პაგრანიჩნი შესახვევი № 7, სანდრო მერაბაშვილის, სახელზე, ჩ. გ. ქვ. 322

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 9193, გიორგი ათანასესძე მანჯგალაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 319

დავკარგე ღვინის გადასატანი მოწმობები: № 14143—274 ვედრო, № 16290—289 ვედრო, მოცემული 2 ოქტომბერს 1925 წ. ფირმა „გლეხი“-ს მიერ, კოკილაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 319

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68